

დაგეგმილი სკანდალის ნაცვლად - დაუგეგმავი შეტაკება A2



მე და ჩვენ A7



კამპანიონები B1


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 14 ოქტომბერი, 2005 წელი. №228 (1088) | ფასი 50 თეთრი


## ამბები

### „სუბოტექსის" რეალიზაციით გავლენიანი ადამიანები არიან დაკავებული"

შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, ნარკოტიკული ნივთიერება "სუბოტექსის" რეალიზაციაში ექვმიტანილი სამი პირი დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, ჩატარებული სპეცოპერაციით საქართველოში ნარკოტიკების შემომტანი ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ქსელი დაიხურა.

A4

## უცხოეთი

### ჯორჯ ბუში: რუსეთს დემოკრატიის არ უნდა ეშინოდეს



აშშ-ს პრეზიდენტი კვალავაც შეეცდება, დაარწმუნოს რუსეთი დემოკრატიული განვითარების აუცილებლობაში, თუმცა, ამავე დროს, ოფიციალური ვაშინგტონი არ მოელის, რომ რუსული დემოკრატია ამერიკულის ზუსტი ასლი იქნება.

A5


იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება. B2


## ამინდი

| | 14/10 | 15/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 21 | 20 |
| ტყიბული | 23 | 21 |
| სოხუმი | 21 | 20 |
| დმანისი | 21 | 18 |
| გორი | 20 | 18 |
| ონი | 18 | 16 |
| ზუგდიდი | 24 | 22 |
| ახმეტა | 20 | 21 |
| გაგრა | 21 | 19 |
| სამტრედია | 25 | 21 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8060 |
| ევრო | 2.1630 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1536 |
| რუბლი | 0.0631 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| საზოგადოება | A 8 |
| განცხადებები | B 2 |
| კვირის TV პროგრამა | B 3 |
| სხვადასხვა | B 4 |


# აქ სახელმწიფოს ელოდებიან



ПРИШЕЛ ЧАС ВАЗМЕЗДЕНИЯ!

АРМЯНЕ АХАЛЦИХА! МЫ ИДЕМ! КТО СТ[illegible] У НАС НА ПУТИ - УМРЕТ!

ТЫСЯЧЮ ЛЕТ ВЫ ОТРАВЛЯЕТЕ ВОЗДУХ НАШЕЙ ЗЕМЛИ! УБИРАЙТЕСЬ С НАШЕЙ ЗЕМЛИ В СВОЮ АРМЕНИЮ, РУСИЮ, АМЕРИКУ – КУДА ХОТИТЕ. МЫ НЕ ПОТЕРПИМ СДЕСЬ ДАЖЕ ВСПОМИНАНИЯ О ВАС! НЕ ПЫТАЙТЕСЬ ПРОТИВОСТОЯТЬ ВОЛЕ ВСЕВЫШНЕГО!

СКОРО ЗЕМЛЯ АХАЛЦИХА ОПЯЧТЬ СТАНЕТ НАЩЕЙ, КТО НЕ СЛЫШИТ ЭТОГО СЕЧАС ПОЖАЛЕЕТ ЧТО РОДИЛСЯ. НЕВЕРНЫЕ СОБАКИ ОСТАВТЕ ДОБРО НАМ И БЕГИТЕ СКОРЕЙ ВАШИ ПРЕДКИ ПОМНИТЕ 15 ГОД!

РУССКЕИ ВАМ НЕ ПОМОГУТ, ИХ ЧСЫ НА НАШЕЙ ЗЕМЛЕ ТОЖЕ СОЧТЕНЫ. ИХ ПРОДАЖНЫЕ ШАКАЛЫ АРМЯНЕ ТОЖЕ УБИРАЙТЕСЬ!

ЗНАЙТЕ ЧАС РАСПЛАТЫ ЗА НАШИ УНИЖЕНИЯ БЛИЗОК! ТОРОПИТЕСЬ И НЕ ОШИБИТЕСЬ: УЙТИ – ЖИТЬ, ОСТАТЬСЯ – УМЕРЕТЬ.

АХАЛЦИХ СВОБОДЕН ОТ АРМЯНСКИХ И РУСКИХ СКОТОВ!

БРИГАД ОСВОБОЖДЕНИЯ АХАЛЦИХА

პაატა ვეშაპიძე

ეს პროკლამაცია 12 ოქტომბერს ღამით გაავრცელეს ახალქალაქის ქუჩებში. მისი თარგმნა მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ, რადგან პროკლამაციის ორიგინალური ტექსტი თავისთავად იძლევა უამრავ მასალას ანალიზისა და განსჯისათვის.

პროკლამაცია საქართველოში მცხოვრები სომხების წინააღმდეგაა მიმართული და ვიღაც, "რომლის მიწასაც სომხები წამლავენ", განადგურებით ემუქრება მათ. ნახევარმთვარე და ვარსკვლავი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი მინიშნებაა, მაგრამ ისიც სრულიად დასაშვებია, რომ ეს სიმბოლოები ნამდვილი წყაროს შესანიღბად იყოს გამოყენებული. ახალქალაქში არც იმ ორგანიზაციის შესახებ სმენიათ რამე, რომლის დასახელებაც პროკლამაციის ბოლოსაა მითითებული.

ალბათ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო შეეცდება, უპასუხოს მთავარ შეკითხვას – საიდან გაჩნდა ეს პროკლამაცია? რაც შეეხება მიზანს, ის ცხადზე ცხადია: ამ "ვიღაცას" საქართველოს ისედაც რთულ რეგიონში არეულობისა და უმართავი სიტუაციის შექმნა სურს.

პროკლამაციაში შეგნებულად თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომები და მინიშნებები, თუნდაც ის, რომ ლაპარაკია "ახალციხის მიწაზე", აქცენტირებულია 1915 წელი, მრავალ ვერსიას აღძრავს, მაგრამ, ვინაიდან საქმე ეხება ძალზე პრობლემატურ და სათუთ რეგიონს, მკითხაობას სჯობია, კომპეტენტური ორგანოების კვალიფიციური პასუხი მოვისმინოთ.

ერთი კი უნდა ითქვას: ნებისმიერ გამოძიებაში მთავარია მოტივაციის განსაზღვრა და, თუ იმ "ვიღაცის" ზემოთ დასახელებულ მიზანს მოტივაციად მივიჩნევთ, პროკლამაციის შესაძლო ავტორთა წრე ერთობ დავიწროვდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ოპოზიციურ ძალთა ალიანსმა გაერთიანებული ოპოზიციის დამფუძნებელი ყრილობა გამართა

ზურაბ აფხაზავა

*სოხუმიდან*

აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის ფორუმმა, რომელიც უკვე ექვსი თვეა, რაც პოლიტიკურ საქმიანობას აქტიურად ეწევა, გაერთიანებული ოპოზიციის დამფუძნებელი ყრილობა მხოლოდ 7 ოქტომბერს გამართა. ამიერიდან ფორუმი ოფიციალურად არსებობს და ქვეყნის ყველა ოპოზიციური ძალის მუშაობის კოორდინირებას გეგმავს. მის ლიდერად კვლავ ცნობილი მწერალი გენადი ალამია დარჩა. ფორუმი ათამდე ოპოზიციურ მოძრაობას და საზოგადოებრივ ორგანიზაციას აერთიანებს. თითქმის ყველა მათგანის პოლიტიკურ პროცესებზე გავლენა ნულს უტოლდება; დამოუკიდებლად კი შედეგიანი პოლიტიკური მოღვაწეობა არ ძალუძთ. თუმცა, ცნობილია, რომ სწორედ ამ ორგანიზაციათა ზოგიერთი ლიდერის ამბიციები ხელს უშლიდა ოპოზიციური ძალების ალიანსის შექმნაზე ოფიციალური განაცხადის გაკეთებას. ყველას ლიდერობა სურდა, ფორუმში კი კონსენსუსის მიღწევა რთული აღმოჩნდა.

პოლიტიკურ ბაზარზე გარკვეული წონა ფორუმის შემქმნელთაგან მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას თუ აქვს, რომლის დამფუძნებელიც საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა და გენადი ალამიაა. მასში ორ ათასამდე წევრია გაერთიანებული, თუმცა, პრინციპში, მსგავსი სტრუქტურა ფორუმში რომ არ გაერთიანებულიყო, არაფერი მოხდებოდა. პოლიტიკური ბაზრის ყველაზე ძველი წარმომადგენლებიდან კი აფხაზეთის სახალხო პარტია შედის, რომლის ლიდერიც იაკუბ ლაკობაა. ეს ორგანიზაცია ჯერ კიდევ ომამდე იქმნებოდა. შვიდი-რვა წლის წინ, პარტიას პოლიტიკურ პროცესებზე გავლენა ჰქონდა, მაგრამ ახლა, განსაკუთრებით - არჩევნების შემდეგ, რომლის პირველ ტურშიც ლაკობამ 511 ხმის მიღებით (მაშინ, როდესაც პარტიაში 800 ადამიანია), მეხუთე ადგილი აიღო, ორგანიზაციას აღარანაირი გავლენა აღარ აქვს და საერთოდაც, მას როგორც კარიკატურას, ისე აღიქვამენ. ამასთან, პარტიაში წელს რამდენიმე სკანდალი მოხდა და იგი უამრავმა წევრმა დატოვა. ახლა, პოლიტიკურ საბჭოშიც კი ისეთი ხალხია, ვისაც საერთოდ არავინ იცნობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჩრდილოეთ კავკასიაში ბრძოლა გრძელდება

### ნალჩიკზე თავდასხმა დღემდე ყველაზე მასშტაბური იყო





*დაღუპულთა და დაჭრილთა შესახებ განსხვავებული ცნობები ვრცელდება, მაგრამ, აშკარაა, რომ შეტაკებებისას თავდამსხმელებთან ერთად, ათობით მშვიდობიანი მოქალაქე და რუსი ძალოვანი დაიღუპა.*

ნიკა თარაშვილი

*ოთხშაბათს, 13 ოქტომბერს ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის დედაქალაქი ნალჩიკი ბრძოლის ველად გადაიქცა. 300 ათასიან ქალაქზე უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა მასირებული შეტევა განახორციელეს. აღსანიშნავია, რომ სროლა და აფეთქებების ხმა მთელ ქალაქში, მის სხვადასხვა უბანში ისმოდა. დაღუპულთა და დაჭრილთა შესახებ განსხვავებული ცნობები ვრცელდება, მაგრამ აშკარაა, რომ შეტაკებებისას თავდამსხმელებთან ერთად, ათობით მშვიდობიანი მოქალაქე და რუსი ძალოვანი დაიღუპა. ჩეჩნური საინფორმაციო სააგენტო "კავკაზცენტრ"-ის ინფორმაციით, ნალჩიკში "კავკასიური ფრონტის" მეომრები შეიჭრნენ (რესპუბლიკა იჩქერიას სამხედრო ძალების სტრუქტურული ქვედანაყოფები. მის ერთ-ერთ დამრტყმელ ძალას ყაბარდო-ბალყარეთის ჯამაათი "იარმუკი" წარმოადგენს).*

გაგრძელება A5 გვერდზე

# ერთი სახლის ისტორია და გადაბარებული ვალდებულებები

*გასული წლის 30 აპრილს, დადიანის 22 ნომერში მდებარე საცხოვრებელი სახლის ფასადი მთლიანად ჩამოინგრა. ქალაქის მაშინდელი მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის, თბილისის არქიტექტურის სამსახურისა და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ძალისხმევით, პრობლემის მოგვარების გზა გამოიძებნა. დადიანის ქუჩის მცხოვრებლებს მუნიციპალიტეტი ლერმონტოვის 8 ნომერში მდებარე შენობას გადასცემდა, ხოლო ამის სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტს დადიანის 22 ნომერში მდებარე ისტორიული ძეგლი დარჩებოდა. არქიტექტურის სამსახურმა გაამზადა პროექტი, რომელიც ქონების მართვის სამსახურს გადაეცა. 11 აგვისტოს ტენდერი უნდა გამოცხადებულიყო, რომელიც დღემდე არ გამოცხადებულა. მოსახლეობა მიიჩნევს, რომ მათი პრობლემის მოგვარებას მუნიციპალიტეტი შეგნებულად აფერხებს, რის გამოც, მათ ავარიულ სახლში ცხოვრება უწევთ.*

თამარ დვალი

2003 წელს ზავროევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტმა დადიანის 22 ნომერში მდებარე სახლის მდგომარეობა შეისწავლა და დასკვნაში მიუთითა, რომ შენობა მწვავე ავარიულია და რეკონსტრუქციას აღარ ექვემდებარება. წლების განმავლობაში მოსახლეობის თხოვნას, რომ კერძო ინვესტორის მოყვანის ნება დაერთოთ, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი უარით პასუხობდა.

გაგრძელება A8 გვერდზე



იური მეჩითოვის ფოტო

*დადიანის 22.*

# რუსეთის აგრესია და ჩეჩნური ექო

*რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, რეგიონული ოპერატიული შტაბის უფროსის არკადი ედელევის განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორია ჩეჩენი ბოევიკებისთვის კვლავ სატრანზიტო სივრცეს წარმოადგენს და რამდენიმე ათეული ბოევიკი პანკისის ხეობაში უკვე იმყოფებოდა სამკურნალოდ, ხეობაში მცხოვრები ჩეჩენი დევნილები კატეგორიულად უარყოფენ და ამბობენ, რომ ბოევიკები საზღვარს რუსი სამშვიდობოების გარეშე ვერ გადმოკვეთდნენ. ჩეჩნები რუსეთის ახალი ისტერიის ერთ-ერთ მიზეზად, რამდენიმე ხნის წინ, იჩქერიის დევნილი პრეზიდენტის მიერ საქართველოში საპატიო კონსულად დანიშნულ ეროვნებით ქართველს ასახელებენ.*

ზვიად რუაძე

*კახეთიდან*

რუსეთიდან აგორებულ სკანდალებს იმის შესახებ, თითქოს პანკისის ხეობაში ბოევიკები კვლავ შედიან, ხეობაში მცხოვრები ჩეჩენი დევნილები შეგუებულნი არიან. დევნილების თქმით, ოფიციალური მოსკოვი ამჯერად რამდენიმე დღის წინ, საქართველოში იჩქერიის საპატიო კონსულის დანიშვნამ გააღიზიანა. ყოფილი პარლამენტარი, ფრაქცია "აფხაზეთის" წევრი გერმანე ფაცაცია ამ თანამდებობაზე იჩქერიის დევნილმა პრეზიდენტმა, გარდაცვლილი ასლან მასხადოვის შემცვლელმა, აბდულ-ხალიმ საიდულაევმა წარადგინა. ოფიციალური მოსკოვის აგრესია, სწორედ კონსულად ქართველი ეროვნების ადამიანის დანიშვნამ გამოიწვია, რასაც საქართველოში ჩეჩნურ-ქისტური სათვისტომოს ხელმძღვანელის ხიზრი ალდამოვისა და თავად გერმანე ფაცაციას განცხადებები დაემატა. **"ეს არის სიმბოლურად მხარდამჭერი ნაბიჯი ურუსეთო, უიმპერიო კავკასიისკენ. მე თეორიულადაც და ფიზიკურადაც მიბრძოლია კავკასიელების ერთიანობისთვის. თავად ჩეჩნების სურვილი იყო, რომ დამკისრებოდა ეს საპატიო მისია, რასაც ადრე პრაქტიკულად ისედაც ვასრულებდი. ხიზრი ალდამოვი და ახმედ ზაკაევი ჩემი ძმადნაფიცები არიან, ამიტომ მათ თხოვნას დავემორჩილე,"** - აცხადებს გერმანე ფაცაცია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ცვლილებები ქართული ბიზნესის დასამარხად თუ გადასარჩენად...

*საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტმა პრეზიდენტის დირექტივა არ შეასრულა და წიაღის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი პირველივე მოსმენით არ მიიღო. კომიტეტის წევრთა უმრავლესობის განცხადებით, აღნიშნული პროექტის ამოქმედება ჩვენს ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს მოსპობს.*

ნანა ქადაგიშვილი

"ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" კანონის ამოქმედების შემდეგ, ლიცენზიების, მათ შორის - წიაღით სარგებლობის ლიცენზიის, გაცემის წესი შეიცვალა. სწორედ ამან განაპირობა წიაღის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა და გარემოს დაცვის სამინისტროს შესაბამისი კანონპროექტის მომზადება დაევალა. სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი პრეზიდენტმა მოიწონა და გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტს წარუდგინა განსახილველად. ცვლილებების პროექტი წიაღის შესახებ კანონის მეათე მუხლის მეოთხე და მეხუთე პუნქტების ამოღებას ითვალისწინებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში 5 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება

ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში 5 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება. როგორც მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ ნათია თურნავამ განაცხადა, სამინისტრომ თელავის რაიონში, სოფელ წინანდალში მდებარე სახელმწიფო ქონების 49 წლის იჯარით გაცემის თაობაზე კონკურსი გამოაცხადა. იჯარით გასაცემი შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი 22 485 კვ.მ და მასზე დამაგრებული მიწა 178 963 კვ.მ-ია. მათ შორის - ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, სასტუმრო სახლი, სასადილო, ადმინისტრაციული შენობა, ღვინის ქარხანა. წლიური საიჯარო ქირის საწყისი ფასი 70 000 დოლარით განისაზღვრა. თურნავას განცხადებით, კონკურსის პირობების მიხედვით, მოიჯარე სახლ-მუზეუმის მართვას საქართველოს სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელებს და 2 წლის განმავლობაში 5 მილიონი დოლარის ინვესტიციას ჩადებს. **"ეს კულტურული ძეგლის მართვაში გაცემის პირველი მცდელობაა. თუ წარმატებული აღმოჩნდება, სხვა კულტურულ ძეგლებზეც ანალოგიურ ღონისძიებებს გავატარებთ,"** - განაცხადა ნათია თურნავამ.

ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის საკითხი გუშინ პარლამენტშიც აქტუალური იყო. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის დავალებით, განათლების და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტები წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის იჯარით გაცემის საკითხს შეისწავლან. აღნიშნული განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ პლენარულ სხდომაზე მას შემდეგ გააკეთა, რაც "რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენლებმა მიუღებელი უწოდეს მთავრობის სურვილს, სახლ-მუზეუმის 49-წლიანი იჯარით გაცემასთან დაკავშირებით. ბურჯანაძის განცხადებით, შესაბამისმა კომიტეტებმა საკითხი უნდა შეისწავლონ და დასკვნა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წარმოადგინონ. პარლამენტის თავმჯდომარის ვარაუდით, შესაძლოა, მთავრობამ მუზეუმის გასხვისება მისთვის სტატუსის შენარჩუნების და მოვლის მიზნით განიზრახა. **ინტერპრესნიუსი**

### მოკლედ

### გურიის მხარეში სახელმწიფოს რწმუნებულის პოსტზე კანდიდატურა გამოჩნდა

**გურია.** გურიის მხარეში სახლმწიფოს რწმუნებულის პოსტზე პარლამენტის წევრის ალეკო ცინცაძის კანდიდატურა განიხილება. ამის შესახებ გუშინ ოზურგეთის "ნაციონალურ მოძრაობაში" განაცხადეს. "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელთა განცხადებით, ალეკო ცინცაძის კანდიდატურას, რომელიც წარმოშობით ჩოხატაურის რაიონიდანაა, კანცელარიაში უახლოეს დღეებში განიხილავენ და ამ დღეებშივე იგეგმება მისი ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრა.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გურიის გუბერნატორთან დაკავშირებით განცხადება გასულ კვირას, ოზურგეთში სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან გააკეთა. მან აღნიშნა, რომ ცენტრალური ხელისუფლება კრიტიკულ სიტუაციაში გურიის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლის ირაკლი გორგაძის ქმედებას აფასებს, როგორც უკიდურესად კარგს. ჟურნალისტის შეკითხვაზე, დატოვებს თუ არა ის გორგაძეს გუბერნატორის თანამდებობაზე, სააკაშვილმა განაცხადა: "რა თქმა უნდა, აუცილებლად."

გურიის გუბერნატორის თანამდებობა მიმდინარე წლის 9 მაისიდან, მას შემდეგ, რაც ყოფილი გუბერნატორი ჟანი კალანდაძე ავტოკატასტროფაში დაიღუპა, ვაკანტურია და მის მოვალეობას ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ჟანი კალანდაძის მოადგილე ირაკლი გორგაძე ასრულებდა. **ინტერპრესნიუსი**

### ნინო ბურჭანაძე ნალჩიკში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა

**თბილისი**. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დღეს ნალჩიკში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა. ბურჯანაძის განცხადებით, მას აცნობეს, რომ ბოევიკები ყაბარდო-ბალყარეთის შს სამინისტროს შენობაში შეიჭრნენ, ქუჩებში ბრძოლები მიმდინარეობს და არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. ბურჯანაძის თქმით, საქართველოს პარლამენტი თანაგრძნობას უცხადებს ნალჩიკის მოსახლეობას და იმედოვნებს, რომ სიტუაცია სულ მალე კონტროლს დაექვემდებარება. "ნალჩიკში მომხდარი ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რამდენად დიდ საშიშროებას წარმოადგენს უკონტროლო შეიარაღებულ ადამიანთა დაჯგუფებები," – აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე. **ინტერპრესნიუსი**

### ვიზიტი დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების დარეგულირება პირდაპირ კავშირშია რეგიონის სტაბილურობასთან. ზურაბიშვილის განცხადებით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების დასარეგულირებლად 2006 წელს მნიშვნელოვანი და ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას. "წინააღმდეგ შემთხვევაში, 2007 წელი საქართველოსთვის კრიზისული იქნება," - აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა ლონდონში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჯეკ სტროუსთან გამართულ დღევანდელ შეხვედრაზე.

სალომე ზურაბიშვილი დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

### საკონტროლო კომისიის სხდომა მოსკოვში

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული საკონტროლო კომისიის (შსკ) მორიგი სხდომა 24-25 ოქტომბერს, მოსკოვში გაიმართება. კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, ქართულ დელეგაციას სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა უხელმძღვანელებს.

მოსკოვის შეხვედრაზე ქართული მხარე სხდომის მონაწილეებს შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატთან და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ზონაში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციასთან დაკავშირებით ოფიციალური თბილისის მიდგომებსა და დამოკიდებულებას გააცნობს.

შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა 24 სექტემბერს ვლადიკავკაზში უნდა გამართულიყო, მაგრამ 20 სექტემბერს, "სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის დღეს" ცხინვალის დაბომბვის შემდეგ, ოსურმა მხარემ შსკ-დან საკუთარი წარმომადგენელი, სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი გამოიწვია. მიუხედავად ამისა, წინასწარი მონაცემებით, ბორის ჩოჩიევი მოსკოვში დაგეგმილ სხდომაში მონაწილეობას მაინც მიიღებს. **ინტერპრესნიუსი**

### 20-21 ოქტომბერს სოხუმში ქართულ-აფხაზური შეხვედრა გაიმართება

**სოხუმი.** ქართული და აფხაზური მხარეები აფხაზეთის კონფლიქტის ზონის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებზე 20-21 ოქტომბერს სოხუმში, გაეროს ეგიდით დაგეგმილ შეხვედრაზე იმსჯელებენ. კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, შეხვედრას ქართული მხრიდან საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა უხელმძღვანელებს. აფხაზეთის კონფლიქტის ზონის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების მექანიზმების შემუშავებაზე კონსულტაციების წარმოება მხარეებმა 2003 წლის ივლისში დაიწყეს. ამავე საკითხებზე მუშაობის გაგრძელების შესახებ მხარეები 2005 წლის აპრილში ჟენევაში, გაერო-ს ინიციატივით, გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენელთა მონაწილეობით გამართულ მორიგ შეხვედრაზე შეთანხმდნენ. 2005 წლის აგვისტოში თბილისში გამართულ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას აფხაზეთის კონფლიქტის ზონის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შესახებ დოკუმენტი გადასცა. **ინტერპრესნიუსი**

აბიტურიენტი 2005

გთავაზობთ

აბიტურიენტებისა და დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის

სავალდებულო სახელმწიფო ტესტირების მოსამზადებელ კურსებს შემდეგ დისციპლინებში:

თბილისი, 1/63ა/4

93 40 75; 99 04 50; 899 19 07 67

ბათუმი, 58, ბინა 11,

3 15 85; 899 57 41 38

## დაგეგმილი სკანდალის ნაცვლად - დაუგეგმავი შეტაკება

გიორგი ასანიშვილი

*საჩოთირო პოლიტიკური დავები, ხშირად, კულუარებში გვარდება. ასე მოხდა იმ დროებით საგამოძიებო კომისიასთან დაკავშირებითაც, რომელიც დეპუტატ კობა ბექაურის სახელთან ასოცირდება და ტერმინალ "ოპიზაში" პარლამენტართა ბიზნესინტერესებში უნდა გაერკვეს. ამ საკითხზე მისაღები დადგენილების პროექტი უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის დახურულ კარს მიღმა გამართულ კონსულტაციებზე შემუშავდა, პლენარულ სხდომაზე კი მხოლოდ მისი ოფიციალური გაფორმება მოხდა.*

დიდი ხმაურითა და სკანდალური განცხადებებით გახსნილი თემა საკმაოდ წყნარად დაიხურა. გადაწყდა, რომ 15-კაციან დროებით საგამოძიებო კომისიაში სახელისუფლებო ფრაქციას ხუთი წარმომადგენელი ეყოლება, დანარჩენ 10 ადგილს კი მისი სატელიტი პოლიტიკური ჯგუფები და ოპოზიცია გადაინაწილებს. კომისიის უფლებამოსილების ვადა სამი თვით განისაზღვრა, მისი პერსონალური შემადგენლობა კი 21 ოქტომბრამდე დადგინდება. გადასაწყვეტი რჩება მხოლოდ საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელის საკითხი, რომელზეც უმრავლესობა და ოპოზიცია ჯერჯერობით ვერ შეთანხმდა.



კომისიის დაკომპლექტება კვლავ გადაიდო.

კულუარული გარიგებებით "მემარჯვენე ოპოზიცია" კმაყოფილია. ის, რომ ფრაქცია "ნაციონალურ მოძრაობა-დემოკრატებს" შეეძლო, კომისიაში შვიდი ადგილი მიეღო, მაგრამ ხუთით დაკმაყოფილდა და ორი მანდატი ბესო ჯუღელის ფრაქციას გადაულოცა, მამუკა კაციტაძემ უმრავლესობის მიერ გამოვლენილ "სარეგლამენტო დიდსულოვნებად" მონათლა.

თუმცა, სახელისუფლებო ფრაქცია ოპოზიციას აფრთხილებს, რომ ასეთი დიდსულოვნების იმედი სხვა დროს აღარ უნდა ჰქონდეს. **"სხვა საპარლამენტო კომისიების ან დელეგაციების დაკომპლექტების დროს, კვოტირება რეგლამენტის მიხედვით მოხდება,"** - აცხადებს საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი.

თუ "ბექაურის კომისიის" ირგვლივ გუშინ მორიგ სკანდალს ელოდნენ და ის არ შედგა, სხვა შემთხვევაში პირიქით მოხდა. კერძოდ, ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენას რაიმე გართულება მოჰყვებოდა, მაგრამ ტრიბუნიდან ნოდარ გრიგალაშვილის ჩამოსვლისთანავე სხდომათა დარბაზში მწვავე პოლემიკა გაჩაღდა.

მას თავად მომხსენებელმა დაუდო სათავე, როდესაც გამოსვლის ბოლოს განაცხადა, რომ **"განათლების რეფორმას თავის დაცვა უხდებოდა, ერთი მხრივ, შარაძიზმისგან და მეორე მხრივ, თუთბერიძიზმისგან."**

ასეთმა შეფასებამ კობა დავითაშვილს "ცნობისმოყვარეობა გაუღვიძა" და "კონსერვატორთა" ლიდერი დაინტერესდა, თუ რით განსხვავდება თუთბერიძე ბოკერიასგან. ამ უკანასკნელმა კობა დავითაშვილს კიდევ ერთი ჩხვლეტის საბაბი მაშინ მისცა, როდესაც სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ "დღეს არსებული სახით, მეცნიერებათა აკადემია საბჭოთა კავშირის უკანასკნელ ნამსხვრევს წარმოადგენს."

**"საქართველოში ისეთივე კულტურული რევოლუცია მოხდა, როგორიც თავის დროზე ჩინეთში. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ხუნვეიბინელები მეცნიერებს ფანჯრებიდან ყრიდნენ, გიგა ბოკერია კი ჯერ აქამდე არ მისულა და ღვაწლმოსილი ადამიანების სამსახურიდან დათხოვნით კმაყოფილდება,"** - ყოფილი თანამებრძოლის კრიტიკის ხასიათზე იყო გუშინ კობა დავითაშვილი.

უარყოფით კონტექსტში გიგა ბოკერიას სახელმა კიდევ ერთხელ მაშინ გაიჟღერა, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარემ პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზით გამცდენთა ვინაობა გამოაცხადა. გამცდენთა სიაში, ბოკერიას გარდა, აღმოჩნდნენ ნოდარ გრიგალაშვილი, ჰამლეტ მოვსესიანი, ალახვერდ უმბათოვი, გიორგი არველაძე...

ის ფაქტი, რომ გიორგი არველაძე პრეზიდენტის დავალებებს ასრულებს და პლენარულ სხდომებს ამიტომ ვერ ესწრება, ნინო ბურჯანაძეს საპატიო მიზეზად მიაჩნია, თუმცა, იქვე დასძენს, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოვალეობის შემსრულებელს, სხდომების გაცდენისთვის, ხელფასი მაინც დაექვითება. არველაძისთვის გამოტანილი სასჯელის ეს ზომა ოპოზიციას არ აკმაყოფილებს. გუშინდელ პლენარულ სხდომაზე "მემარჯვენეები" და "რესპუბლიკელები" დაჟინებით ითხოვდნენ, რომ არველაძემ ორიდან ერთ-ერთი დათმოს - ან დეპუტატის მანდატი, ან პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სავარძელი.

გიორგი არველაძის ნაცვლად, ნინო ბურჯანაძე დებს იმის პირობას, რომ ასეთი "გაორება" დიდხანს აღარ გაგრძელდება და მალე პარლამენტარი საბოლოო არჩევანს გააკეთებს.

## ცვლილებები ქართული ბიზნესის დასამარხად თუ გადასარჩენად...

პირველი გვერდიდან

**"წიაღით მოსარგებლეს, გარდა ამ მუხლის მეხუთე პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, აქვს წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების უპირატესი უფლება..."** – წერია კანონის მეათე მუხლის მეოთხე პუნქტში. ამავე მუხლის მეხუთე პუნქტის მიხედვით კი, განსაკუთრებული საბადოების სიახლოვეს განლაგებული წიაღით სარგებლობის ობიექტზე, ახალი კონკურსის გამოუცხადებლად, ლიცენზიის ვადის გაგრძელება დაუშვებელია. აღნიშნული ცვლილებიდან გარემოს დაცვის კომიტეტის წევრთა პროტესტი კანონიდან მეათე მუხლის მეოთხე პუნქტის ამოღებამ გამოიწვია. **"ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში არც ერთი სერიოზული ინვესტორი ფულს აღარ ჩადებს, ეს ბიზნესის საბოტაჟია,"** – კომიტეტის წევრთა უმრავლესობის აღშფოთება პრეზიდენტის დირექტივამაც ვერ შეარბილა (როგორც კომიტეტის ხელმძღვანელმა თამაზ ხიდეშელმა თანაკომიტეტელები გააფრთხილა, პრეზიდენტს წიაღის შესახებ კანონში ცვლილებების კანონპროექტის პირველივე მოსმენით მიღება მოუთხოვია).

უფრო კონკრეტულად რომ განვმარტოთ, "ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" კანონი წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ვადის გასვლის შემდეგ, 2007 წლიდან, ლიცენზიების აუქციონის წესით გაყიდვას ითვალისწინებს. წიაღის შესახებ კანონიდან მეათე მუხლის მეოთხე პუნქტის ამოღება, ანუ ლიცენზიის ვადის გაგრძელების აკრძალვა და ყველა ლიცენზიის აუქციონის წესით გაყიდვა კი ნიშნავს, რომ ლიცენზიების ძველი მფლობელები, რომელთაც კომპანიის ჩამოყალიბებაში სერიოზული ინვესტიცია ჩადეს, საქმეააწყვეს, შეიძლება, მშრალზე დარჩნენ, მათ მიერ აწყობილი ბიზნესი კი აუქციონზე მეტი თანხის გადამხდელ კომპანიას მზამზარეულად ერგოს. **"საქართველოში საერთაშორისო მასშტაბის კომპანიები, ფაქტობრივად, არ არსებობს. ყველაზე დიდი კომპანიების წლიური ბრუნვა 6 მილიონ დოლარს არ აღემატება. თუკი წიაღის შესახებ კანონში აღნიშნულ ცვლილებას ამ სახით შევიტანთ, ამ კომპანიებსაც დავასამარებთ,"** – აცხადებს კომიტეტის წევრი კახა ოქრიაშვილი.

**"გამორიცხული არ არის, ამ გზით, მსხვილი, წარმატებული კომპანიები კონკურენტებმა მიზანმიმართულად ჩაძირონ. მსოფლიოში ასეთი პრაქტიკა არსებობს. აუქციონზე გამარჯვებული კომპანია კონკურენტი მსხვილი კომპანიის ნაცვლად ყიდულობს ლიცენზიას და არაფერს აკეთებს, ბიზნესს აჩერებს. შემდეგ, ვადის გასვლამდე, ლიცენზიას ახლობელზე გაასხვისებს (ამის საშუალებას ჩვენი კანონი იძლევა), რათა სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობის გამო, სახელმწიფოს, ვადის გასვლის შემდეგ, ლიცენზია არ ჩამოართვას. მისი ახლობელიც ასევე იქცევა - არაფერს აკეთებს და, ასე და ამგვარად, ერთ დროს წარმატებული ბიზნესი კვდება,"** - აღნიშნული ცვლილების დაფარულ მხარეს განმარტავს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გია თორთლაძე.

როგორც გარემოს დაცვის სამინისტროში აცხადებენ, ლიცენზიის ძველ მფლობელს ის უპირატესობა ექნება, რომ ლიცენზიის ღირებულების საწყისს ფასს გადაიხდის, მაგრამ გარემოს დაცვის კომიტეტის წევრები ამ განმარტებით არ კმაყოფილდებიან. **"ლიცენზიის ძველ მფლობელს, რეალურად, მაინც საწყის ფასზე ბევრად მეტის გადახდას მოსთხოვენ. კანონში ბიზნესზე ზეწოლის ყველა ხვრელი უნდა ამოვქოლოთ,"** – აცხადებენ კომიტეტში და გარემოს დაცვის სამინისტროს წიაღის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის კორექტირების რამდენიმე ვარიანტს სთავაზობენ - აუქციონის წესით მხოლოდ ახალი ლიცენზიები გაიყიდოს, ძველ მფლობელს უვადოდ გაუგრძელდეს, ან უფასოდ გადაეცეს, სანაცვლოდ კი - მოსაკრებელი გაეზარდოს; ან აუქციონზე ლიცენზიის ძველ მფლობელს უპირატესობა მიენიჭოს და ჩადებული ინვესტიცია ლიცენზიის საფასურში ჩაეთვალოს.

გარემოს დაცვის სამინისტრომ კანონპროექტის კორექტირებული ვარიანტი კომიტეტს, სავარაუდოდ, მომავალ კვირას უნდა წარუდგინოს. მსხვილი ქართული კომპანიის ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ ხელისუფლება არ გაწირავს. **"გამოვრიცხავ, ვინმეს ისეთი განზრახვა ჰქონდეს, რომ ყველა ლიცენზია აუქციონზე გაიტანოს. წარმოიდგინეთ, საკუთარი სასაქონლო ნიშანი მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში დაარეგისტრირეთ, ამ დროს კი შენს ლიცენზიას სხვა კომპანია ყიდულობს და შენს მიერ დაკავებულ ბაზარს ხელში იგდებს. ეს არც ინვესტორისთვის არის მომგებიანი და არც სახელმწიფოსთვის. ვფიქრობ, წიაღის შესახებ კანონის მეათე მუხლი არასწორად გააცნობიერეს. კანონი ლიცენზიის ავტომატურ გაგრძელებას არ გულისხმობს. ლიცენზიის ვადის გასვლის შემდეგ ინვესტორს გარემოს დაცვის სამინისტროში განაცხადი შეაქვს ლიცენზიის გაგრძელების თაობაზე და სახელმწიფოს გადასაწყვეტია, ლიცენზიას გაგრძელებს თუ არა. არა მგონია, კანონიდან ეს მუხლი საერთოდ ამოიღონ, ალბათ, გარკვეულ შესწორებებს შეიტანენ,"** – იმედს არ კარგავს "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" პრეზიდენტის მოადგილე ბადრი ჯაფარიძე.

## შესაძლოა, საქართველოში ACAMS-ის წარმომადგენლობა გაიხსნას

საქართველოს ეროვნული ბანკის, საბანკო ასოციაციისა და საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტის თაოსნობით, სავარაუდოა, რომ ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლ სერთიფიცირებულ სპეციალისტთა ასოციაციის (ACAMS) წარმომადგენლობა გაიხსნას. ამის შესახებ ითქვა გუშინ, საქართველოს ეროვნულ ბანკში გამართულ აღნიშნული ასოციაციის პრეზენტაციაზე.



შეხვედრა ეროვნულ ბანკში.

პრეზენტაციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მოქმედი 17 კომერციული ბანკის, სადაზღვევო კომპანიების ასოციაციის, ფასიანი ქაღალდების კომისიის, საქართველოს ბიზნესმენთა ასოციაციის, საქართველოს გენერალური პროკურატურის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, აშშ-ს საელჩოს, ევრობანკის, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, აშშ-ს ადვოკატთა ასოციაციის, საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტის, საქართველოს საბანკო ასოციაციისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებმა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რომან გოცირიძის განცხადებით: **"ეროვნული ბანკი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ახალ ინიციატივას მიესალმება. ეს ნაბიჯები მიმართულია ქვეყნის საბანკო სისტემის იმიჯის ასამაღლებლად მსოფლიო მასშტაბით. თუ საქართველოში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში საერთაშორისო დონის სერთიფიკატის მისაღებად საჭირო სპეციალისტები მომზადდება, ნებისმიერ კომერციულ ბანკს, სადაზღვევი კომპანიას, პროკურატურის ორგანოებსა თუ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს პროფესიონალი ექსპერტების დახმარების მიღება შეეძლებათ. ბოლო პერიოდში მსოფლიოში ტერორიზმის მძვინვარების ფონზე, შავი ფულის ლეგალიზების თემამ აქტუალობა შეიძინა. ამ და სხვა მრავალი უკანონო ქმედებების აღკვეთა საერთაშორისო თანამეგობრობის საფინანსო სისტემის საზრუნავი გახდა. ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნული ბანკი სერიოზულად მუშაობს."**

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებით, მომავალ თვეში იგი რუსეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის წინაშე კვლავ აპირებს აფხაზეთში რუსული ბანკების უკანონო საქმიანობის საკითხის დაყენებას და, თუ ამ ნაბიჯმა შედეგი არ მოიტანა, ეროვნული ბანკი რეაგირებისათვის ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლ საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს.

ცნობისათვის, ACAMS ფულის გათეთრების წინააღმდეგ შემუშავებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს სხვადასხვა ქვეყნებში ნერგავს. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთისა და ტერორიზმის დაფინანსების ბრძოლის საკითხებში ასოციაცია ექსპერტთა სწავლება-მომზადებას ახორციელებს. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის პროცესის გლობალიზაციას.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლ სერთიფიცირებულ სპეციალისტთა ასოციაცია ACAMS (Association of Certified Anty-Money laundering Specialists) 2001 წლის 7 ნოემბერს, აშშ-ში ქ. მაიამიში ჩამოყალიბდა, რომელიც 100 ქვეყნის 2800-ზე მეტ პროფესიონალ ექსპერტს აერთიანებს.

ასოციაციას ჰყავს საკონსულტაციო საბჭო, რომელსაც FATF-ის (ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფი) ყოფილი პრეზიდენტი კლერი ლო ხელმძღვანელობს. საბჭოს წევრები არიან Bank of America-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯეიმს რიჩარდსი, ABN-AMRO-ს ვიცე-პრეზიდენტი მერი ბრაუნანი, Citigroup-ის დირექტორი რიჩარდ სმოლი.

*24 საათი*

### მოკლედ

### ენერგოკომპანია 2 დღის განმავლობაში 150 მეგავატით შეიზღუდება

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია 2 დღის განმავლობაში 150 მეგავატით შეიზღუდება. შეზღუდვის მიზეზია ზესტაფონის 500-კილოვოლტიან ქვესადგურზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის გამოც გამოირთვება მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები "იმერეთი" და "ქართლი 2." სამუშაოები დაიწყება 15 ოქტომბერს, დილის 6 საათზე და 16 ოქტომბერს, 20 საათზე დასრულდება.

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია ბოდიშს უხდის აბონენტებს ენერგოკომპანიისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით ელ. ენერგიის მოსალოდნელი შეზღუდვების გამო. ამასთან, ენერგოკომპანია იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული სამუშაოები და, შესაბამისად, შეზღუდვები არ გაცდება დასახელებულ ვადებს. **24 საათი**

### ზურაბ ნოღაიდელი: გაზის და დენის მოწოდების მხრივ საქართველოს რუსეთთან პრობლემა არ აქვს

გაზის და დენის მოწოდების მხრივ საქართველოს რუსეთთან პრობლემა ჯერჯერობით არ აქვს. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ხუთშაბათს, მთავრობის სხდომის შემდეგ, ჟურნალისტებისთვის რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადების კომენტირებისას განაცხადა.

რუსული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, სერგეი ლავროვმა საქართველოსთვის და დსთ-ს რამდენიმე ქვეყნისთვის ენერგომატარებლების გაძვირების ინიციატივა ოთხშაბათს, სახელმწიფო სათათბიროს ზედა პალატის წარმომადგენლებთან შეხვედრისას დააყენა. **"რა ფორმით ამყარებენ თავიანთ ურთიერთობებს საქართველო, უკრაინა და აზერბაიჯანი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან – იქნებ, რუსეთთან ტრადიციულად ჩამოყალიბებული ურთიერთობებისთვის ზიანის მიყენებით,"** - განუცხადა ლავროვმა რუს დეპუტატებს და, ეკონომიკური სანქციის სახით, დენის და გაზის გაძვირება შესთავაზა.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის განმარტებით, ამ ეტაპზე საქართველოს რუსეთისგან გაზის მიღების პრობლემა არ გააჩნია. "მიმდინარე კვირას "თბილსრესის" მე-4 ენერგობლოკის ასამუშავებლად გაზი რუსული კომპანია "გაზპრომისგან" ოპერატიულად და მოთხოვნის შესაბამისი მოცულობით მივიღეთ," - განაცხადა მთავრობის სხდომის შემდეგ გილაურმა. მისი თქმით, საქართველო რუსეთისგან გაზს წლის ბოლომდე გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით იღებს, ხოლო ახალი ხელშეკრულება "გაზპრომთან" წლის ბოლოსთვის გაფორმდება. როგორ შეიცვლება ამჟამად არსებული ფასი, 1000 კუბური მეტრი - 60-65 აშშ დოლარი, ჯერჯერობით უცნობია. "გაზპრომი" საორიენტაციო ფასად 110 აშშ დოლარს ასახელებს. **პრაიმ-ნიუსი**

### გადაწყვეტილების შეცვლა "ევრაზჰოლდინგს" 10 მლნ დოლარი დაუჯდა

სააქციო საზოგადოება "ჭიათურმარგანეცის" ყიდვაზე უარის თქმა "ევრაზჰოლდინგს" 10 მილიონი აშშ დოლარი დაუჯდა. ევრაზჰოლდინგის" ინფორმაციით, ამ თანხის დეპოზიტი, რომელიც კომპანიამ საქართველოს მთავრობის ანგარიშზე შეიტანა, ჩამოიწერა, რადგან თანხა "დაბრუნებას არ ექვემდებარება."

"ევრაზჰოლდინგმა" სააქციო საზოგადოება "ჭიათურმარგანეცის", "ვარციხჰესის კასკადის" შეძენაზე უარი მიმდინარე წლის ივნისში თქვა. თავისი გადაწყვეტილების მოტივად "ევრაზჰოლდინგმა" ექსპერტთა მიერ აღნიშნული საწარმოების ღრმა ანალიზის შემდეგ გადაწყვიტა, რომ "ჭიათურმარგანეცისა" და "ვარციხჰესის კასკადის" განვითარებაში ჩადებული თანხები სერიოზულ მოგებას არ მოიტანდა და ფინანსურ დაბანდებებს ვერ გაამართლებდა. "ჭიათურმარგანეცისა" და "ვარციხჰესის კასკადის" საპრივატიზაციო კონკურსი მიმდინარე წლის დასაწყისში ჩატარდა. "ევრაზჰოლდინგი" ქართულ მხარეს ამ ობიექტებისთვის 132 მილიონ აშშ დოლარს სთავაზობდა. **ინტერპრესნიუსი**

### საქართველოს საბანკო სისტემაში შავი ფულის გათეთრების მცდელობის ფაქტები აღმოაჩინეს

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა საქართველოს საბანკო სისტემაში შავი ფულის გათეთრების მცდელობის ფაქტები აღმოაჩინა. როგორც "მედიანიუსს" ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ გეგუჩაძემ განუცხადა, არსებობს გარკვეული ფაქტები რომელიც გამოსაძიებლად პროკურატურას გადაეცა. მისი თქმით, რამდენი დღის წინათ იყო შემთხვევა, როცა კომერციულმა ბანკებმა ოფშორული ზონებიდან ფულის გადმორიცხვის შესახებ მონიტორინგის სამსახურს ერთი დღის დაგვიანებით აცნობეს. როგორც გეგუჩაძემ "მედიანიუსს" განუმარტა, ამ ბანკების შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია. ერთი დღის დაგვიანების გამო ისინი 1000 ლარით დაჯარიმდნენ. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# აქ სახელმწიფოს ელოდებიან

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება თავად მოსახლეობას, ამ პროკლამაციამ ხალხი ძალიან შეაშინა, მაგრამ ახალქალაქელები შეუშინდნენ არა იმ "ვიღაცის" მუქარას - წასვლა გადარჩენაა, დარჩენა – სიკვდილიო, არამედ ისინი შეაშფოთა რეგიონში არეულობის საფრთხემ და მათ შეშფოთებას სრულიად პრაგმატული საფუძველი აქვს. ამ პრაგმატიზმის დემონსტრირებისთვის მშვენიერი მაგალითია მოკლე დიალოგი ახალქალაქის რაიონის სოფელ ხოსპიოს მცხოვრებთან:

- პროკლამაცია წაიკითხეთ დღეს დილით?

- მითხრეს, მაგრამ არ წამიკითხავს.

რატომ?

სისულელეა და იმიტომ.

როგორ ფიქრობთ, ვისი ნახელავია ეს სისულელე?

არ ვიცი, მაგრამ ის ჩვენი მტერია.

"ჩვენ"-ში სომხურ მოსახლეობას გულისხმობთ თუ მთლიანად საქართველოს?

ხოსპიოელი ჯერ გამომცდელად იყურება, მერე თავს ხრის და რამდენიმეწამიანი პაუზის შემდეგ შემართებით წარმოთქვამს:

რა თქმა უნდა, მთლიანად საქართველოსაც ვგულისხმობ, მაგრამ ის, ვინც აქ არეულობას მოაწყობს, სომხების მტერია. აქ რომ ომი დაიწყოს, სად წავიდეთ? არც სომხეთში ვჭირდებით ვინმეს და, მით უმეტეს, არც სხვაგან. უბრალოდ, დავიღუპებით და განმკითხავიც არავინ იქნება. ამიტომ, ვინც აქ რამის მოწყობას აპირებს, ის ჩემი მტერია და ჩემი ძმაც რომ იყოს, მის წინააღმდეგ ვიბრძოლებ, მაგრამ მე ეს არ მინდა, ეს ჩემი საქმე არაა, ეს მთავრობის საქმეა და უნდა მიხედონ. მე კი, აი, ეს ვიცი...

თქვა და იქვე მიწაზე დაგდებულ ბარს დასწვდა, კარტოფილის თხრა განაგრძო...

არც ამ კაცისთვის, არც ახალქალაქის საზოგადოებისთვის 12 ოქტომბრის პროვოკაცია მოულოდნელი არ ყოფილა. აქ ყველამ იცის, რომ პოლიტიკური პროცესები, რომლებიც ამ რეგიონს უკავშირდება (რუსული სამხედრო ბაზის გასვლა, საქართველოს ვალდებულება დეპორტირებული მაჰმადიანი მესხების დაბრუნებისა), პროვოკაციებისთვის შესანიშნავ ნიადაგს ქმნის და ამის მსურველნი მრავლად არიან, როგორც შიგნით, ისე გარეთ. ამიტომ ახალქალაქელები სახელმწიფოს მისჩერებიან, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ ესეც და ბევრი სხვა პრობლემის გადაწყვეტაც "მთავრობის საქმეა".

ძნელია შეედავო, ისინი სახელმწიფოს ელოდებიან და ის ამ რეგიონში მართლაც უნდა გამოჩნდეს, მითუმეტეს, რომ ბაზის საბოლოოდ გასვლის მოახლოებისა და ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულების ვადის ამოწურვის კვალდაკვალ, აქ მოსალოდნელია უფრო მწვავე პროვოკაციები. ამ ხალხს კი ეს არ სჭირდება.

**კომენტარი**

სამცხე-ჯავახეთის პოლიციის სამხარეო სამმართველოს უფროსმა კახა ლეგაშვილმა "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ ახალქალაქში ანტისომხური შინაარსის პროკლამაციების გავრცელების ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ეროვნებათა შორის შუღლის გაღვივების მუხლით. მისი თქმით, აღნიშნული ქმედება "სერიოზული ჯგუფების მიერ არ იყო ჩადენილი", თუმცა ლეგაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ ამ ფაქტს უბრალო ხულიგნობის კვალიფიკაცია ვერ მიეცემა.

# რუსეთის აგრესია და ჩეჩნური ექო

პირველი გვერდიდან

ხიზრი ალდამოვი ამბობს, რომ აბდულ-ხალიმ საიდულაევთან ფაცაციას კანდიდატურას მან უშუამდგომლა. იჩქერიის დევნილი პრეზიდენტის ამ ბრძანებულების აღსრულებაზე კი კონტროლი საიდულაევის ხელისუფლების მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილეს, ახმედ ზაკაევს დაევალა. პანკისელები კი ამბობენ, რომ მათთვის მნიშვნელობა არ აქვს, რა ეროვნების კონსული ეყოლებათ, **"მთავარია, ჩვენი პრობლემები მოაგვარონ,"** - აცხადებენ ხეობაში მცხოვრები დევნილები და რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ედელევმის განცხადებებს, თითქოს საქართველოს ტერიტორია ჩეჩენი ბოევიკებისთვის კვლავ სატრანზიტო სივრცეს წარმოადგენს, ასე პასუხობენ: **"ვინც მებრძოლი იყო, მან ხეობა კარგა ხანია დატოვა. რუსების აგრესია კიდევ იმით გამოიხატება, რომ ჩვენ მათ წინადადებებს არ ვთანხმდებით და ჩეჩნეთში არ ვბრუნდებით. თუ ვინმე გადმოსვლას დააპირებს, ჯერ რუსი სამხედროების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია უნდა გადმოკვეთოს და ისე შემოვიდეს საქართველოში. საქართველომ რუსეთის აგრესია უნდა აიცილოს თავიდან, ამიტომ ხეობაში მცხოვრები დევნილები მესამე ქვეყანაში გადასვლას მოვითხოვთ,"** - ამბობენ სოფელ დუისში მცხოვრები ბელა იუზოვა და მარინა ზახაევა.

ოფიციალური რუსეთის განცხადებებზე საკუთარი პოზიცია გააჩნია პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს კოტე გაბაშვილს. **"რუსებს პანკისში წლების განმავლობაში ელანდებათ ტერორისტები და ბოევიკები. ახლა კვლავ გაახსენდათ ეს თემა, რადგან, როგორც ჩანს, სხვა ბრალდებები შემოელიათ. რუსეთს ერთ რამეს ვურჩევ - თავად შეეშვან ბოევიკებისა და სეპარატისტების შეიარაღებას და "ჩემი შენ გითხარის" პრინციპით ნუღარ იმოქმედებენ,"** - აცხადებს კოტე გაბაშვილი.

ინფორმაციას იმის შესახებ, რომ რამდენიმე ათეული ბოევიკი პანკისის ხეობაში სამკურნალოდ უკვე იმყოფებოდა და სამშობლოში საბრძოლველად დაბრუნდა, კატეგორიულად უარყოფენ ახმეტის სამედიცინო დაწესებულებებში. **„ხეობაში გამოძახებაზე ჩასულ ექიმებს ჩეჩნები ყოველთვის აჩვენებენ ლტოლვილის დამადასტურებელ საბუთს. აქედან გამომდინარე, ვაცხადებ, რომ არავითარი დაჭრილი მებრძოლი ხეობაში არ გვინახავს,"** - ამბობს სასწრაფოს მთავარი ექიმი ლია იმედაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ბოევიკებმა საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსვლამდე, რუსი სამშვიდოებების მიერ კონტროლირებადი სასაზღვრო ზოლი უნდა გადმოკვეთონ. მოსკოვს დაღესტნის მონაკვეთზეც კი, სასაზღვრო რეჟიმი ისე აქვს გამკაცრებული, რომ აქ არც ქართველებს ინდობენ და არც წვრილფეხა საქონელს. ბოლოს, გატაცებული ადამიანების გამოსყიდვა კი 5 ათასი დოლარი ჯდება. ამის შესახებ გაზეთი "24 საათი" უკვე წერდა.

# ოპოზიციურ ძალთა ალიანსმა გაერთიანებული ოპოზიციის დამფუძნებელი ყრილობა გამართა

პირველი გვერდიდან

ფორუმში სერიოზულ ადგილს, სავარაუდოდ, მოძრაობა "ახალა" დაიკავებს. ის გასულ წელს, არჩევნებში რაულ ხაჯიმბას მხარდასაჭერად შეიქმნა. მისი წევრები კი, უმეტესწილად, ახალგაზრდები არიან, რომელთაც საკუთარი კარიერა და ბიზნესი ძველი ხელისუფლების პირობებში აიწყვეს და, რასაკვირველია, ხელისუფლების კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში, კიდევ უფრო დიდი წინსვლის იმედი ჰქონდათ. "ახაცა" არჩევნებში წმინდა ორგანიზაციულ და ტექნოლოგიურ მხარდაჭერას უწევდა ხელისუფლებას.

სხვა ყველა მოძრაობა, მცირერიცხოვანი პოლიტიკური დაჯგუფებებია. და მაინც, ფორუმმა არა მხოლოდ მთელი ოპოზიციური სპექტრი გააერთიანა, არამედ ძველი ხელისუფლების ბიუროკრატიისა და სახელმწიფო აპარატის მთელი ჩინოვნიკები, რომელთაც ახალ ხელისუფლებაში საკუთარი ადგილი ვერ იპოვეს. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ შექმნილია ძლიერი ოპოზიცია, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ შიდა სტაბილურობას შეინარჩუნებს, მომავალ პოლიტიკურ კამპანიებში, პირველ რიგში კი - 2007 წლის საპარლამენტო არჩევნებში, სერიოზულ წარმატებას მოიპოვებს. საქმე სულ სხვა რამეა: რამდენად ქმედუნარიანია ახალი ოპოზიცია და აფხაზეთის განვითარების რამდენად რაციონალური სტრატეგიის შემოთავაზება შეუძლია მას.

მოძრაობის ლიდერი გენადი ალამია ჯერ კიდევ გასულ წელს "აიტაირა"-ს ერთ-ერთი ლიდერი იყო. მეტიც, ის ძველი ხელისუფლების ყველაზე დიდი ოპოზიციონერი იყო. მაგრამ "აიტაირა"-ს ხელისუფლებაში მოსვლამ მისი განწყობა რადიკალურად შეცვალა. ალამიამ დატოვა მოძრაობა, სერგეი შამბასთან ერთად სოციალ-დემოკრატიული პარტია შექმნა და აი, ახლა ის სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის ფორუმს, სადაც იმ ხალხთან ერთად მუშაობს, ვინც სულ ცოტა ხნის წინ მას ემტერებოდა. ანალიტიკოსების მოსაზრებით, პრობლემა ის არის, რომ "აიტაირა"-ს ფინალურმა ეტაპმა, რომლის შემდეგაც მოძრაობის მთავარი ფიგურები – ლეონიდ ლაკერბაია და ალექსანდრ ანქვაბი ხელისუფლებაში წავიდნენ, ალამია მათგან გააცალკევა. ის არ იყო მზად, ანქვაბთან ერთად ემუშავა. მათ შორის უამრავი უთანხმოებაა და ამიტომაც, ალამიამ საკუთარი პოლიტიკური კარიერის ახალ ოპოზიციაში გაგრძელება გადაწყვიტა.

დამფუძნებელ ყრილობაზე, როგორც იქნა, გაერთიანებული ოპოზიციის სხვა ლიდერებიც გამოჩნდნენ. მათ შორის არის პრეზიდენტ არძინბას ყოფილი მრჩეველი ასტამურ ტანია. ყოფილი პრეზიდენტის მუშაობის ბოლო ეტაპზე ტანია საკმაოდ წონიანი ფიგურა იყო. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, განსაკუთრებით, შიდა პოლიტიკურ სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ოპოზიციონერ ლიდერთა შორის არ აღმოჩნდა ადგურა ხარაზია, გულრიფშის რაიონის ყოფილი ხელმძღვანელი, რომელმაც როგორც პოლიტიკოსმა, საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ, მკვეთრი ზრდა იწყო. არც ისე დიდი ხნის წინ, ფორუმის ლიდერობას სწორედ მას უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა საბოლოოდ, ის პრეზიდიუმშიც კი არ მოხვედრილა.

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის ღერძი ძველი სახელმწიფო აპარატია, ხოლო მისი შემქმნელები ის ხალხია, ვინც საკუთარი პოლიტიკური ამბიციების რეალიზება ვერ მოახერხა, ოპოზიცია იდეოლოგიურადაც გაფორმდა. ფორუმს სავსებით შეგვიძლია ვუწოდოთ "კონსერვატიული პარტია". ახალი ხელისუფლების მიერ წამოწყებულ ეკონომიკურ რეფორმებს აქ სკეპტიკურად უყურებენ, რადგან მასში სახელმწიფოებრიობისთვის საშიშ ელემენტებს ხედავენ. საერთოდ, ოპოზიციაში ხელისუფლებისადმი სრული უნდობლობა სუფევს, რადგან მათი მოსაზრებით, ხელისუფლება მზად არის, გარკვეული ეკონომიკური შედეგების მისაღწევად სახელმწიფოს ფუნდამენტალური საფუძვლებით ივაჭროს. ამ დროს, შიდა პოლიტიკაში, სწორედ ოპოზიცია აჩვენებს საწინააღმდეგო მიდგომას. ის აფხაზეთის ინტერესებს, სულ უფრო ხშირად, კავკასიაში რუსეთის ინტერესების ძირითად ნაწილად აღიქვამს, რაც ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი ლიბერალური საზოგადოების მხრიდან ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევს. ეს საზოგადოება ქვეყნის სუვერენიტეტის პრეზუმფციას განვითარების საფუძვლად მიიჩნევს და აფხაზეთის პოლიტიკური ძალის რუსეთთან ინტეგრაციას არ შეეგუება.

სინამდვილეში კი ოპოზიციას არანაირი შანსი არ აქვს, არგუმენტირებულად აკრიტიკოს ხელისუფლება ეკონომიკურ თუ სოციალურ სფეროებში. პრობლემაც სწორედ ის არის, რომ ოპოზიციაში ის ხალხია, ვისაც მთელი ათი წელი ჰქონდა გადაწყვეტილებების მისაღებად და ქვეყანაში ვითარების გასაუმჯობესებლად. ყველა შემთხვევაში, ახალი ხელისუფლების სულ ექვსთვიანი მუშაობის შემდეგ, ეკონომიკური ზრდა კარგად იგრძნობა, და საერთოდ, ეკონომიკის ზრდა აბსოლუტურად ახალი გზით ვითარდება. ამიტომაც, ოპოზიციას მხოლოდ ისღა დარჩენია, ილაპარაკოს, რომ ეკონომიკური აღმასვლა რაღაც შეთანხმების შედეგია, რომელიც სუვერენიტეტის ლიკვიდაციას გამოიწვევს. თუმცა, სწორედ ოპოზიციონერები, გასულ წელს, პოლიტიკური კატაკლიზმების დროს, ვითარების მართვის ბერკეტებს მოსკოვს გადასცემდნენ და ხელისუფლების შესანარჩუნებლად, მზად იყვნენ პოლიტიკური სუვერენიტეტის სერიოზული წილი გაეცათ. მათი მარცხიც, იმასთანაა დაკავშირებული, რომ საზოგადოებამ აფხაზეთის შიდა საქმეებში მეზობელი სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგ გაილაშქრა.



მოკლედ

### პატიმარმა ქალებმა შიმშილობა შეწყვიტეს

იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, ქალთა საპყრობილეში მოშიმშილე პატიმრებმა საპროტესტო აქცია შეწყვიტეს. პრესსამსახურის ინფორმაციით, შიმშილობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება პატიმარმა ქალებმა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან, ელენე თევდორაძესთან შეხვედრის შემდეგ მიიღეს. საქმე ისაა, რომ ელენე თევდორაძემ განსასჯელ ქალებს მათი საქმეების სასამართლო განხილვის დაჩქარების საქმეში დახმარება აღუთქვა.

ქალთა საპყრობილეში ოცდახუთმა პატიმარმა ქალმა შიმშილობის აქცია 28 სექტემბერს ამნისტიის მოთხოვნით დაიწყო. მოშიმშილეები საგამოძიებო ორგანოებსა და სასამართლოში პროცესების გაჭიანურებასაც აპროტესტებდნენ.

იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებით, აქციის დაწყების დღიდან მოშიმშილეები დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ. საპყრობილის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ინტენსიურად ცდილობდნენ პატიმრები შიმშილობის შეწყვეტაზე დაეთანხმებინათ. მათ განემარტებოდათ, რომ ამნისტიის პერსპექტივა, სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო, თითქმის არ არსებობდა. საპატიმროს ადმინისტრაციის მცდელობით, შიმშილობა აქციის მონაწილეთა უმრავლესობამ სხვადასხვა დროს შეწყვიტა. ბოლო ხუთმა პატიმარმა ქალმა კი შიმშილობის შეწყვეტის გადაწყვეტილება ელენე თევდორაძესთან გამართული შეხვედრის შემდეგ მიიღო.

საპყრობილის ექიმების განმარტებით, აქციის მონაწილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ისინი ამ ეტაპზე რეაბილიტაციის კურსს გადიან. **24 საათი**

### ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა

ქუთაისის მერის მოვალეობის ყოფილმა შემსრულებელმა ბესიკ გულორდავამ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. იგი საკრებულოს იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებს, რომლითაც თვითმმართველობის ორგანომ უფლებამოსილება შეუწყვიტა და თანამდებობიდან გადააყენა.

ბესიკ გულორდავა დარწმუნებულია, რომ სასამართლო დავას პირველივე ინსტანციაში უპრობლემოდ მოიგებს. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში უკვე მიიღო საქმე და მას სამი დღის ვადაში განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს საკრებულომ ბესიკ გულორდავას უფლებამოსილება შეუწყვიტა და იმავე დღეს ქუთაისის მერის მოვალეობის შესრულება გიგა ჩოგოვაძეს დაეკისრა. **24 საათი**

### მონიტორინგის საბჭოს წევრი საპყრობილეში არ შეუშვეს

იუსტიციის სამინისტროსთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციათა მონიტორინგის საბჭოს წევრი, არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენელი ქეთევან ქამაშიძე N1 საპყრობილეში არ შეუშვეს. ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, ქამაშიძე ციხეში ერთ-ერთი ბრალდებულის თხოვნის საფუძველზე, რომელმაც გუშინ დილით, პროტესტის ნიშნად კოვზით თითი მოიჭრა, მივიდა.

ქეთევან ქამაშიძის თქმით, მან საპყრობილის დაცვის თანამშრომლებს პირადობის მოწმობა და მონიტორინგის საბჭოს შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ასლი წარუდგინა, სადაც ყველა წევრის ვინაობაა მითითებული, თუმცა ციხეში მას ამ საბჭოს წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტიც მოსთხოვეს.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენელთა განცხადებით, საპყრობილეში ციხის მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლის არშეშვება კანონდარღვევაა. **24 საათი**

### სასამართლომ კონტროლის პალატის ყოფილი თანამშრომელი თანამდებობაზე აღადგინა

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კონტროლის პალატის ყოფილი თანამშრომლი ნოდარ ლიპარტელიანი თანამდებობაზე აღადგინეს.

ლიპარტელიანის ადვოკატის განცხადებით, ლიპარტელიანი კონტროლის პალატის ადგილობრივი ბიუჯეტების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობიდან მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც მან სამედიცინო უნივერსიტეტის კოლეჯის სტუდენტების საპროტესტო აქციაში მონაწილეობა მიიღო და საკუთარი შვილის, კოლეჯის სტუდენტის ინტერესები დაიცვა. ადვოკატის ინფორმაციით, გათავისუფლების კიდევ ერთ საფუძვლად მიმდინარე წლის 15 მარტიდან ლიპარტელიანის სამსახურში გამოუცხადებლობაც დასახელდა, თუმცა საქმეში დევს საბუთი იმის შესახებ, რომ ლიპარტელიანს 3 მარტიდან წოლითი რეჟიმი ჰქონდა დანიშნული და ამის შესახებ დირექციისთვის ცნობილი იყო. მოსარჩელის მოთხოვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნინო კალანდაძემ საფუძვლიანად მიიჩნია და ლიპარტელიანის თანამდებობიდან გათავისუფლება უკანონოდ ცნო. ბრალდების მხარეს, ზემდგომ ინსტანციაში გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი ვადა გააჩნია. **ინტერპრესნიუსი**

### სამშობლოს ღალატში ბრალდებულ გენერალს ბათუმში ასამართლებენ

ბათუმის სასამართლოში თავდაცვის სამინისტროს 25-ე ბრიგადის ყოფილი სარდლის რომან დუმბაძის სასამართლო პროცესი განახლდა. მას სამშობლოს ღალატში ედება ბრალი. პროცესზე ბრიგადის შტაბის სარდლის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი ბაადურ ძირკვაძე დაკითხეს. რომან დუმბაძის ადვოკატი თემურ გოგსაძე აცხადებს, რომ ძირკვაძის ჩვენება რომან დუმბაძისთვის წაყენებულ ბრალდებებს არ ადასტურებს. მისი თქმით, დუმბაძე გამოცდილი სამხედროა, რომელიც სამშობლოს ისევ გამოადგება.

სასამართლო პროცესზე აგრეთვე 25-ე ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეები დაიკითხნენ. სასამართლო პროცესზე 50-მდე მოწმის დაკითხვა იგეგმება.

შეგახსენებთ, აჭარის რევოლუციისას გენერალმა რომან დუმბაძემ ქვეყნის მთავარსარდალს დაუმორჩილებლობა გამოუცხადა და ასლან აბაშიძეს დაუჭირა მხარი. ავტონომიურ რესპუბლიკაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ რომან დუმბაძე, რომელზეც საერთაშორისო ძებნა იყო გამოცხადებული, სამართალდამცველებს საკუთარი ნებით ჩაბარდა. გენერალური პროკურატურა მას სამშობლოს ღალატში, იარაღით უკანონო ვაჭრობაში, სამხედრო ხელმძღვანელობისადმი დაუმორჩილებლობასა და ბრიგადის ტერიტორიიდან იარაღის არასანქცირებულ გატანაში ადანაშაულებს. **მედიანიუსი**

# სისხლის სამართლის რეფორმა

*საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების მმართველი ჯგუფის პირველი საკოორდინაციო სხდომა ჩატარდა.*



*სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების პირველი საკოორდინაციო სხდომა ჩატარდა.*

იუსტიციის მინისტრის კონსტანტინე კემულარიას განცხადებით, სისხლის სამართლის რეფორმებზე მომუშავე უწყებებს მიეცათ უნიკალური შანსი, კოორდინირებულ რეჟიმში განსაზღვრონ სამოქმედო გეგმა და შეჯერებული ვარიანტი წარუდგინონ მთავრობას, რაც წარმატების წინაპირობა იქნება.

შეგახსენებთ, რომ 2004 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სტრატეგიის შემუშავება. სამუშაო ჯგუფში, რომელსაც იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობდა, შედიოდნენ სასამართლოს, გენპროკურატურის, შსს-ს პირველი პირები, ასევე სახალხო დამცველი, პარლამენტისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ჯგუფის მხარდაჭერას საქართველოში ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია უზრუნველყოფდა.

პოლიციის, პროკურატურის, ადვოკატურის, სასჯელაღსრულებისა და სხვა სფეროების რეფორმის სტრატეგიის განსაზღვრის მიზნით ჩამოყალიბდა ქვეჯგუფები, რომელთაც ივლისის თვეში კონკრეტულ სფეროებში კონცეფციების კონსოლიდირებული ვერსიები წარმოადგინეს.

აღნიშნული კონცეფციების რეალიზაციის მიზნით სექტემბრიდან რეფორმირების აქტიური ფაზა, სტრატეგიის ინპლემენტაციის პროგრამა დაიწყო.

მმართველი ჯგუფის სხდომაზე აღინიშნა, რომ ინპლემენტაციის პროგრამა უნდა უნდა მოიცავდეს კონკრეტულ მოქმედებათა ნუსხას, მათი განხორციელებისათვის საჭირო დროის განსაზღვრას, პასუხისმგებელ ორგანოებს, მატერიალური და ადამიანური რესურსების მოძიების გზებს.

სხდომაზე ცალკეული ქვეჯგუფების წარმომადგენლებმა მათ სფეროში სტრატეგიის ინფლემენტაციის პერსპექტივები მიმოიხილეს და აღნიშნეს, რომ სტრატეგიის მრავალი კომპონენტი უკვე შესრულებულია და ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს.

ევროკავშირის ექსპერტმა რაფაელ პელჩმა კმაყოფილება გამოხატა სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული მუშაობით და იმედი გამოთქვა, რომ სტრატეგიის განხორციელების შემდეგ მისი დადებითი ეფექტი საზოგადოებისათვის თვალსაჩინო გახდება.

სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია 4-5 წელიწადზეა გათვლილი. იუსტიციის მინისტრმა კონსტანტინე კემულარიამ მმართველი მუშაობის ეფექტურობისთვის აუცილებელ პირობად კონკრეტული ღონისძიებების ვადების განსაზღვრა და ხარჯების გათვლა დაასახელა. ამ მიზნით რეფორმირების პროცესში იურისტებთან ერთად, მთავრობის ეკონომიკური ბლოკის წარმომადგენლებიც აქტიურად ჩაერთვებიან.

*24 საათი*

# „სუბოტექსის" რეალიზაციით გავლენიანი ადამიანები არიან დაკავებული"

*შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, ნარკოტიკული ნივთიერება "სუბოტექსის" რეალიზაციაში ეჭვმიტანილი სამი პირი დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, ჩატარებული სპეცოპერაციით საქართველოში ნარკოტიკების შემომტანი ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ქსელი დაიხურა.*



*ვანო მერაბიშვილი ნარკორეალიზატორებს ემუქრება.*

შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის ინფორმაციით, ამოღებულია უპრეცედენტო რაოდენობის - 800 აბზე მეტი "სუბოტექსი", რომლის საბაზრო ღირებულებაც 80 ათას დოლარს შეადგენს და 50 000-ზე მეტ მომხმარებელზე იყო გათვლილი.

მინისტრის ინფორმაციით, დაკავებულია ნარკოტიკების მთავარი მომწოდებელი ავთანდილ სანამაშვილი, რომლის ბინის ჩხრეკის დროსაც ამოიღეს დიდი რაოდენობით "სუბოტექსი". სპეცოპერაციის დროს დააკავეს, ასევე, შოთა ლომიძე და სარდიონ ელიოსიძე, რომელთაც პირადი ჩხრეკისას ერთი აბი, ხოლო ავტომანქანის ჩხრეკისას 5 აბი სუბოტექსი და "გოლდსტარის" ტიპის პისტოლეტი აღმოაჩნდათ. სამივე მათგანი პოლიციის ყოფილი თანამშრომელია. ელიოსიძე 2004 წელს ანალოგიურ დანაშაულის ჩადენისთვის იყო დაკავებული.

როგორც ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, აღნიშნული პირები ამ ბიზნესში საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. **"სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს, რომ მათ მთელი სიმკაცრით აგონ პასუხი,"** - განაცხადა მინისტრმა. მისივე თქმით, დაკავებულებს მინიმუმ 10-წლიანი პატიმრობა, ზოგიერთ მათგანს კი სამუდამო პატიმრობა ელის.

**„ბოლო დღეებში სუბოტექსისა და ჰეროინის რეალიზატორების დაკავების რაოდენობამ იმატა. ბოლო კვირის განმავლობაში 16 ადამიანი მივეცით პასუხისგებაში და ყველა მათგანს არანაკლებ 10 წლის პატიმრობა ემუქრება,"** – განაცხადა შს მინისტრმა და ჟურნალიტებს სპეცოპერაციის შედეგად ამოღებული "სუბოტექსიც" უჩვენა.

მინისტრი ნარკოტიკებისა და განსაკუთრებით "სუბოტექსის" რეალიზატორებს სასტიკად ემუქრება და აცხადებს, რომ მათი ბიზნესი მომგებიანი აღარ იქნება და ადრე თუ გვიან, ისინი კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან.

შს მინისტრის თქმით, საქართველოში "სუბოტექსის" შემოტანარეალიზაციაში საკმაოდ გავლენიანი ადამიანები არიან შემჩნეული, რის შესახებაც მინისტრი უკვე ფლობს დეტალურ ინფორმაციას. **„ჩვენ შევისწავლეთ ის მთავარი არხები, საიდანაც საქართველოში სუბოტექსი შემოდის. ჩვენი მხედველობის არეში მეტად ცნობილი და გავლენიანი ადამიანები მოხვდნენ. იმ პირების ვინაობა, რომლებიც ნარკორეალიზაციით არიან დასაქმებული, საზოგადოებისთვის ცნობილია, ყველამ კარგად იცის, ვინ ყიდის ნარკოტიკს. მალე მათ პასუხს მოვთხოვთ, ისინი ძალზე მკაცრად დაისჯებიან,"** - აცხადებს მინისტრი, რომლის თქმითაც, სამინისტროს მიერ დაკავებული „სუბოტექსის" შემომტანი საკმაოდ გავლენიანი პირები მართლმსაჯულებას „დაუძვრნენ". **„ამ ფაქტის შესახებ, სამწუხაროდ, გვიან გავიგეთ, არადა, ისინი მკაცრად უნდა დასჯილიყვნენ. ასეთი შემთხვევა აღარ განმეორდება,"** – განაცხადა მინისტრმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წლის განმავლობაში ჩატარებული ანტინარკოტიკული ღონისძიებების შედეგად, 12 ათას აბზე მეტი ნარკოტიკული ნივთიერება "სუბოტექსია" ამოღებული. შს სამინისტრომ ბოლო პერიოდში ნარკორეალიზატორთა გამოსავლენად 16 ანტინარკოტიკული ღონისძიება ჩაატარა.

*24 საათი*

პრესინგი

# რატომ ზის ციხეში სასამართლოების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე?

*თავის დროზე, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის მერაბ ახობაძის დაპატიმრებას ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. იმასაც ამბობდნენ, რომ მის დაპატიმრებაზე გადაწყვეტილება ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მიიღეს, რათა შემდეგ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა დაეკავებინათ. თუმცა, ეს გეგმა ვერ განხორციელდა. მერაბ ახობაძე კი, წელიწადი და სამი თვეა, რაც საპყრობილეშია და მართლმსაჯულების გადაწყვეტილებას ელოდება.*

თამარ კაციტაძე

გამოძიება სამ ეპიზოდს ხდის სადავოს, რისთვისაც მას ბრალი რამდენიმე მუხლით აქვს წარდგენილი – სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენება, გაფლანგვა და სახელმწიფოსთვის ზიანის მიყენება.

მერაბ ახობაძის ადვოკატი არჩილ კბილაშვილი ყველა ბრალდებას აბსურდულს უწოდებს.

**"ჩემთვის დღემდე გაურკვეველი რჩება, რატომ ან რისთვის დააპატიმრეს მერაბ ახობაძე. სხვათა შორის, მის ბრალდებებზე ვესაუბრე უცხოელ კოლეგებსა და ექსპერტებს და ისინიც გაოცებას ვერ მალავდნენ,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში კბილაშვილმა.

პირველი ფაქტი, რაშიც საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ყოფილ თავმჯდომარეს გამოძიება სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ედავება (იგი სამიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს), არის დეპარტამენტსა და შპს "მზეს" შორის დადებული ხელშეკრულება. ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, შპს "მზეს" სასამართლოები ქსეროქსებით უნდა აღეჭურვა.

გამოძიება არ კამათობს იმაზე, რომ შპს "მზემ" დათქმულ ვადაში - 2000-2001 წლებში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკა საქართველოს სასამართლოებში მართლაც სრულად შეიტანა და დაამონტაჟა კიდეც, მაგრამ სადავო გახდა ქსეროქსების ღირებულება. საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ დეპარტამენტმა, ზედდებულში დასახელებულ თანხაზე მეტი გადაიხადა. განსხვავებამ საბოლოოდ 13 ათას 162 ლარი შეადგინა.

**"საქონლის ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის მართლაც არის სხვაობა, მაგრამ გასაოცარია, სამართალდამცველებისთვის დღემდე გაუგებარი დარჩა, რომ ხელშეკრულება მხოლოდ ტექნიკის ყიდვას არ გულისხმობდა. მათი საქართველოში შემოტანა ანუ ტრანსპორტირება, ტესტირება, დამონტაჟება (ე.ი. საფირმო მომსხურება) ასევე თანხებთან იყო დაკავშირებული, რისი გადახდაც სავალდებულოა, რადგან ამ ხარჯებს საკუთარ თავზე არც ერთი ფირმა არ აიღებს,"** - ამბობს კბილაშვილი.

კურიოზულად მიიჩნევს ახობაძის ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფის მეორე ბრალდებასაც.

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის №58 ბრძანებულებით, საქართველოს ყველა მოსამართლეს, რომლებიც ქირით ცხოვრობდნენ, ბიუჯეტიდან დამატებით უნდა მიეღოთ ბინის ქირის ღირებულება - თბილისში 250 ლარი, ხოლო რაიონებში 150 ლარი. გამოძიება კანონდარღვევად მიიჩნევს იმას, რომ საქართველოში მოქმედმა ათობით მოსამართლემ ბინის ქირა მიიღო არა სახელწიფო ბიუჯეტიდან, არამედ იმას, რომ მერაბ ახობაძემ თანხები დეპარტამენტის სპეცსახსრებიდან გასცა და ამით გაფლანგა დეპარტამენტის კუთვნილი 38 ათას 438 ლარი (გაფლანგვის მუხლი 6-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს). ხოლო იმის გამო, რომ მოსამართლეებს ბინის ქირის ფული მათივე განცხადებების საფუძველზე მიეცათ, დამატებით ხდება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების კვალიფიკაციის საფუძველი. ანუ, მან მოსამართლეების კორპუსის საკმაოდ დიდ ნაწილს "გამორჩენა მისცა და ისინი უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენა". სხვათა შორის, გამოძიებაც დარწმუნებულია, რომ თანხა მოსამართლეებმა ნამდვილად მიიღეს.

არჩილ კბილაშვილის აზრით, ახობაძის მხრიდან დანაშაულის ჩადენაზე არც ამ შემთხვევაში შეიძლება საუბარი.

**"გამოძიება ფიქრობს, რომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარეს არ ჰქონდა უფლება დეპარტამენტის სპეცსახსრებიდან გაეცა თანხა, რაც თავიდანვე არასწორია. დასახელებულ ბრძანებულებაში ცალსახად არ არის დაფიქსირებული, რომ მოსამართლეთა ქირის ფული აუცილებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გაიცეს. ამასვე ადასტურებს N58 ბრძანებულებასთან დაკავშირებით გაცემული ფინანსთა სამინისტროს წერილიც, სადაც ასევე არ არის ნახსენები თანხის ქვეყნის ბიუჯეტიდან გაცემის აუცილებლობა. ასეც რომ არ ყოფილიყო, ზიანზე საუბარი მაინც ზედმეტია, რადგან საერთო სასამართლოების დეპარტამენტიც სახელწიფო დაწესებულებაა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქირის ფული 2001 წელს ბიუჯეტიდან დეპარტამენტში საერთოდ არ გადარიცხულა. ასეთ შემთხვევაში, როგორ უნდა მოქცეულიყო ახობაძე? როცა ზიანზე საუბრობენ, მაშინ უნდა შეფასდეს, როდის უფრო დაზარალდებოდა სახელმწიფო - მოსამართლეები საკუთარ მოვალეობას თუ ვერ შეასრულებდნენ, თუ მაშინ, როცა სახელმწიფო ბიუჯეტის ერთი ანგარიშის ნაცვლად მათი პრობლემა მეორემ მოაგვარა?"** – აღნიშნავს კბილაშვილი, რომლის განმარტებითაც, ვერც გამორჩენაზე ვისაუბრებთ, რადგან ანალოგიურ შემთხვევაში კანონი ინდივიდს გულისხმობს. აქ კი ათობით მოსამართლეზეა საუბარი.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის მესამე ბრალდებას საფუძვლად დაედო კონტროლის პალატის შემოწმების აქტი. როგორც კბილაშვილმა გვითხრა, 2002 წელს კონტროლის პალატამ შეამოწმა დეპარტამენტის, თბილისი ხუთი რაიონის და საოლქო სასამართლოს 2001 წლის მუშაობა. დეპარტამენტის შემოწმების აქტში დაფიქსირებულია, რომ მათ მუშაობაში არანაირი დარღვევა არ არის. სასამართლოების აქტებში კი აღნიშნულია, რომ მოსამართლეების გადაწყვეტილებით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბიუჯეტში შეცდომით, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის კუთვნილი ბაჟის გადასახადი - 288 ათასი ლარი შევიდა. გამოძიება თვლის, რომ ის თანხა, რომელიც მოსამართლეების არასწორი თუ დაუდევარი ქმედებით არამიზანმიმართულად გადაირიცხა, ქვეყნის ბიუჯეტისთვის სწორედ ახობაძეს უნდა დაებრუნებინა.

**"დავიწყოთ იმით, რომ რადგან დეპარტამენტის შემოწმების აქტში დასახელებული თანხა, ანუ, დარღვევა დაფიქსირებული არ იყო, აქედან გამომდინარე, არც ოფიციალური საფუძველი არსებობდა იმის, რომ ახობაძეს შეცდომა გამოესწორებინა. მეორეც, არ არსებობს არანაირი დოკუმენტი, რომ სადვო თანხა ნამდვილად შევიდა დეპარტამენტის ბიუჯეტში. სხვათა შორის, კონტროლის პალატამ თავად მიმართა ხაზინას, რათა დადგენილიყო, გადაირიცხა თუ არა თანხა, მაგრამ ამგვარი დოკუმენტი ვერ მიიღეს. არადა, ხშირია შემთხვევა, რომ მოსამართლის გადაწყვეტილებას ბაჟის გადახდასთან დაკავშირებით მხარეები არ ასრულებენ. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება დანაშულზე საუბარი. მით უმეტეს, რომ ახობაძეს არანაირი უფლება არ ჰქონდა მოსამართლის გადაწყვეტილებებში ჩარეულიყო ან მათ წინააღმდეგ წასულიყო,"** - ასეთია ადვოკატის პოზიცია.

მერაბ ახობაძის სასამართლო პროცესის რამდენიმე სხდომა უკვე ჩატარდა და მოწმეთა ნაწილიც დაიკითხა. ამასობაში საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ყოფილი თავმჯდომარის წინააღმდეგ ახალი სარჩელი შეიტანა და შპს "მზესთან" დადებული ხელშეკრულების და მოსამართლეებისთვის გადახდილი ბინის ქირისგან მიყენებული ზარალის - სულ 51 ათასი ლარის - ანაზღაურება მოითხოვა. დაცვის მხარე კი ამ ეტაპზე საქმეში შპს "მზის" მესამე პირად ჩართვას მოითხოვს. როგორც ჩანს, პროცესი კიდევ დიდხანს გაგრძელდება. არადა, როგორც სანდო წყარო ირწმუნება, მერაბ ახობაძეს გამოძიებამ თავისუფლების სანაცვლოდ 300 ათასი ლარის გადახდა შესთავაზა, მაგრამ საერთო სასამართლოების ყოფილმა თავმჯდომარემ ეს ვერ შეძლო.

# ჩრდილოეთ კავკასიაში ბრძოლა გრძელდება

პირველი გვერდიდან

ყაბარდო-ბალყარეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მონაცემებით, თავდასხმები შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების ფედერალური სამსახურის სამმართველოებზე, მილიციის რამდენიმე განყოფილებაზე, სამხედრო კომისარიატსა და სხვა ობიექტებზე განხორციელდა.

ქალაქში მთელი დღის განმავლობაში არ მუშაობდა მობილური კავშირგაბმულობა, [illegible] ადგილობრივი ტელევიზია (გავრცელებული ინფორმაციით, თავდასხმელებმა ტელეტრანსლაციის ცენტრის შენობაც დაიკავეს), გაჩერებული იყო საზოგადოებრივი ტრანსპორტი. შორიდანაც კი კარგად მოჩანდა, რომ ქალაქში მრავალსართულიანი შენობები იწვოდა.

“ფრანს პრესის” ინფორმაციით, ნალჩიკის ერთ-ერთ სკოლაში შეიარაღებული ადამიანები შეიჭრნენ. ქალაქის ყველა სკოლიდან სასწრაფო ევაკუაცია განხორციელდა. თუმცა, მოგვიანებით, ნალჩიკის მერიის თანამშრომლებმა ბოევიკების სკოლაში შეჭრის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არ დაადასტურეს.

ადგილობრივი ტელეარხის თანამშრომლის თქმით, სროლა დაახლოებით დილის 09.00 საათზე, ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში დაიწყო. ბოევიკები თავს დაესხნენ ქალაქის მილიციის პირველ განყოფილებას და იარაღის მაღაზია "არსენალი" გაძარცვეს. ამავდროულად, თავდასხმელებმა მილიციის სხვა განყოფილებებზე, ასევე ქალაქის სასაზღვრო რაზმზე მიიტანეს იერიში.

საინფორმაციო სააგენტო “რიანოვოსტი”-ს თქმით, აქტიური ბრძოლები ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. რის შემდეგაც სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულმა “ბოევიკებმა” იარაღი გადამალეს და შეეცადნენ, მშვიდობიან მოსახლეობაში შერეულიყვნენ. ისინი იტაცებდნენ ავტოტრანსპორტის და გატაცებული მანქანებით ცდილობდნენ პარალიზებული ქალაქის დატოვებას.

ქალაქში აფეთქებულია მობილური ოპერატორის "მეგაფონის" საბაზო სადგური, არ მუშაობს ფიჭური კავშირგაბმულობა, პრობლემებია ნალჩიკის სატელეფონო ქსელშიც. თავად "მეგაფონის" წარმომადგენლები აფეთქების შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებენ, თუმცა, არც უარყოფენ.

დაახლოებით შუადღისას, რუსულმა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომ ნალჩიკზე “ბოევიკთა” თავდასხმა საბოლოოდ მოგერიებულია. ამის შესახებ სააგენტო “იტარ-ტასს” რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წყარომ აცნობა.





“ვითომ დაწყნარებული ჩეჩნეთის სანაცვლოდ, კრემლს შეიძლება მალე მთელი კავკასია “აუფეთქდეს”.

მისი თქმით, ბოევიკებმა ვერც ერთი შენობის აღება ვერ მოახერხეს. შვიდი თავდამსხმელი მოკლულია. წყარომ აღიარა, რომ **"მილიციის პირად შემადგენლობაში არიან დაღუპულები და დაჭრილები"**. ნალჩიკის "სასწრაფო დახმარების" სადგურის მონაცემებით, ბოევიკების თავდასხმისას ქალაქში ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა.

მიუხედავად ამ ინფორმაციისა, შემდეგაც ვრცელდებოდა ცნობები, რომ ქალაქში კვლავაც ისმის სროლებისა და აფეთქებების ხმა. ბოლო ინფორმაციით, ძირითადი ბრძოლები ლატიშევის ქუჩაზე, შინაგან საქმეთა მეორე განყოფილების მახლობლად მიმდინარეობდა, სადაც მობილიზებული იყო რუსეთის რეგულარული არმიის ჯავშანტექნიკა და სპეცდანიშნულების რაზმი.

განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებდა რუსული ინტერნეტ-გამოცემა “პრავდა.ინფო”. **“ბოევიკები ქალაქში ყველაგან არიან. მიმდინარეობს ბრძოლები, კერძოდ, უშიშროების სამსახურის შენობასთან. რუსეთის რეგულარული ჯარები ქალაქის ცენტრში არ ჩანს, შესაძლოა, ისინი გარეუბნებში იყვნენ კიდეც, მგრამ აშკარაა, რომ ცენტრში სიტუაციას თავდამსხმელები აკონტროლებენ,”** - ასეთ ცნობას ფლობდა ნაშუადღევს “პრავდა.ინფო”.

რაც შეეხება მშვიდობიან მოსახლეობას, თვალნათლივ ჩანდა, რომ პანიკა სუფევდა. სააგენტო “რბკ”-ს ცნობით, ქალაქს ბევრი მცხოვრები ტოვებს. ქალაქის შესასვლელები მთლიანად ბლოკირებულია. იქ არ უშვებენ არათუ ჟურნალისტებს, არამედ ადგილობრივ მცხოვრებთაც კი.

გუშინ გვიანობამდე დამაბნეველი ცნობები ვრცელდებოდა თადამსხელთა რაოდენობის შესახებაც. ზოგი წყარო ასახელებდა, რომ ქალაქში ერთდროულად 300 შეირაღებული პირი შეიჭრა. სხვა წყაროები 600 “ბოევიკზე” საუბრობდნენ. გაცილებით მცირე ციფრს ასახელებდა სააგენტო “იტარ-ტასსი” – 10 მობილური ჯგუფი, საერთო რიცხვონებით 60 კაცი.

გუშინდელმა შემთხვევამ თვალნათელი გახადა, რომ კრემლმა არათუ საბოლოოდ დაამარცხა წინააღმდეგობის მოძრაობა კავკასიაში, არამედ თავისი ქმედებებით უფრო ფართო ასპარეზსაც უქმნის მას. სხვათა შორის, ნალჩიკზე თავდასხმამ ისიც უჩვენა, რომ ჩეჩენი ლიდერები დანაპირების შესრულებას ცდილობენ. შეგახსენებთ, მაისში ჩეჩენთა ერთ-ერთმა გავლენიანმა საველე მეთაურმა დოკუ უმაროვმა პირობა დადო, რომ რუსეთის ერთ-ერთ ქალქში მასშტაბურ სპეცოპერაციას განახორციელებდა.

თავდასხმის ადგილი და დრო ზუსტად იყო შერჩეული. ნალჩიკში საკმაოდ ვიწრო ქუჩებია, მხოლოდ ცენტრშია შედარებით მეტი სივრცე. ეს კი ნიშნავს, რომ რეგულარული არმიის - თავისი ჯავშანტექნიკით, არტილერიითა და ავიციით - გამოყენება სრულიად უსარგებლოა. ყველაფერს წყვეტს მცირე ჯგუფების ორთაბრძოლები.

აღსანიშნავია, რომ “ბოევიკები” თავს ესხმიან რუსული შეირაღებული ძალებით საკმაოდ გადავსებულ ქალაქს. აქ არის მოტომსროლელი პოლკი, სატანკო ბატალიონი, შინაგანი ჯარების ოპერატიული დანიშნულების ბატალიონი და სასაზღვრო ნაწილები, რომ არაფერი ვთქვათ მრავალრიცხოვან მილიციაზე. ბოლოს და ბოლოს, ნალჩიკში განლაგებულია ისეთი მრისხანე სტრუქტურა, როგორიცაა ცენტრი “ტ” – ტერორიზმთან ბრძოლის ქვედანაყოფი.

ამის მიუხედავად, თავდამსხმელებმა არა მარტო ქალაქში შეჭრა მოახერხეს, არამედ ხანგრძლივი ბრძოლები გამართეს მის სხვადასხვა ნაწილში. და ეს მაშინ ხდება, როცა თავდამსხმელებსა და ქალაქში არსებულ ძალოვან სტრუქტურებს შორის პირობითი შეფარდება დაახლოებით 1/20-ს უდრის.

მაგრამ, ისევე როგორც ადრინდელ შემთხვევებში (თუნდაც ბესლანის, ან ნაზრანის, მახაჩყალის და ა.შ.), ახლაც გამოჩნდა, რომ რუსულ ძალოვან სტრუქტურებში ყოვლისმომცველი კორუფციაა გამეფებული. **“არ მესმის, რატომ გამოიწვია მან ასეთი აჟიოტაჟი და ვნებათაღელვა. ეს ხომ სულაც არ არის “ბოევიკების” მიერ ჩატარებული პირველი ანალოგიური ოპერაცია ჩრდილოეთ კავკასიაში. იგივეს ჩვენ რეგულარულად ვადევნებთ თვალს დაღესტანში. იღუპება ასობით ადამიანი, ხდება იარაღის მასობრივი დატაცება. ამ სიტუაციაში ვერაფერს ვხედავ განსაკუთრებულს. ეს “ბოევიეკების გეგმური” პოზიციაა, რომელიც ადასტურებს, რომ ისინი არსებობენ, არ განადგურებულან. მე ვერ დავასახელებ ჩრდილოეთ კავკასიის ისეთ რესპუბლიკას, სადაც გამართულად მუშაობს სამართალდამცავი სისტემა. გამეფებულია ყოვლისმომცველი კორუფცია - ღალატის უამრავი შემთხვევაა. ამიტომ სასაცილოა “ბოევიკების” წინააღმდეგ ბრძოლის რაიმეგვარ სისტემაზე საუბარი. მე არ მინდა წინასწარმეტყველად გამოვჩნდე და ვთქვა, რომ მსგავსი შემთხვევები ყოველ დღეა შესაძლებელი, მაგრამ აქ რომ სისტემურ კრიზისთან გვაქვს საქმე, აშკარაა,”** - ასეთი პოზიცია ჰქონდა ჯგუფ “ალფა”-ს ვეტერანთა ასოციაციის პრეზიდენტს სერგეი გონჩაროვს ინტერნეტ-გამოცემა “იეჟედნევნი ჟურნალ”-თან საუბრისას.

მართლაც, ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა და, სავარაუდოდ, არც უკანასკნელი იქნება. ვითომ დაწყნარებული ჩეჩნეთის სანაცვლოდ, კრემლს შეიძლება მალე მთელი კავკასია “აუფეთქდეს”.

## კონდოლიზა რაისის აზიური ტურნე ტაჯიკეთში ვიზიტით დასრულდა

*აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ორშაბათს დაწყებული აზიური ტურნე გუშინ ტაჯიკეთში სტუმრობით დასრულდა. გუშინწინ დღის პირველ ნახევარში თეთრი სახლის წარმომადგენელი ყაზახეთს ესტუმრა. ბუშის ადმინისტრაცია, ცენტრალური აზიის რეგიონში აშშ-ს დასუსტებულ პოზიციათა გამყარების მიზნით, რეგიონის ლიდერთა მხარდაჭერის შენარჩუნების პარალელურად, ოპოზიციურ პარტიათა კეთილგანწყობის მოპოვებასაც ცდილობს. კონდოლიზა რაისმა თავისუფალი მედიისა და ოპოზიციურ ძალათა ხელისუფლების მხრიდან ზეწოლაზე საუბრის მიუხედავად, ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის უშუალო კრიტიკისგან თავი შეიკავა. ამან ოპოზიციურ პარტიათა აღშფოთება გამოიწვია, ხოლო ადამიანის უფლებათა დამცავმა ორგანიზაცია “Humans Rights Watch”-მა ვაშინგტონის წარმომადგენელს ყაზახეთში არსებული ადამიანის უფლებათა დარღვევების თაობაზე ხმამაღლა საუბრისკენ მოუწოდა.*

ნანა ნასყიდაშვილი

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის აზიური ტურნე გრძელდება. ყირგიზეთის მონახულების შემდეგ დიპლომატი ყაზახეთში ჩავიდა. კონდოლიზა რაისი ქვეყნის პრეზიდენტის გარდა ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში მდებარე ლევ გუმილიოვის სახელობის უნივერსიტეტში სტუდენტებსა და პოლიტიკოსებს შეხვდა. თავის გამოსვლაში დიპლომატმა ყაზახეთს მეზობელი ავღანეთის რეკონსტრუქციაში უშუალო მონაწილეობისკენ მოუწოდა. რაისის აზრით, ყაზახეთს საკმაო პოტენციალი გააჩნია იმისა, რომ რეგიონში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს სათავეში ჩაუდგეს. იმის მიუხედავად, რომ თავის გამოსვლაში კონდოლიზა რაისმა ოპოზიციურ პარტიათა და მედიის წარმომადგენელთა თავისუფალ, მთავრობის მხრიდან შეუზღუდავ მუშაობის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე ისაუბრა, მან ნაზარბაევის კრიტიკას თავი აშკარად აარიდა. ამან ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლების უკმაყოფილება გამოიწვია.

ადამიანის უფლებათა დამცველები აღშფოთებულნი არიან საპრეზიდენტო არჩევნების წინ ქვეყანაში არსებული მდგომარეობით (საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება დეკემბერშია დაგეგმილი). მათი თქმით, ნურსულთან ნაზარბაევის მთავრობა უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს, რაც თავისუფალი შეკრებების შეზღუდვითა და დამოუკიდებელი მედიისა და ოპოზიციის მისამართით გაჟღერებული მუქარებით გამოიხატება.

შეგახსენებთ, რომ ყაზახეთი ცენტრალური აზიის რეგიონში აშშ-ს ერთ-ერთი მოკავშირეა. აშშ-ს მიერ ავღანეთში თალიბთა რეჟიმის წინააღმდეგ წარმოებულ სამხედრო ოპერაციების დროს ოფიციალურმა ასტანამ ვაშინგტონს კოალიციის ვერტმფრენთა გადასაადგილებლად საჰაერო სივრცე გაუხსნა, ხოლო ერაყში ამერიკელთა დასახმარებლად 40 სამხედრო მიავლინა. ნიშანდობლივია, რომ დღეისთვის აშშ რეგიონში მიმდინარე მოვლენებსა და ახალ ტენდენციებს სიფრთხილით აკვირდება, რადგანაც ზესახელმწიფო კარგად აცნობიერებს, რომ ცენტრალურ აზიაში მისი სტრატეგიული პოზიციები და გავლენა, გარკვეულწილად, შესუსტებულია.



*აშშ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ყაზახეთში დემოკრატიულად ჩატარდეს.*

კონდოლიზა რაისმა თავისი აზიური ტურნე დღის მეორე ნახევარში ტაჯიკეთში ვიზიტით დაასრულა, სადაც ის ქვეყნის პრეზიდენტ ემომალი რახმანოვს შეხვდა. **“მე და პრეზიდენტმა რახმანოვმა ტერორიზმის წინააღმდეგ საერთო ძალებით ბრძოლის გაგრძელების თაობაზე ვისაუბრეთ. ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა სამხედრო-ტექნიკურ სფეროში სწორედ ამ საშინელი სენის წინააღმდეგაა მიმართული,”** - აღნიშნა თეთრი სახლის წარმომადგენელმა ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში გამართულ შეხვედრაზე.

### ორი სიტყვით

**რუსეთი.** პარტია "როდინას" ლიდერმა დმიტრი როგოზინმა კრემლს მოუწოდა, ჩრდილოეთ კავკასია საგანგებო მდგომარეობის ზონად გამოაცხადოს.

რადიო "თავისუფლების" ეთერში გამოსვლისას როგოზინმა განაცხადა, რომ ამ რეგიონსა და რუსეთის დანარჩენ ნაწილს შორის ადამიანების გადაადგილება უნდა შეიზღუდოს. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის თქმით, რუსეთის ხელმძღვანელობამ უნდა აღიაროს, რომ ჩეჩნეთსა და მის მოსაზღვრე რესპუბლიკებში მდგომარეობის "ნორმალიზაცია" არ ხდება. როგოზინს მიაჩნია, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ლეგიტიმური პარლამენტის არჩევა მდგომარეობას ვერ გამოასწორებს. მისი აზრით, პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა უარი უნდა თქვას სეპარატისტთა იმ ლიდერების მხარდაჭერაზე, რომლებიც შემდგომში ფედერალური ხელისუფლების მხარეს გადავიდნენ და "ფსონი იმ ლოიალურ ჩეჩნებზე, დაღესტნელებზე და ინგუშებზე უნდა დადონ, ვინც იარაღით ხელში რუსეთისთვის იბრძოდა". **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**ჩეჩნეთი.** ჩეჩნეთში, ვადენოს რაიონში საველე მეთაურის ხაჯიევის რაზმის მებრძოლებმა სამხედრო მოსამსახურეებს ცეცხლი გაუხსნეს. დაჭრილია მეთაური და ორი ჯარისკაცი. ექსტრემისტებმა მიმალვა მოახერხეს, - იუწყება რადიო "თავისუფლება". მისივე ინფორმაციით, ოთხშაბათს ღამით რუსული არტილერია ნახევარი საათის განმავლობაში ნაღმტყორცნებიდან ცეცხლს უშენდა შალის რაიონის სოფელ სერჟენ-იურტის შემოგარენს. კომენდატურა საარტილერიო სროლის მიზეზებზე კომენტარს არ აკეთებს. **ინტერპრესნიუსი**

# ჯორჯ ბუში: რუსეთს დემოკრატიის არ უნდა ეშინოდეს

აშშ-ს პრეზიდენტი კვალავაც შეეცდება, დაარწმუნოს რუსეთი დემოკრატიული განვითარების აუცილებლობაში, თუმცა, ამავე დროს, ოფიციალური ვაშინგტონი არ მოელის, რომ რუსული დემოკრატია ამერიკულის ზუსტი ასლი იქნება, - ამის შესახებ პრეზიდენტმა ბუშმა ოთხშაბათს პოლონეთის პრეზიდენტ ალექსანდრ კვასნევსკისთან ერთად თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

პოლონელი ჟურნალისტის შეკითხვის საპასუხოდ, - რა პოზიცია უკავია აშშ-ს რუსეთის მიმართ, - ამერიკის პრეზიდენტმა გაიხსენა, რომ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის რამდენჯერმე დაიძაბა ურთიერთობა. ამის მიზეზი რუსეთის მიერ დემოკრატიული რეფორმების გზიდან გადახვევის საშიშროება იყო. **“ვცდილობთ, რუსეთს გავაცნობიერებინოთ, რომ დემოკრატია არ არის ის, რისიც უნდა ეშინოდეთ, ეს არის ის, რაც უნდა მიილონ და შეითვისონ. ვაღიარებ, რომ რუსული დემოკრატია ამერიკულის იდენტური ვერ იქნება. არ მოველით, რომ ყველა ქვეყანა ჩვენ დაგვემსგავსება. სამაგიეროდ, გვწამს, რომ ხალხები აღიარებენ ზოგიერთ უნივერსალურ პრინციპს – თავისუფლად ლოცვის, საზოგადოებაში ქალების თანასწორობის უფლებას. რაც შეეხება რუსეთს, ამ შემთხვევაშიც, კანონის უზენაესობასა და კერძო საკუთრებას ვცემთ პატივს. სწორედ ეს არის ის ძირითადი პრინციპები, რომელიც, ჩვენი აზრით, ნებისმიერი საზოგადოების მამოძრავებელ ძალად უნდა იქცეს. ხალხებმა თავიანთი გზა თავადვე უნდა აირჩიონ. ამიტომაც აშშ-მ მიზნად დაისახა, შეახსენოს მათ, რაოდენ დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია დემოკრატიულის გზით სვლას,”** - ბუშის სიტყვების ციტირებას ახდენს სააგენტო “როიტერსი”.



*სავალდებულო არ არის, რუსული დემოკრატია ამერიკულის იდენტური იყოს, თუმცა, არსებობს უნივერსალური პრინციპები.*

ჯორჯ ბუშმა დაამატა, რომ მას “კარგი” ურთიერთობა აქვს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან ვლადიმირ პუტინთან. **“დისკუსიის დროს, პუტინს ხშირად ვახსენებ, რომ მე დემოკრატიის ღრმად მწამს.”**

*24 საათი*

# ქართულ-იაპონური თანამშრომლობა და პერსპექტივები

დავით ზარიძე
საქართველოს ეროვნული, კულტურული და სავაჭრო ცენტრი იაპონიაში

საქართველო და იაპონია ის ქვეყნებია, რომლებმაც თავის დროზე ფეოდალური განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწიეს. მიუხედავად რელიგიური განსხვავებისა, ამ ორი უძველესი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ეროვნულ ტრადიციებში გარკვეული მსგავსებებიც შეინიშნება. შემთხვევითი, ალბათ, არც ის არის, რომ ქართველმა ფალავანმა ლევან ცაგურიამ, სახელი სწორედ ჭიდაობის იაპონურ, ეროვნულ, ტრადიციულ სახეობა სუმოში მიღწეული დიდი წარმატებების წყალობით გაითქვა.

სხვა მომენტების გარდა, საქართველო იაპონელებისათვის ცნობილია, როგორც დღეგრძელ ადამიანთა ქვეყანა. დღეგრძელობის ხელშემწყობი ფაქტორებიდან კი (გენეტიკური და ეკოსოციალური), ჯანმრთელობისათვის სასარგებლო, ტრადიციული კვების პროდუქტები, ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად ითვლება. საქართველო ასეთი პროდუქტებით ყოველთვის გამორჩეული იყო. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ადამიანის დღეგრძელობის პრობლემების შესწავლას დღეს იაპონიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, არ უნდა იყოს შემთხვევითი მათი დიდი ინტერესი ჩვენი ქვეყნის დღეგრძელ ადამიანთა ყოფისა და ეროვნული, ტრადიციული კვების პროდუქტების მიმართ.

სწორედ ამით იყო გამოწვეული საქართველოს ათკაციანი დელეგაციის მიპატიჟება იაპონიაში საერთაშორისო გერონტოლოგიურ ფორუმსა და II ქართულ-იაპონური ხელოვნებისა და კულტურის ფესტივალზე. ისინი, შესაბამისად, 2005 წლის 21 და 24 სექტემბერს გაიმართა. ეს ღონისძიებები მიძღვნილი იყო მოხუცთა საერთაშორისო დღისადმი, რომელიც მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, ყოველი წლის 1 ოქტომბერს აღინიშნება, იაპონელები კი მას 19 სექტემბერს აღნიშნავენ. ქართული დელეგაცია, ძირითადად, დღეგრძელი ადამიანებით იყო დაკომპლექტებული. დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, გერონტოლოგიის პრობლემური საბჭოს თვმჯდომარე ბატონი სიმონ დალაქიშვილი, რომელიც, ამავე დროს, გახლდათ ერთ-ერთი ძირითადი მომხსენებელი თემაზე - "ადამიანის დღეგრძელობის ხელშემწყობი ფაქტორები".



*საქართველოს დღეები იაპონიაში.*



აღნიშნულ ფორუმში მონაწილეობა მიიღო ღვაწლმოსილმა ქართველმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ნინო ჯავახიშვილმა, რომლის მონაწილეობა და ოფიციალური მისალმება დიდ პატივად ჩათვალა ფორუმის ყველა მონაწილემ. ქართულ დელეგაციაში შემავალმა ხანდაზმულთა ანსამბლის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ფორუმის დასკვნით, საზეიმო ნაწილში. ეს ექვსკაციანი ჯგუფი მონაწილეობდა ასევე კასუგაი სიტიში გამართულ II ქართულ-იაპონურ ხელოვნებისა და კულტურის ფესტივალზე, რომელიც მათი დიდი წარმატებით დასრულდა.

ვიზიტი მომზადდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის როგორც ყოფილი მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის, ასევე დღევანდელი თავკაცის გიგი უგულავასა და კულტურის მინისტრის გიორგი გაბაშვილის ხელშეწყობით. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ 10-დღიანი ვიზიტის მომზადებასა და მასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი იაპონიის მხარემ აანაზღაურა. ვიზიტის ორგანიზატორებად მოგვევლინენ ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის კარგად ცნობილი ბატონი იუმიო აოკი და ცნობილი იაპონელი მეცნიერი, პროფესორი იამორა.

აღსანიშნავია, რომ იგეგმება III ქართულ-იაპონური ხელოვნებისა და კულტურის ფესტივალის გამართვა თბილისში, 2006 წლის მარტში. მიმდინარეობს მოლაპარაკება, უკვე აპრილის თვეში, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის, დავით საყვარელიძის იაპონიაში ვიზიტის ორგანიზებაზე. ვიზიტის მიზანია შესაძლო ურთიერთთანამშრომლობის დამყარება იაპონიის შესაბამის კულტურულ-მუსიკალურ კერებთან. ამ ღონისძიებათა ორგანიზებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს ისევ იაპონური მხარე დააფინანსებს.

ყველაფერი ეს წარმოადგენს ნაწილს ე.წ. ქართული პროექტისა, რომელიც აგერ უკვე ხუთი წელია ბატონმა იუმიო აოკიმ ჩამოაყალიბა და ითვალისწინებს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის, ხელოვნების, ეროვნული ტრადიციებისა და ყოფის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას იაპონიაში. ბატონი აოკის აზრით, ამას აუცილებლად მოჰყვება ტრადიციული ქართული წარმოების პროდუქტებით იაპონელების დაინტერესება, შესაბამისად - იაპონურ ბაზარზე შეღწევა.

ეს უმნიშვნელო მომენტი არ გახლავთ, რადგან იაპონიის ეკონომიკა თავისი მასშტაბებით მეორეა მსოფლიოში. ქვეყნის შიდა ეროვნული პროდუქტი ოთხ ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, ერთ სულზე გადაანგარიშებით - 31 000 აშშ დოლარს (იაპონიის მოსახლეობა 127 მილიონ სულს შეადგენს). შედარებისათვის: აშშ შიდა ეროვნული პროდუქტი შეადგენს ცხრა ტრილიონ აშშ დოლარს, ანუ ერთ სულზე გადაანგარიშებით - 34,000 აშშ დოლარს (აშშ მოსახლეობა 275 მილიონია). გერმანიისათვის იგივე მონაცემები, შესაბამისად, არის - 2.3 ტრილიონი და 27,000 აშშ დოლარი (მოსახლეობა 83 მილიონი). განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იაპონია წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს იმპორტიორსა და ამ სფეროს ინვესტორს საზღვარგარეთის ბაზრებზე.

აი, ასეთ ბაზარზე აქვს შესაძლებლობა საქართველოს, დაიმკვიდროს ადგილი და მიიღოს საკმაოდ დიდი შემოსავალი. ამ მიმართულებით, ანუ ქართული პროდუქტების იაპონურ ბაზარზე შეღწევის მიზნით, ზემოთ აღნიშნული ხუთი წლის განმავლობაში, ბატონ აოკისა და მის მიერ საქართველოში დაფუძნებული პატარა ჯგუფის მიერ გადაიდგა რამდენიმე მოკრძალებული, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯი.

2002 წელს ჩატარდა პირველი ქართულ-იაპონური ხელოვნებისა და კულტურის ფესტივალი თბილისსა და თელავში. ამ ფესტივალის მიმდინარეობის პერიოდში, განვითარებული ღვინის წარმოების მქონე კუნძულ ხოკაიდოზე მდებარე ქალაქ იკედას თორმეტკაციანი დელეგაცია, იკედას ყოფილი მერის ხელმძღვანელობით, თელავს ეწვია. ვიზიტის მიზანი იყო ქართული ღვინის წარმოების თავისებურებების გაცნობა. შედეგად, თელავის მერის ბატონ ვასილ დავითაშვილის ხელშეწყობით, იკედაში შეიქმნა ქართული ღვინის მუზეუმი, რომელიც დაკომპლექტდა ღვინის დამზადების უძველესი ქართული მეთოდისათვის დამახასიათებელი ექსპონატებით: ქვევრით, საწნახელით, ხაპირითა და ა.შ. იაპონელები მზად არიან, სწორედ ასე წარმოებული ღვინო შეიძინონ, რადგან მიიჩნევენ, რომ ღვინის ამ საშუალებებით დამზადება ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა, - იგი არ განიცდის გაფილტვრის პროცესს და, ქარხნული წესით დამზადებული ღვინისგან განსხვავებით, არ კარგავს ჯანმრთელობისათვის სასარგებლო მთელ რიგ ინგრედიენტებს.

იაპონელებისთვის ისიც არის ცნობილი, რომ ეტიმოლოგიურად "ღვინო" ქართული წარმოშობის სიტყვადაც ითვლება, საქართველო კი - ღვინის ერთ-ერთ უმსხვილეს ექსპორტიორად უძველეს დროში, რასაც დიდი აბრეშუმის გზა უწყობდა ხელს. სამწუხაროდ, ასეთი წესით ღვინის დამზადება დღეს მხოლოდ კერძოდ, ოჯახებში შემორჩა და ისიც - შედარებით დამახინჯებული სახით.

ბატონ აოკის ინიციატივითა და ხარჯებით, ქართული კვების პროდუქტები ტოკიოს ჯანმრთელობისათვის სასარგებლო კვების პროდუქტების გამოფენაზე იქნა ექსპონირებული. გამოფენა 2003 წლის ოქტომბერს ჩატარდა. იქ წარმოდგენილი იყო ქართული ღვინო, ქართული მაწონი "მარიამი", მინერალური წყალი, ტყემლის საწებელი და სხვა ქართული პროდუქტები. გამოფენის დასრულებისთანავე, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის დეპარტამენტს გადაეცა ანგარიში, რომელიც ამ გამოფენაზე ჩვენი პროდუქტების მონაწილეობის დეტალებს ასახავს.

2004 წლის 1-4 მაისს, ასევე ბატონ აოკის ინიციატივითა და ხარჯებით, ოსაკას ტრადიციულ ბაზრობაზე იქნა წარმოდგენილი ხელნაკეთი სუვენირები, ღვინო, ტყემალი და სხვა. ამ ხნის განმავლობაში გამოიკვეთა იაპონიაში ექსპორტის რამდენიმე ძირითადი მიმართულებაც: წყალი, ღვინო, სამკურნალო მცენარეები, რძემჟავა პროდუქტები, თაფლი, ხილი, ბოსტნეული და მათ საფუძველზე დამზადებული წვენები, ჯემები, მურაბები, რომელთა წარმოება, ასე თუ ისე, დღეს შენარჩუნებულია. იაპონური ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში (შეფუთვის ფორმა, ხარისხის შემოწმება და ასე შემდეგ), მათი იაპონიაში ექსპორტის განვითარების პერსპექტივა სავსებით რეალურია.

ამ მიზნით განხორციელდა რამდენიმე სახის პროდუქტის მცირე პარტიების ექსპერიმენტული ექსპორტი იაპონიაში. სამწუხაროდ, ამ პროცესში გამოიკვეთა უამრავი პრობლემა, რაც პროდუქციის შეფუთვასთან, ხარისხის შემოწმებასთან, სხვა სტანდარტებით სერტიფიცირებასთან, განბაჟების თავისებურებებთან და სხვა პროცედურებთან იყო დაკავშირებული. თუმცა, დაგროვდა გარკვეული გამოცდილება, შესწავლილი და სისტემატიზირებული იქნა იაპონური ბაზრის მკაცრი მოთხოვნები, საბაჟო პროცედურები, საიმპორტო იურიდიული ნორმები, სხვა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ უკვე მზად ვართ, ამ პროფილის ყველა მეწარმეს გავუწიოთ კონსულტაციები, მივცეთ რჩევები, გავაცნოთ იაპონური ბაზრის კონიუნქტურა, იაპონური საიმპორტო კანონმდებლობისა და პროცედურებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, მოთხოვნები, დავეხმაროთ მათ იაპონურ სტანდარტებზე მორგებაში და ბოლოს, რაც მთავარია, პოტენციური მომხმარებლის, ანუ დამკვეთის მოძებნაში.

ამიტომ, დაინტერესებულ მეწარმეებს მოვუწოდებთ გამოგვეხმაურონ, რადგან დადგა დრო შემოქმედებითი მიდგომისა. ჩვენმა სახელმწიფომ უკვე გააკეთა თავისი საქმე - მაქსიმალურად გაამარტივა საექსპორტო პროცედურები. ახლა სიტყვა მეწარმეთა შემოქმედებით მიდგომაზეა. თავის დროზე ასე დაიწყო ბულგარეთმაც, რომელსაც ახლა საკმაოდ დიდი ნიშა აქვს იაპონიის კვების პროდუქტების ბაზარზე და ეს მისი გამოცდილება, შეიძლება, ჩვენთვის სამაგალითო გამოდგეს.

ფეხბურთი

# ევროპაში შერჩევა დამთავრდა

ჩეხეთის, თურქეთის, სლოვაკეთის, ნორვეგიის, შვეიცარიისა და ესპანეთის ნაკრებმა გუნდებმა თავიანთ ქვეჯგუფებში მეორე ადგილები დაიკავეს და გადათამაშებაში შეეცდებიან მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვებას. გერმანიის ბილეთები კი შეუძლიათ შეუკვეთონ საფრანგეთის, შვედეთისა და სერბეთის ნაკრებმა გუნდებმა. ასეთია შესარჩევი ტურნირის უკანასკნელი ტურის შედეგები.

ჩეხეთის ნაკრებს პირველი ჯგუფიდან გასასვლელად სტუმრად ფინეთის დამარცხება მართებდა. ჩეხებმა უკვე მეექვსე წუთზე გააკეთეს საქმე, როცა იუნმა ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმში როსიცკისა და ჰაინცეს გოლებმა კი ხაზი გაუსვეს ჩეხების სრულ უპირატესობას იმ შეხვედრაში. ჯგუფის დანარჩენ მატჩებში სომხებმა სტუმრად დაამარცხეს ანდორა - 3:0, ხოლო ჰოლანდიისა და მაკედონიის გუნდების შეხვედრა ფრედ - 0:0 დასრულდა.

მეორე ჯგუფში მორიგი მარცხი იწვნია საქართველოს ნაკრებმა. ჩვენები მინიმალური ანგარიშით - 1:0 დამარცხდნენ ევროპის ჩემპიონ ბერძნებთან პაექრობაში. დანიამ სტუმრად მოუგო ყაზახეთს, ხოლო ტურის უმთავრეს შეხვედრაში თურქებმა ერთადერთი გოლის წყალობით სძლიეს ალბანეთს და გადათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

მესამე ჯგუფის უმთავრესი მატჩი გაიმართა ბრატისლავაში, სადაც სლოვაკებმა რუსეთს უმასპინძლეს. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ, მატჩი ფრედ - 0:0 დასრულდა, მაგრამ გადათამაშებაში მონაწილეობას სლოვაკეთის ნაკრები მიიღებს. რაც შეეხება ჯგუფის გამარჯვებულ პორტუგალიას, მან დაამარცხა ლატვიის გუნდი (3:0) და მორიგი სამი ქულა მიითვალა საკუთარ ანგარიშზე. იმ მატჩში დუბლი შეასრულა პედრო პაულეტამ და ნაკრებში გატანილი გოლების რაოდენობით ლეგენდარულ ეუსებიოს გაუსწრო. ესტონელებმა ლუქსემბურგში დაამარცხეს ჯგუფის აუტსაიდერი - 2:0.

მეოთხე ჯგუფში დიდი წვალების შემდეგ ფინიშთან პირველი მაინც საფრანგეთის ნაკრები მივიდა. ფრანგებმა იოლად დაამარცხეს კვიპროსის გუნდი - 4:0 და რაკი ირლანდიისა და შვეიცარიის ნაკრებთა მატჩი ნულოვანი ფრით დასრულდა, მსოფლიო ჩემპიონატის პირდაპირი საგზური ფრანგებს ერგოთ. შვეიცარია მეორეა. ირლანდიის გუნდი კი მეოთხე ადგილზე დარჩა.

მეხუთე ჯგუფში მდგომარეობა ჯერ კიდევ ტურის დაწყებამდე გარკვეული იყო. იტალიის ნაკრებმა პირველობა გაინაღდა. მეორე ადგილზე ნორვეგია დარჩა. თუმცა, ჯგუფის ლიდერებმა ბოლო ტურის მატჩები მაინც მოიგეს. იტალიამ მოლდოვა დაამარცხა - 2:1, ხოლო ნორვეგიამ მინიმალური ანგარიშით - 1:0 სძლია ბელორუსს. ამავე ჯგუფში შოტლანდიელებმა საკუთარი გულშემატკივრის თვალში რეაბილიტაცია მოახდინეს და სლოვენიაში - 3:0 გაანადგურეს მასპინძლები. თუმცა, მესამე საფეხურს მაინც ვერ ასცდნენ.



"ზიზუს" დაბრუნებამ ფრანგები ფინალურ ეტაპზე გაიყვანა.

მეექვსე ჯგუფში ინგლისისა და პოლონეთის ნაკრებებს გერმანიის საგზური განაღდებული ჰქონდათ. თუმცა, ამის მიუხედავად, ინგლისელებმა შინ, მანჩესტერში მაინც დაამარცხეს სლავები - 2:1. ოუენის გოლს ორ წუთში ფრანკოვსკიმ უპასუხა. გამარჯვება კი მასპინძლებმა მე-80 წუთზე მოიპოვეს, როცა "ჩელსის" ფეხბურთელმა ფრენკ ლამპარდმა გამოიჩინა თავი. ჯგუფის სხვა მატჩებში ავსტრიის ნაკრებმა - 2:0 დაამარცხა ჩრდილოეთ ირლანდია, ხოლო უელსმა ამავე ანგარიშით მოუგო აზერბაიჯანს.

მეშვიდე ჯგუფში გამარჯვებულის ბედი სერბების ხელში იყო. მათ ბელგრადში პირველი ადგილის გასანაღდებლად ყოფილი თანამემამულეების, ბოსნია-ჰერცეგოვინის გუნდის დამარცხება მართებდათ. უფრო სწორად, სერბებს ეს მატჩი არ უნდა წაეგოთ. მასპინძლებმა ამოცანას მეხუთე წუთზევე წარმატებით გაართვეს თავი, როცა მატეა კეჟმანმა გახსნა ანგარიში - 1:0. როგორც აღმოჩნდა, ეს გოლი ერთადერთი იყო შეხვედრაში და სერბებმა პირველობასთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვეს. ესპანეთის ნაკრებმა - 6:0 გაანადგურა სან-მარინო, მაგრამ მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა.

გერმანიაში თამაშის უფლება მოიპოვა მერვე ჯგუფის ორივე გამარჯვებულმა ხორვატიისა და შვედეთის ნაკრებმა გუნდებმა. ხორვატებმა ეს პატივი ჯერ კიდევ შაბათს მოიპოვეს, მაგრამ მაინც ღირსეულად ითამაშეს და უნგრეთში ნულოვან ფრეს დასჯერდნენ. შვედებმა კი სტოკჰოლმში - 3:1 დაამარცხეს ისლანდია და ხორვატების შემდეგ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს, რამაც მათ გერმანიის პირდაპირი საგზური მოუტანა.

რაც შეეხება გადათამაშებას, აქ მონაწილეობას მიიღებენ ჩეხეთის, თურქეთის, სლოვაკეთის, ნორვეგიის, შვეიცარიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები. ამ ეტაპის კენჭისყრა დღეს გაიმართება.

**I ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 12 | 10 | 2 | 0 | 27:3 | 32 |
| ჩეხეთი | 12 | 9 | 0 | 3 | 35:12 | 27 |
| რუმინეთი | 12 | 8 | 1 | 3 | 20:10 | 25 |
| ფინეთი | 12 | 5 | 1 | 6 | 21:19 | 16 |
| მაკედონია | 12 | 2 | 3 | 7 | 11:24 | 9 |
| სომხეთი | 12 | 2 | 1 | 9 | 6:25 | 7 |
| ანდორა | 12 | 1 | 2 | 9 | 4:34 | 5 |

**II ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 12 | 7 | 4 | 1 | 18:7 | 25 |
| თურქეთი | 12 | 6 | 5 | 1 | 23:9 | 23 |
| დანია | 12 | 6 | 4 | 2 | 24:12 | 22 |
| საბერძნეთი | 12 | 6 | 3 | 3 | 15:9 | 21 |
| ალბანეთი | 12 | 4 | 1 | 7 | 11:20 | 13 |
| **საქართველო** | **12** | **2** | **4** | **6** | **14:25** | **10** |
| ყაზახეთი | 12 | 0 | 1 | 11 | 6:29 | 1 |

**III ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 12 | 9 | 3 | 0 | 35:5 | 30 |
| სლოვაკეთი | 12 | 6 | 5 | 1 | 24:8 | 23 |
| რუსეთი | 12 | 6 | 5 | 1 | 23:12 | 23 |
| ესტონეთი | 12 | 5 | 2 | 5 | 16:17 | 17 |
| ლატვია | 12 | 4 | 3 | 5 | 18:21 | 15 |
| ლიხტენშტაინი | 12 | 2 | 2 | 8 | 13:23 | 8 |
| ლუქსემბურგი | 12 | 0 | 0 | 12 | 5:48 | 0 |

**IV ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 10 | 5 | 5 | 0 | 14:2 | 20 |
| შვეიცარია | 10 | 4 | 6 | 0 | 18:7 | 18 |
| ისრაელი | 10 | 4 | 6 | 0 | 15:10 | 18 |
| ირლანდია | 10 | 4 | 5 | 1 | 12:5 | 17 |
| კვიპროსი | 10 | 1 | 1 | 8 | 8:20 | 4 |
| ფარერები | 10 | 0 | 1 | 9 | 4:27 | 1 |

**V ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 10 | 7 | 2 | 1 | 17:8 | 23 |
| ნორვეგია | 10 | 5 | 3 | 2 | 12:7 | 18 |
| შოტლანდია | 10 | 3 | 4 | 3 | 9:7 | 13 |
| სლოვენია | 10 | 3 | 3 | 4 | 10:13 | 12 |
| ბელორუსი | 10 | 2 | 4 | 4 | 12:14 | 10 |
| მოლდოვა | 10 | 1 | 2 | 7 | 5:16 | 5 |

**VI ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 10 | 8 | 1 | 1 | 17:5 | 25 |
| პოლონეთი | 10 | 8 | 0 | 2 | 27:9 | 24 |
| ავსტრია | 10 | 4 | 3 | 3 | 15:12 | 15 |
| ჩრდ. ირლან. | 10 | 2 | 3 | 5 | 10:18 | 9 |
| უელსი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:15 | 8 |
| აზერბაიჯანი | 10 | 0 | 3 | 7 | 1:21 | 3 |

**VII ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 10 | 6 | 4 | 0 | 16:1 | 22 |
| ესპანეთი | 10 | 5 | 5 | 0 | 19:3 | 20 |
| ბოსნია | 10 | 4 | 4 | 2 | 12:9 | 16 |
| ბელგია | 10 | 3 | 3 | 4 | 16:11 | 12 |
| ლიტვა | 10 | 2 | 4 | 4 | 8:9 | 10 |
| სან-მარინო | 10 | 0 | 0 | 10 | 2:40 | 0 |

**VIII ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 10 | 7 | 3 | 0 | 21:5 | 24 |
| შვედეთი | 10 | 8 | 0 | 2 | 30:4 | 24 |
| ბულგარეთი | 10 | 4 | 3 | 3 | 17:17 | 15 |
| უნგრეთი | 10 | 4 | 2 | 4 | 13:14 | 14 |
| ისლანდია | 10 | 1 | 1 | 8 | 14:27 | 4 |
| მალტა | 10 | 0 | 3 | 7 | 4:32 | 3 |

# გერმანიაში ავსტრალიის გავლით

გადათამაშებაში მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად, ტრინიდადი და ტობაგოს ნაკრები ბაჰრეინს შეხვდება, ხოლო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ურუგვაი ავსტრალიის ნაკრებს გაეჯიბრება.

კონკაკაფის ზონაში შესარჩევი ტურნირის ბოლო ტურის წინ ტრინიდადი და ტობაგოს გუნდი გვატემალას ორი ქულით უსწრებდა. ჯგუფში მეოთხე ადგილის დასაკავებლად და გადათამაშებაში მოსახვედრად ტრინიდადელებს ჯგუფის ლიდერის მექსიკის დამარცხება მართებდათ. გვატემალელებს უფრო იოლი ამოცანა ჰქონდათ. მათ უნდა დაემარცხებინათ კოსტა-რიკის ნაკრები, რომელიც, სიმართლე რომ ითქვას, მექსიკაზე აშკარად სუსტი გუნდია.

გვატემალამ, რაც მოეთხოვებოდა, ყველაფერი უკვე პირველ ტაიმში გააკეთა. მან სამი უპასუხო გოლი გაიტანა კოსტა-რიკის კარში. სტუმრებმა მხოლოდ მეორე ტაიმში მოახერხეს პრესტიჟის გოლის გატანა. ამით მათი შესაძლებლობები ამოიწურა. შედეგად გვატემალამ გაიმარჯვა - 3:1.

თუმცა, ინფორმაციამ პარალელურად მიმდინარე შეხვედრის შესახებ ტრინიდადი და ტობაგოსა და მექსიკას შორის გვატემალელ გულშემატკივრებსა და ფეხბურთელებს დადებითი მუხტი არ მისცა. ტრინიდადელებმა "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ფორვარდის დუაიტ იორკის ხელმძღვანელობით მოახერხეს და დაამარცხეს მექსიკის ნაკრები - 2:1. ამ შეხვედრაში მექსიკელებს აღარაფერი აღარ უნდოდათ. მათ, აშშ-ისა და კოსტა-რიკის გუნდების მსგავსად, გერმანიის საგზური კარგა ხნით ადრე მოიპოვეს.

მასპინძელთა შემადგენლობაში გამარჯვების გოლი გაიტანა სტენრ ჯონმა, რომელმაც პირველი ტაიმის მიწურულს მექსიკელების კარში პირველი საპასუხო გოლი შეაგდო. ანგარიში კი მექსიკის ნაკრებმა მატჩის 38-ე წუთზე გახსნა. თავი ლოსანომ გამოიჩინა.



ალვარო რეკობა - არგენტინელთა კარში ერთადერთი გოლის ავტორი.

ახლა ტრინიდადი და ტობაგოს გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის საგზურისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში ბაჰრეინის ნაკრებს გაეჯიბრება.

სამხრეთ ამერიკის ზონაში ბოლო ტურის წინ უკვე ცნობილი იყო იმ გუნდების ვინაობა, ვინც ზაფხულში გერმანიაში გაემგზავრება. ესენია: ბრაზილია, არგენტინა, ეკვადორი და პარაგვაი. გასარკვევი იყო მხოლოდ გადათამაშების მონაწილე გუნდის ვინაობა. მეხუთე ადგილისთვის კი ერთდროულად სამი გუნდი - ურუგვაი, კოლუმბია და ჩილე აცხადებდა პრეტენზიას. ურუგვაელები მეტოქეებს ერთი ქულით უსწრებდნენ.

ამ უპირატესობის მიუხედავად, აშკარა იყო, რომ ურუგვაელებს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდათ. მართალია, კოლუმბია და ჩილე პარაგვაისა და ეკვადორს ხვდებოდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ამ გუნდებიდან ერთ-ერთი მაინც მოახერხებდა გამარჯვებას. ურუგვაის კი ყველაზე სერიოზული მეტოქე ჰყავდა არგენტინის სახით.

კოლუმბიელებმა უკვე მე-7 წუთზე გაუტანეს გოლი პარაგვაის, დროებით გადაინაცვლეს სანატრელ მეხუთე ადგილზე და მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მეხუთე საფეხურზე იყვნენ. სამივე მატჩი ერთდროულად დაიწყო, ამიტომ მეხუთე ადგილისთვის ბრძოლა ნამდვილ საფეხბურთო მატჩს დაემსგავსა, რომელიც 90 წუთს გრძელდება.

მეორე ტაიმის დასაწყისში ურუგვაის ნაკრებმა გოლი გაიტანა. არგენტინელთა კარში გოლი გავიდა, მაგრამ ეს გოლი პირველ რიგში სწორედ კოლუმბიელებისთვის გახდა უძლიერესი დარტყმა.

რა შეეძლო კოლუმბიას ამ შემთხვევაში ეღონა? პრაქტიკულად არაფერი. ალბათ, მხოლოდ არგენტინისთვის ლოცვა. მაგრამ მათ იმ მატჩში უკვე არაფერი სჭირდებოდათ. თავისი მისია არგენტინელებმა დიდი ხნით ადრე შეასრულეს და ამიტომაც თავს უფლება მისცეს ურუგვაიში წაეგოთ. მასპინძელთათვის სასიხარულოდ, ეს მატჩი ასევე დასრულდა - 1:0. ურუგვაის გმირი კი გახდა ალვარო რეკობა, რომელმაც გაიტანა კიდეც გადამწყვეტი გოლი არგენტინელთა კარში. ახლა ურუგვაის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე მოსახვედრად ავსტრალიასთან შეხვედრა მოუწევს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 18 | 9 | 7 | 2 | 35:17 | 34 |
| არგენტინა | 18 | 10 | 4 | 4 | 29:17 | 34 |
| ეკვადორი | 18 | 8 | 4 | 6 | 23:19 | 28 |
| პარაგვაი | 18 | 8 | 4 | 6 | 23:23 | 28 |
| ურუგვაი | 18 | 6 | 7 | 5 | 23:28 | 25 |
| კოლუმბია | 18 | 6 | 6 | 6 | 24:16 | 24 |
| ჩილე | 18 | 5 | 7 | 6 | 18:22 | 22 |
| ვენესუელა | 18 | 5 | 3 | 10 | 20:28 | 18 |
| პერუ | 18 | 4 | 6 | 8 | 20:28 | 18 |
| ბოლივია | 18 | 4 | 2 | 12 | 20:37 | 14 |

კრივი

# ოსკარი სცენას უბრუნდება

*მის მსგავს მოკრივეებს დიდი წარდგენა არ სჭირდებათ, მაგრამ მაინც გეტყვით: ექვს სხვადასხვა წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულებს ფლობდა, დღეს კი პრომოუტერობას აუღო ალღო და საქმოსნობის ნიჭიც აღმოაჩნდა. მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, პრომოუტერი და ბიზნესმენი, "ოქროს ბიჭუნად" წოდებული ოსკარ დე ლა ჰოია გაისად რინგს ორი ორთაბრძოლით უბრუნდება და მერე ხელთათმანებსაც გაიძრობს. როგორც თავად ამბობს, ერთხელ და სამუდამოდ. მიუხედავად ამისა, კრივიდან წასვლას მაინც არ აპირებს. დე ლა ჰოია რინგზე რჩება, მაგრამ არა როგორც მოკრივე, არამედ როგორც პრომოუტერი. ახლახან "ოქროს ბიჭუნას" გაესაუბრა ინტერნეტ-საიტი Boxingtalk.com, რომლის მეშვეობითაც შესაძლო მეტოქეებზე, პრომოუტერულ პროექტებსა და ბევრს სხვა რამეზე შევიტყობთ.*

ბიბა ბურასაშვილი

**ოსკარ დე ლა ჰოია**

WBO ჩემპიონი პირველ მსუბუქ წონაში (1994)

WBO ჩემპიონი მსუბუქ წონაში (1994-95)

IBF ჩემპიონი მსუბუქ წონაში (1995)

WBC ჩემპიონი პირველ ნახევრად საშუალო წონაში (1996-97)

WBC ჩემპიონი ნახევრად საშუალო წონაში (1997-99)

WBC ჩემპიონი პირველ საშუალო წონაში (2001-2003)

WBA ჩემპიონი პირველ საშუალო წონაში (2002-2003)

WBO ჩემპიონი საშუალო წონაში (2004)

ერთი სიტყვით, დე ლა ჰოია (37 გამარჯვება, აქედან 29 ნოკაუტით და ოთხი წაგება) გვარწმუნებს, რომ გაისად, სექტემბერში, კარიერის ბოლო, ამასთან, გამოსამშვიდობებელ ორთაბრძოლას გამართავს და რინგისკენ აღარასდროს გაიხედავს. სექტემბრამდე კი მაისში ჩხუბს აპირებს. წონა? ამ შემთხვევაში, ჯერჯერობით, გაურკვევლობაა. გამოვა ან პირველ საშუალო წონაში, ან უფრო მსუბუქში. გააჩნია, დათქმულ დროს სასწორი რას უჩვენებს.

...ვინაიდან რინგიდან წასვლაში ეჭვი არ ეპარება, სურს ბოლო ორთაბრძოლა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მოკრივესთან გამართოს.

"ვინკი რაიტის მსგავს მოკრივესთან ჩხუბი მინდა. ისეთთან, რომელთანაც აუტსაიდერად ჩამთვლიან. ვიყო აუტსაიდერი – ჩემთვის გამოწვევა, მოტივაციაა. მე კი სწორედ ასეთი მდგომარეობა მომწონს. რაკი კრივიდან წასვლას ვაპირებ, მინდა ეს სენსაციურად გავაკეთო".

შესაძლო მეტოქეთა შორის დე ლა ჰოია ხედავს პირველი საშუალო წონის მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს რონალდ "ვინკი" რაიტს (49 გამარჯვება, აქედან 25 ნოკაუტით და სამი წაგება), ნახევრად საშუალო წონის აბსოლუტურ ჩემპიონს ზაბ ჯუდას (34 გამარჯვება, აქედან 25 ნოკაუტით და ორი წაგება), თუმცა, იქვე დასძენს: რაკი სიტუაცია ყოველ თვეში იცვლება, კანდიდატურის ვინაობა საბოლოოდ გაისად განისაზღვრებაო.

რაც შეეხება დღესდღეობით ერთ-ერთ უძლიერეს მოკრივესთან სამ სხვადასხვა წონითი კატეგორიის ჩემპიონ ფლოიდ მეივეზერ-უმცროსთან (34 გამარჯვება, აქედან 23 ნოკაუტით. დღემდე წაუგებელია) შეხვედრის ალბათობას, ოსკარი ასეთ შესაძლებლობას წინდაწინვე გამორიცხავს. მეივეზერს რომ არ შევხვდები, ეს დიდი ხანია გადავწყვიტე და მის შეცვლას არც ვაპირებო. საქმე ისაა, რომ "ოქროს ბიჭუნას" ამგვარი გადაწყვეტილება დაკავშირებულია იმასთან, რომ დიდი ხანია, რაც დე ლა ჰოიას მწვრთნელობას ფლოიდ მეივეზერის მამა მეივეზერ-უფროსი ეწევა. მისდამი პატივისცემა უფლებას არ მაძლევს ჩემი მწვრთნელის შვილს შევერკინოო.

...სამაისო დაპირისპირებას დე ლა ჰოია სხვაგვარად უდგება. მართალია, არც ამ შემთხვევაში სურს სუსტ და უსახელო მეტოქესთან დაპირისპირება, მაგრამ ის კი განზრახული აქვს, რომ გაზაფხულზე ვინკი რაიტის კალიბრის მქონე მოკრივესთან საჩხუბრად არ გავა. "ვისურვებდი რიკარდო მაიორგას (28 გამარჯვება, აქედან 23 ნოკაუტით, ერთი ფრე და ხუთი წაგება) ან ფერნანდო ვარგას (26 გამარჯვება, აქედან 22 ნოკაუტით და ორი წაგება) შევხვდე. ანუ იმათ, ვისთან შეხვედრებშიც უპირატესობას მე მომანიჭებენ. თუმცა, მათთან ორთაბრძოლა თანაბარძალოვანი იქნება, ისეთი, რომლის შედეგის გამოცნობაც ბევრისთვის მეტად საჩოთიროა".

პირველ ორთაბრძოლას ოსკარი კომერციულადაც განსაზღვრავს და აცხადებს, რომ მაიორგასთან ან ვარგასთან დაპირისპირების პირდაპირ ეთერში ხილვის მოსურნეთა რაოდენობამ, შესაძლოა, ფასიანი ტელევიზიის დაახლოებით 700 ათასი მაყურებელი მიიზიდოს.

ისე კი, მაიორგასთან ჩხუბის წარმართვას ოსკარი უფრო საძნელოდ მიიჩნევს, ვიდრე, ვთქვათ, ვარგასთან, მაგრამ სჯერა, რომ რიკარდოსთან ორთაბრძოლა მაყურებელთა უფრო დიდ ინტერესს გამოიწვევს. და კიდევ, ჰგონია, რომ მაიორგას დანოკაუტებას ვერ შეძლებს.

ახლა კი ცოტა რამ საკრივო კარიერის შემდგომ გეგმებზე. ოსკარს რინგიდან წასვლის შემდეგ ისევ რინგზე დარჩენა განუზრახავს, ოღონდ პრომოუტერის რანგში. მიაჩნია, რომ კრივს დიდი შესაძლებლობები აქვს განვითარებისთვის. ეს კი ახალმა თაობამ უნდა გააკეთოსო.

"სულ რაღაც 32 წლის ვარ და შორს წასვლას არ ვაპირებ. კრივის დიდი პოტენციალი აქვს განვითარებისთვის. ბობ არუმმა და დონ კინგმა (პრომოუტერები არიან) დიდ ორთაბრძოლათა ორგანიზებისთვის გიგანტური სამუშაო გაწიეს, მაგრამ ეს ყველაფერი ისტორიის საკუთრებაა. მიმაჩნია, რომ ისეთ ადამიანთან, როგორიცაა ვინკი რაიტი, რომელიც საკუთარ პრომოუტერულ კომპანიებს აყალიბებს და "Golden Boy Promotions" (ეს უკანასკნელი თავად ოსკარ დე ლა ჰოიას კომპანიაა.-რედ.) ახალი თაობა მოვიდა".


# განცხადება

## სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი აცხადებს ტრანსნაციონალური სააგენტოს მომსახურების შესყიდვაზე საერთაშორისო ღია ტენდერს

რეკვიზიტები - ქ. თბილისი კოსტავას ქ. N68

**სატენდერო პირობები:**

**1.საკორესპონდენტო ბიუროების და ხელმომწერების ფართო ქსელი მთელი მსოფლიოს მასშტაბით.**

**2.უზრუნველყოფდეს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ მრავალფეროვანი ინფორმაციის მოწოდებას. მოწოდებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად სფეროებს: პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, შოუბიზნესი, სპორტი, კრიმინალი.**

**3.უზრუნველყოფდეს ხარისხიანი ვიზუალური მასალების ოპერატიულად მოწოდებას.**

**4.მუშაობდეს პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.**

**მომსახურების ვადა სამი წელი.**

ტენდერში .მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმნის დართვით) 2005წ. 14 ნოემბრის 11 საათიდან 21 ნოემბრის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68 ოთახი N 341.

**საკავალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის:**

ცნობას საქართველოს რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვისმათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

**ფიზიკური პირებისათვის:**

ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

- ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს

ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება გარანტირების მექანიზმი (კონკრეტული მოთხოვნები აისახება სატენდერო დოკუმენტაციაში).

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (500ლ.) გადახდის შემდეგ, 2005წ. 2 დეკემბრის 11 საათიდან 12 დეკემბრის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68 ოთახი N 341.

**დამატებითი ინფორმაციისათვის**
**მიმართეთ საკონტაქტო პირს - ზამთარაძე ნათია. ტელ: 33-23-64**

# ლაშა და ნავთობსადენი

**ლაშა ბუღაძე**: დღეს ჩემი სტუმარია ქეთი კვინიკაძე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მონიტორინგის პროგრამის კოორდინატორი. ჩაგვერთვება ეკონომიკური ექსპერტი სანდრო თვალჭრელიძე.

**ქეთი კვინიკაძე**: დაახლოებით სამი წელია, სამართლებრივ პრობლემებზე ვმუშაობთ და მართებულად ჩავთვალეთ სწორედ დღეს მიგვეწოდებინა ინფორმაცია იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განხორციელების დროს იჩენდა ხოლმე თავს. და კიდევ ერთხელ მიგვეწოდებინა ქვეყნის ხელისუფლებისა და პროექტის განმახორციელებელი კომპანიისთვის, რომ მიეღოთ ზომები, რათა ეს პროექტი მართლაც საუკუნის პროექტი იყოს საქართველოს ხელისუფლებისთვის.

პირველ რიგში, ჩვენ გამოვყავით პრობლემები მიწის თემაზე. ჩვენთან დაახლოებით 60 საქმეა შემოსული. 44-მეტრიან დერეფანში 22 მეტრი არის სამშენებლო დერეფანი, 22 მეტრი კი გაზსადენის, რომელიც 2006 წლიდან შევა ექსპლუატაციაში. სწორედ ამ პერიოდში გადაწყვიტა კომპანიამ, შეეძინა მიწის ნაკვეთები საქართველოში, მაგრამ მაშინვე მიწის ბევრ მესაკუთრეს შეექმნა პრობლემები. კერძოდ, ბევრჯერ მოხდა ისე, რომ კომპანიამ სრულიად სხვა ადამიანებს გადაუხადა თანხა მიწის სანაცვლოდ. მაგალითად, რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვარზე გვაქვს ასეთი შემთხვევა. ცხადია, ეს შეცდომაა და მხოლოდ "ბი პი"-ს ბრალი არ არის. მიწის რეფორმის შემდეგ საჯარო რეესტრში რა ინფორმაციაც იყო თავმოყრილი, კომპანიამ გამოითხოვა, რათა სცოდნოდა, ვის ნაკვეთებზე გაივლიდა ნავთობსადენი და ამ ინფორმაციის საფუძველზე აწარმოა მოლაპარაკებები მიწის მესაკუთრეებთან. მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ სრულიად სხვა ადამიანს ჩაურიცხეს ბანკში თანხა და როცა მშენებლობა დაიწყო, მიწის მესაკუთრემ აღმოაჩინა, რომ ვიღაც არის შესული მის ნაკვეთზე და დებს მილს. ასეთი აბსურდული სიტუაცია რამდენჯერმე გამეორდა.

**ლაშა ბუღაძე**: რატომ ჯანჯლდება სასამართლო პროცესი? თუ არ ვცდები, დაახლოებით სამი წელია მიმდინარეობს.

**ქეთი კვინიკაძე**: პროცესები მართლაც ძალიან იწელება დროში. სამწუხაროდ, იმის პრეცედენტი, რომ კომპანიის წინააღმდეგ იქნებოდა გადაწყვეტილება გამოტანილი სასამართლოს მხრიდან, არ ყოფილა. გამოსავალი, ჩვენი აზრით, შემდეგია: დავსვათ ერთად მხარეები, მესაკუთრე და კომპანიის წარმომადგენლები და ორივე მხარისთვის მისაღებ გადაწყვეტილებამდე მივიყვანოთ.


ქეთი კვინიკაძე.

არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა კომპანია დათანხმდა შედარებით ნაკლები თანხის გადახდაზე და სასამართლო პროცესიც დასრულდა.

**ლაშა ბუღაძე**: "ბი პი"-ს მხარე ელოდება სასამართლო გადაწყვეტილებას და მხოლოდ შემდეგ აპირებს რეაგირებას?

**ქეთი კვინიკაძე**: სხვა საქმეების შემთხვევაში არ ელოდება "ბი პი" სასამართლოს გადაწყვეტილებას. აი, თუნდაც რუსთავში გვქონდა მსგავსი საქმეები, როცა სასამართლო დავები მიმდინარეობდა და პარალელურ რეჟიმში კომპანია აგრძელებდა მუშაობას მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც დავა იყო. ეს პრობლემა გამომდინარეობს ალბათ იქიდან, რომ მათ ვადები ჰქონდათ შესასრულებელი, რათა დროულად გახსნილიყო ნავთობსადენი.

**ლაშა ბუღაძე**: აღნიშნულია ისიც, რომ სამშენებლო კომპანიები არღვევენ მუშების შრომით უფლებას, თუ იცავს ვინმე მათ უფლებებს?

**ქეთი კვინიკაძე**: ზეგანაკვეთური მუშაობა ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. სამწუხაროდ, დასაქმებულ პირებს თვეში უწევთ 120 საათი მუშაობა და რატომ: ამ ხალხს ანაზღაურება ეძლევა საათობრივად. კომპანია მათ შრომას საათში 75 თეთრიდან უნაზღაურებს. ეს კი ძალიან ცოტაა. აქედან გამომდინარე, მათ საკუთარი ნებით უწევთ ზეგანაკვეთური მუშაობა. ხშირად დღეში შვიდი საათის ნაცვლად, რაც კონტრაქტში უწერიათ, მუშაობენ 14-15 საათს. სწორედ ამ ზეგანაკვეთური სამუშაოების წყალობით ეძლევათ მათ ის სანაქებო 600-700 ლარის ოდენობის ხელფასი ყოველთვიურად. თუ კონვენციის საფუძველზე ვისაუბრებთ, ასეთი შრომა განიხილება, როგორც იძულებითი შრომითი ფორმა. შეიძლება ითქვას, მონური შრომაა. მაგრამ პრობლემაა ისიც, რომ ეს ადამიანები ბოლომდე არ მიყვებიან საქმეს და როცა იგებენ, რომ პრობლემის გადასაჭრელად სასამართლო დავაა საჭირო, უკან იხევენ სამსახურის დახურვის შიშით და ჩუმდებიან, რადგან იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა მუშამ ხმა ამოიღო და გაათავისუფლეს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

**ლაშა ბუღაძე**: ესე იგი, საქართველოს მოქალაქეს არანაირი კანონი არ იცავს ასეთი უხეშობისგან. ძირითადად, რა კატეგორიის ხალხია დასაქმებული?

**ქეთი კვინიკაძე**: თავიდანვე გადაწყდა, რომ უნდა დასაქმებულიყვნენ იმ რაიონის მცხოვრებლები, რომლებშიც გაიარა ნავთობსადენმა. მაგრამ გვაქვს ინფორმაცია, რომ, მაგალითად, ახალციხეში შრომობენ საჩხერიდან ან ტყიბულიდან ჩასული მუშები, სადაც არ გადის ნავთობსადენი. ეს დიდი უკმაყოფილების საფუძველი გახდა თავად დასაქმებულ პირებს შორის.

მეორე დიდი პრობლემა ის არის, რომ უმეტესწილად ამ პირებს კომპანია უფორმებს ერთთვიან კონტრაქტს და ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ მუშა დიდი საფრთხის წინაშე დგას, რადგან მან არ იცის, კომპანია მოისურვებს თუ არა მასთან თანამშრომლობის გაგრძელებას.

**ლაშა ბუღაძე**: საინტერესოა, "ბი პი" ასე იქცევა სხვაგანაც თუ მხოლოდ ჩვენთან გამოაჩინა არაჰუმანური კლანჭები?

**ქეთი კვინიკაძე**: მსგავსი პრობლემები აზერბაიჯანშიც არის და თურქეთშიც. სამივე ქვეყანაში პრაქტიკულად ერთნაირი პრობლემებია.

**ლაშა ბუღაძე**: ეკოლოგიური ხიფათები თუ არსებობს?

**ქეთი კვინიკაძე**: საფუძველი, რა თქმა უნდა, გვაქვს. პირველ რიგში, ხაზს გავუსვამ ბორჯომის პრობლემას. ჩვენმა ძველმა ხელისუფლებამ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა "ბი პი"-ს ნავთობსადენის გაყვანის ნება დართო, მით უფრო, რომ ალტერნატიული მარშრუტები არსებობდა. არადა, ეს ნავთობსადენია. ღმერთმა ქნას, რომ არაფერი მოხდეს, სამშენებლო სამუშაოები ისეთი მაღალი დონით შესრულდეს, რომ პრობლემები არ შეიქმნას. მაგრამ ცნობილია დაღვრის ფაქტი – წლეულს, 3 ოქტომბერს, გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოსთან დაიღვარა დაახლოებით 60 ტონა ნავთობი. თუმცა, ისიც დიდი პრობლემაა, რომ ნავთობსადენი სტიქიური უბედურებების კატალიზატორად იქცა, კერძოდ, ბორჯომის რაიონის სოფელ დგვარში, სადაც 70-იანი წლებიდან აღინიშნება მეწყერი. იქ, სოფლიდან ერთი კილომეტრის რადიუსში, ისე გაიყვანეს ნავთობსადენი, რომ სოფლის მოსახლეობამ არაფერი იცოდა. ახლა აცხადებენ, რომ მეწყერი გაძლიერდა და მოსახლეობა ითხოვს გადასახლებას.

ახალმა ხელისუფლებამ გამოყო 800 ათასი ლარი, დარიგდა თანხა 120 კომლზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თანხა ძალიან ცოტაა. მოსახლეობამ ეს თანხა იმ პირობით მიიღო, რომ ამ დახმარებას დაემატებოდა "ბი პი"-სგან დაპირებული 1 მილიონი დოლარი, მაგრამ მთავრობამ ძალიან ცუდი გადაწყვეტილება მიიღო. მათ აცნობეს "ბი პი"-ს, რომ თურმე ეს 800 ათასი ლარი საკმარისია და 1 მილიონი დოლარის დახარჯვაზე უარი განაცხადეს, თუმცა, შესთავაზეს, რომ ეს თანხა სხვა პროექტებში ჩაიდოს. ამ ეტაპზე დგვარის პრობლემა მეორეხარისხოვანია, რადგან მთელი დასავლეთი წყალმა წაიღო, თუმცა, დგვარის პრობლემა მაინც არაადეკვატურად ფასდება.

**ლაშა ბუღაძე**: ბატონო სანდრო, ეკონომიკური თვალსაზრისით აგვიხსენით, მართლაც გვაქვს საქმე საზეიმოდ თუ არა?

**სანდრო თვალჭრელიძე**: ეს არის ერთი, მეტად წარმატებული პროექტი, მაგრამ მხოლოდ ერთი პროექტი. არაფრით არ შეიძლება არც ქვეყნის უსაფრთხოების, არც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აგება ერთადერთ პროექტზე. ეკონომიკის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ ყველაფერი დალაგდეს თარო-თარო, აიწყოს ერთიანი სისტემა და ყველაფერმა თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავოს. ეს პროექტი კარგია, მაგრამ უკვე ძალიან ხშირად ჩანს, რომ იყო რაღაც შეცდომები. მაგალითად, აბსოლუტურად არასწორად იყო გამოყენებული ფულადი კომპენსაცია გასხვისებული მიწებისთვის და ა.შ. იმის მაგივრად, რომ ხალხს აეწყო თავისი ბიზნესი, ახლა უფულოდაც დარჩნენ და უსახლკაროდაც. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი არის წინამორბედი შაჰდენიზის, იქიდან ჩვენ უკვე მივიღებთ გაზს და ამით გავზრდით ჩვენს ენერგო-უსაფრთხოებას.

**ლაშა ბუღაძე**: ქეთი, კულტურულ-ისტორიული ძეგლების პრობლემაზე რას გვეტყვი?

**ქეთი კვინიკაძე**: "ბი პი"-მ ექსპერტების რეკომენდაცია გაითვალისწინა ჯერჯერობით მხოლოდ ერთ ძეგლზე. ეს არის ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისში არსებული მეათე საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც 50 მეტრითაა დაშორებული ნავთობსადენისგან, ბზარები გაუჩნდა და დადგა განადგურების საფრთხის წინაშე. ამის შემდეგ "ბი პი"-მ გამოყო თანხა და, ჩემი ინფორმაციით, უკვე დასრულებულია ეკლესიის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები.

თუმცა, არის კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი, რომლებიც გადაუდებელ გამაგრებით სამუშაოებს საჭიროებენ. მათ შორისაა აწყურის ციხე ახალციხეში. ციხის კედელმა გადმოიწია და ახლა, როცა იმ მონაკვეთზე გაზსადენის მშენებლობა აქტიურ ფაზაში შევიდა, დგას იმის საშიშროება, რომ საერთოდ ჩამოინგრას კედელი.

ბორჯომის ტერიტორიაზე არის საკირის ციხე-დარბაზი და თეთრიწყაროს რაიონში თამარის დასასვენებელი რეზიდენცია, ნადარბაზევის კომპლექსი, რომელიც საქაჩ სადგურთან ძალიან ახლოსაა. სასურველია ამ ძეგლებზეც გამოიყოს თანხა და გამაგრდეს.

ახალციხის ტერიტორიაზე უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენების დროს ექსპერტებმა განაცხადეს, რომ სამუშაოები იდეალურად ჩატარდა. ამ მხრივ პრობლემა კომპანიის მხრიდან არ იყო.

ნინია კაკაბაძის სვეტი

## მე და ჩვენ



როდესაც პირველად გადავწყვიტე ჩემი ნაწერი ფართო აუდიტორიისათვის შემეთავაზებინა, ვიდრე ჟურნალის რედაქტორს მივაწოდებდი, ჩემს უფროს მეგობარ მწერალს წავაკითხე და ვთხოვე შენიშვნები გაეკეთებინა. მისი ერთ-ერთი შენიშვნა, ყველაზე მეტად დამამახსოვრდა და წარმოიდგინეთ დღესაც მახსოვს. "არასდროს იხმარო პირველი პირი **მე**, ყოველთვის ეცადე მრავლობითში ილაპარაკო". მართალი გითხრათ, მაშინ როდესაც ჩემს საკუთარ მოსაზრებას ვწერ, დღემდე არ მესმის, რატომ უნდა დავაკისრო ჩემს სიტყვებზე პასუხისმგებლობა ნებისმიერ სხვა, თუნდაც ერთ ადამიანს. მაგრამ მიუხედავად ამისა, პატარა შესწორებებით, დღემდე მკაცრად ვიცავ უფროსი მეგობრის რჩევას. წლების განმავლობაში გამოსავალი ვნახე და თავს ვარიდებ, როგორც პირის მანიშნებელ **მეს** ასევე **ჩვენს**. თურმე მათ გარეშეც შესაძლებელია ისაუბრო, განებავთ, მხოლობით და განებავთ, მრავლობით რიცხვში.

პირის ამ ნიშნებზე წლების განმავლობაში აღარ გამიმახვილებია ყურადღება. მხოლოდ ამ უკანასკნელი ხნის მანძილზე მხვდება ისევ ყურში და მხვდება საკმაოდ ხშირად. მაგრამ ამ სიტყვებს უკვე სხვა თანამედროვე მიზნები და გაგება აქვთ, რომელსაც თითქმის აღარავითარი კავშირი არ გააჩნია შენიშვნის იმ შინაარსთან, რომელიც ოდესღაც მომცეს.

ოდნავ შორიდან დავიწყებ. თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში ძალიან რთულია ინდივიდების მოძებნა. ყოველი მათგანი თითქოს ერთ მთლიანობად წარდგება ჩვენ წინაშე. იქნება ეს პარლამენტი თუ მინისტრთა კაბინეტი, ორივე მათგანი თავკომბალას სახით გამოიყურება. მათი თავიც და კომბალიც საქართველოს პრეზიდენტია. ყველა გზა მასთან მიდის, სულ რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ეს კი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს უკვე ბანალობად ქცეულ ჭეშმარიტებაში, რომ ქართველებს კადრებში გვიჭირს. მაღალ ჩინოსანთა შორის, არიან როგორც პრეზიდენტთან მკვეთრად ასოცირებული პირები, მისი "ორეულებიც", ოდნავ უფერულებიც, მაგრამ ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, სამწუხაროდ, პრაქტიკულად არ არიან ინდივიდები. შესაძლებელია, ისინი ბუნებაშიც არ არსებობენ, შესაძლებელია, მათ თავის წარმოჩენის საშუალებას არ აძლევენ. ამიტომ მკრთალი და უფერული პოლიტიკური სპექტრი დღევანდელი რეალობაა.

დავუბრუნდეთ მთავარ თემას. პირის ნაცვალსახელი **მე** პირდაპირ მიხეილ სააკაშვილთან ასოცირდება. "მე დავაგე ასფალტი, მე შევღებე სახლები, მე ვაჩუქე თბილისის მოსახელობას ახალი შადრევნები, ჩემი პრეზიდენტობის დროს თბილისი ისე გალამაზდება, როგორც არასდროს ყოფილა, მე დავაგრძელე ბულვარი ბათუმში, მე მოვიზიდე მსხვილი ინვესტორები საქართველოში" და სხვა და სხვა. იმ წარმოთქმული წინადადებების დათვლა, რომელიც პრეზიდენტის გამოსვლებში სიტყვა **მე**-თი იწყება წარმოუდგენელია. მაგალითად თბილისის ყოფილი თუ ამჟამინდელი მერის დამსახურება გაფერადებულ და გალამაზებულ თბილისში მოსახლეობისათვის ნულის ტოლია.

რიგ შემთხვევაში, პრეზიდენტი ცდილობს, ნაცვალსახელი **მე**, კიდევ უფრო გაამყაროს და ამისათვის პატარა წარმოდგენებსაც გვთავაზობს ტელეეთერის მეშვეობით. სულ რამდენიმე დღის წინ, ალბათ ყველამ ნახა, გურიაში სტიქიური უბედურების შემდგომ, როგორ დაიბარა პრეზიდენტმა სამი მინისტრი და როგორც პატარა (თავდახრილ) ბავშვებს, ჭკუას ასწავლიდა და ბრძანებებს აძლევდა, როგორ დაეხმარონ დაზარალებულ მოსახლეობას. რა შეიძლება იყოს ამ წარმოდგენის პირდაპირ ეთერში ჩვენების მიზეზი? **1.** მინისტრები არაკეთილსინდისიერები არიან და დახმარებისთვის გამოყოფილ ფულს არამიზნობრივად დახარჯავენ. ამგავრი მითითების შემდეგ გაცილებით გართულდება გამოყოფილი თანხების ჯიბისკენ წაღება **2.** ყველამ იცოდეს, რომ დახმარებას არა ვინმე, თუნდაც მინისტრი უწევს ხალხს, არამედ პრეზიდენტი. ისინი მხოლოდ შემსრულებელნი არიან. ვფიქრობ, მეორე ვერსია ამ შემთხვევაში უფრო შეესაბამება სინამდვილეს. ამიტომ, მომავალში ერთ-ერთი სახალხო გასეირნების დროს, ან კი უბრალოდ მორიგ ბრიფინგზე, პრეზიდენტი კიდევ უფრო დამაჯერებლად იხმარს პირის ნიშანს **მე**, და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ყველა გაჭირვებულს საქართველოში მიხეილ სააკაშვილი ეხმარება.

აქედან გამომდინარე, ისიც ნათელი ხდება თუ რატომ დაეცა ახალი ხელისუფლების რეიტინგი ბოლომდე და რატომ სარგებლობს ჯერ კიდევ ხალხის სიყვარულით პრეზიდენტი, რატომ ეუბნება მას გურული ქალი: - "მადლობა სტიქიას, შენი თავი რომ მანახა".

ის, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრი საქართველოში ძალიან ულიმღამოდ გამოიყურება, აქ ნაწილობრივ ქვეყნის პირველი პირის დამსახურებაც არის, მაგრამ ერთი მაგალითი ნებას არ გვაძლევს ეს მოსაზრება ერთადერთ ვერსიად მივიჩნიოთ. მაგალითად, განათლების რეფორმასთან, ზოგადად მეცნიერებისა და განათლების სამინისტროში მიმდინარე მოვლენებთან თუ, უბრალოდ, ჩემი მოკრძალებული აზრით, ყველაზე წარმატებულ მინისტრთან პრეზიდენტი არასდროს ცდილობს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას. თუმცა მიზეზის ვერსია აქაც ორგვარია. **1.** კახა ლომაია ყველაზე ძლიერი და ავტორიტეტული მინისტრია, მის მიერ განხორციელებული რეფორმების მხოლოდ საკუთარ თავზე მიწერა აშკარა უსინდისობა და ტყუილი იქნება. **2.** ლომაიას საქმიანობა ხალხში ყველაზე არაპოპულარულია და ამიტომ პრეზიდენტი, თავს არიდებს, უკმაყოფილო სტუდენტების თუ მეცნიერების წყრომა საკუთარ პიროვნებასთან დააკავშიროს. ამ შემთხვევაშიც, მეორე ვერსია აშკარად უფრო ახლოს დგას სინამდვილესთან.

ერთი სიტყვით, პრეზიდენტი თავის პერსონაზე გაცილებით წარმატებულად და ეშმაკურად ზრუნავს, ვიდრე თუნდაც პარლამენტის წევრი და აქტივისტი გიგა ბოკერია, რომელიც ზედმეტი "თავმდაბლობით" არასდროს ხმარობს ნაცვალსახელს **მე** და ყოველთვის იყენებს **ჩვენს**. მაგალითად, ახლახან ერთ-ერთ სატელევიზიო დებატებში განაცხადა "ჩვენ ვიჭერთ ყველა კორუმპირებულს". ბოკერია, ნაკლებად წარმატებული, მაგრამ ინდივიდუალური ნიშნებით გამორჩეული პარლამენტარი, საკუთარ თავზე ძირითადად პოლიტიკოსების დიფერენციაციას იღებს და დაჟინებით გვარწმუნებს – ბექაური კრისტალურია, ლევან ბერძენიშვილი კი ნაძირალა. ასევე მის ფუნქციებში შედის, დაასახელოს მისთვის არასასურველი კორუმპირებულების სია და იზრუნოს მათ დასჯაზე. მაგრამ მისი მეთაურობით თუ მხოლოდ მისი მონაწილეობით მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, ყოველთვის მრავლობით რიცხვში გვესაუბრება, რაც, საბოლოო ჯამში, ნაკლებად სიმპათიურ შთაბეჭდიელბას ქმნის. მისი არაგულწრფელი სიტყვებიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ საქართველოში ბოკერია წყვეტს, ვინ არის დამნაშავე და ვინ არა, სადაც სასამართლოს ფუნქცია, ქალაქის მერის მსგავსად - ნულის ტოლია.

თუმცა, გაუგებარია, რატომ მოიხსენიებს საკუთარ თავს გიგა ბოკერია მრავლობით რიცხვში, არ მგონია, ჩემს უფროს მეგობარს მიეცა მისთვის ამგვარი სემიოტიკური რჩევა. იქნებ სინამდვილეში ის მართლაც ბევრია და ჩვენ გვეცოტავება?!


**2005 წლის 4 ოქტომბრის N219 გაზეთ "24 საათში" სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ "გლობალური ფონდის" პროექტის პროგრამის ფარგლებში სასტამბო მომსახურების შესყიდვის ტენდერის ჩატარების შესახებ გამოცხადებულ განცხადებაში, შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება და დამატება:**

განცხადების 6.1 მუხლის ქვეპუნქტი "ა" ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

"ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება და ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

განცხადების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

"7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება".

შესყიდვის ობიექტის მე-8 პოზიცია ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

| N | შესყიდვის ობიექტის დასახელება | პოლიგრაფიული პროდუქციის ტიპი | პოლიგრაფიული პროდუქციის სახეობა | საერთო რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|---|---|
| 8 | სტიკერი | 2 | 3 | 20000 |



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს სოციალური მუშაკის ვაკანტურ თანამდებობაზე!

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პირებს "ოჯახის თანადგომისა და შვილობილობის" ქვეპროგრამის სოციალური მუშაკის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

პროგრამა ითვალისწინებს მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის ოჯახური გარემოს შექმნას, ბავშვთა სახლების აღსაზრდელთა ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებას ან მათ ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში განთავსებას (მიმღებ ოჯახებში შვილობილად).

სამუშაო პირობები:

*- სამუშაო ადგილი: ქ. თბილისი;*
*ანაზღაურება - 220 ლარი.*
*- ძირითადი მოვალეობები: სოციალური მუშაკი რჩევას აძლევს და თანადგომას აღმოუჩენს იმ ოჯახებს, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ შვილების ბავშვთა სახლებში ჩაბარება. სოციალური მუშაკი ეხმარება ინსტიტუციებში მცხოვრები ბავშვების დაბრუნებას ბიოლოგიურ ოჯახებში და ცდილობს მოიზიდოს ალტერნატიული ოჯახები, თანადგომა აღმოუჩინოს მათ, რათა იზრუნონ იმ ბავშვებზე, რომლებიც ვერ უბრუნდებიან საკუთარ ოჯახებს.*

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

*უმაღლესი განათლება (სამედიცინო,პედაგოგიური,ფსიქოლოგიური ან იურიდიული);*
*- ბავშვებთან და ოჯახებთან მუშაობის გამოცდილება;*
*ორგანიზატორული ნიჭი;*
*- ბავშვთა უფლებების კონვენციის ცოდნა;*
*სასურველია, ჰქონდეს კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება;*
*- სასურველია, ინგლისური ენის ბაზისური ცოდნა.*

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა, წარმოადგინოთ შემდეგი საბუთები:

*უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;*
*- ავტობიოგრაფია (CV);*
*სამოტივაციო წერილი;*
*- დახასიათება (გთხოვთ, მიუთითოთ იმ პირთა სახელები და საკონტაქტო მისამართები, რომლებიც რეკომენდაციას გაგიწევენ).*

*შენიშვნა:* ავტობიოგრაფია ***(CV)*** უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ბიოგრაფიული მონაცემები (სახელი, გვარი, საკონტაქტო მისამართი, ტელეფონი, დაბადების თარიღი, ოჯახური მდგომარეობა), განათლება, დამატებითი კვალიფიკაცია (ტრეინინგები, გადასამზადებელი კურსები), პროფესიული გამოცდილება (სამუშაო ადგილი, დაკისრებული მოვალეობები), უცხო ენისა და კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა და უნარ-ჩვევები, პირადი ხელმოწერა.

*საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 24 ოქტომბერი*

საბუთების მიღება წარმოებს მისამართზე: თბილისი, დ. უზნაძის ქ.52 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საშვთა ბიურო. საკონტაქტო ტელეფონი: + 995 22 95 92 43. *საკონტაქტო პირი: ნათია ჯანეზაშვილი*

# უცნობი თავისუფლება

*გადაცემის სტუმრები არიან საინფორმაციო სააგენტო "იფრინდას" დირექტორი, ჟურნალისტთა საერთაშორისო კავშირის "ობიექტივის" წევრი ქეთი ბოხუა და გაზეთ "24 საათის" პრეს-ომბუდსმენი ნოდარ ლადარია.*

FM უცნობი 98.0

**ალექსანდრე ელისაშვილი:** პარლამენტმა უკვე დიდი ხანია ვერ შეძლო კობა ბექაურის საქმესთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნა. ვერ შეთანხმდნენ კვოტებზე და თავმჯდომარის კანდიდატურაზე. ოპოზიციას უნდა კობა დავითაშვილის კანდიდატურა, ხელისუფლება კი აშკარად ეძებს ჩრდილში მყოფ ოპოზიციურ ფიგურას. როგორ შეაფასებდით ამ ყველაფერს?

**ქეთი ბოხუა:** სამარცხვინოდ მიმაჩნია თვითონ ის თემა, რის ირგვლივაც უნდა წარიმართოს ჩვენი საუბარი და გამოძიება. ასეთი გაჭიანურება ეჭვს ბადებს. განა რა დოკუმენტი უნდა ჩაუვარდეს ხელში კომისიის თავმჯდომარეს, რომ მან ეს დამალოს. როგორც ჩანს, ალბათ ეს ასეც მოხდება. მაშინ, როდესაც ფილმის გასვლის შემდეგ, თავად ბექაურს ეყო გამბედაობა და განაცხადა, "უარესს ველოდი და ეს რა არისო", ამის მერე რაზე უნდა ვისაუბროთ...

**ნოდარ ლადარია:** საქართველოს ჰყავს უსუსური პარლამენტი, რომელსაც არ შეუძლია ოპერატიულად მიიღოს საკმაოდ მარტივი გადაწყვეტილება. ეს დასკვნა ჩვენ არაფერს არ გვაძლევს, თვით ამ პროცესის ხანგრძლივობა არის მიზანი. ამ შემთხვევაში ინტერპრეტაციის დამატებითი შესაძლებლობები ჩნდება. თავის დროზე, როდესაც საბჭოთა რეჟიმში ვცხოვრობდით, უშიშროებაში იყო ასეთი კონცეფცია, რომელსაც ერქვა "ჩამანაცვლებელი დისკუსია" - რაც უფრო მეტად იწელება საუბარი პარლამენტში ამგვარ მეათეხარისხოვან საკითხზე, მით უფრო ჩამოშორდება პარლამენტი რეალური საკითხების გადაწყვეტას. პარლამენტის დასუსტების, განზე გაწევის ტენდენცია დაიწყო იანვრიდან, როდესაც "ვარდების რევოლუციის" სამეული ჩაიკეტა ოთახში და იქიდან სრულიად მოულოდნელად გამოგვიტანა ახალი კონსტიტუცია.

**ა. ე.:** "ვარდების რევოლუციის" დროს, ყველაზე ხშირად ახსენებდნენ დემოკრატიას და კანონის უზენაესობას. მართლაც რაც მოვიდნენ ხელისუფლებაში, ისე დაიჩეხა კანონები, რომ პარლამენტის წევრს შეუძლია ცემოს დაცვის თანამშრომელი და ამავდროულად იყოს გმირი. მე ვთვლი, რომ ყველაზე ცუდი, რაც ამ ხელისუფლებამ გააკეთა, არის ის, რომ გადათელა კანონი და კონსტიტუცია.

**ქ. ბ.:** მიუღებელია, როდესაც ჯერ იჭერ ადამიანს და მერე ეძებ მტკიცებულებებს. ასევე მიუღებელია ისიც, რაც ბიზნესმენებთან მიმართებაში გააკეთა ხელისუფლებამ – ისინი დააშინეს და წილები გადაიფორმეს და თან ისე, რომ საერთოდ არ აინტერესებთ საზოგადოების აზრი. ეს ძალიან ცუდის მაჩვენებლია, არადა ამან საკმაოდ სერიოზული სახე მიიღო.

**ნ. ლ.:** თქვენს ეთერში ერთი სკანდალური განცხადება მინდა გავაკეთო. მე ვარ ამ ხელისუფლების მომხრე და არამარტო იმიტომ, რომ დღეს ქვეყანაში არის არჩევანი ამ ხელისუფლებასა და არაფერს შორის, არამედ, სრულიად ობიექტურად. ეს ხელისუფლება არის ადეკვატური პროდუქტი იმისა, რა საზოგადოებაშიც ჩვენ ვცხოვრობთ. როდესაც მედია საყვედურობს ცენზურას, პრობლემა ხელისუფლებაში არაა, პრობლემა არის იმაში, რომ ადამიანები, რომლებიც დღეს საქართველოში ფლობენ მედია-საშუალებებს, სრულიად შემთხვევითი ადამიანები არიან. მათთვის სულ ერთია, გაყიდიან მზესუმზირას და აქედან მიიღებენ დივიდენდებს, თუ ექნებათ ტელეკომპანია.

საქართველოში ძალიან უყვართ წარსულის მაგალითები და ხშირად იყენებენ გამოთქმას "ნორმალური ქვეყანა". მაგალითისთვის ავიღოთ გერმანია. მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს და მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც 30 წლის განმავლობაში რელიგიური ომები იყო, მოსახლეობა 20-დან 6 მილიონამდე შემცირდა. სწორედ ამის მერე მიხვდნენ მმართველები, რომ საჭიროა საერთო ენის გამონახვა. აქედან წამოვიდა ის, რაც შემდეგ გაფორმდა, როგორც ლიბერალიზმი. საქართველოში ეს ყველაფერი მივიღეთ მუქთად. კრიტიკის მთავარი მახვილი მიმართული უნდა იყოს არა ცალკეულ შემთხვევებზე, არამედ ძირეულზე.

**ა. ე.:** ბატონო ნოდარ, ბრძანეთ, რომ ხელისუფლებაც ისეთი გვყავს, როგორიც საზოგადოება არის. თუმცა, ის რომ, საზოგადოებას უნდა უკეთესი, რევოლუცია ამის დასტური იყო. თვითმართველობის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ისეთი კანონი მიიღეს, რომ ხალხს საერთოდ აუკრძალეს მერის და საკრებულოს არჩევა. ასევე მოკვდა სასამართლო ხელისუფლებაც და ა.შ. ალბათ მდგომარეობის გამოსწორება იმით უნდა დავიწყოთ, რომ ჯერ საკუთარ თავს მოვთხოვოთ კანონის დაცვა.

**ქ. ბ.:** ჩვენი შემეცნებაა ჯერ კიდევ დაბინძურებული, რადგან ვერ გამოვედით იმ აზროვნებიდან, რომ ჩვენს სადარბაზოში დაყრილი ნაგავი ჩვენი პრობლემაა და არა სხვისი. ამას გარდა აღვნიშნავდი საშინელ არაპროფესიონალიზმს ყველა დარგში და ყველა სფეროში.

**ნ. ლ.:** ჩვენს შემთხვევაში უბედურების წყარო არის არა კონკრეტული შემთხვევები, არამედ ის, რომ საქართველოში არ არსებობს უნარი, ერთმანეთისაგან გაარჩიონ პირადი და საზოგადო, საოჯახო და საჯარო. ეს ყველაფერი არის საოცრად არეული. სანამ ქართველი ვერ ისწავლის კერძო და საზოგადო სივრცის გარჩევას და არ აიყვანს საზოგადოს კერძოზე უფრო მაღლა, მანამდე არაფერი შეიცვლება.

# საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ახალი წიგნი გამოსცა



ირაკლი კოვზანაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზმა გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ირაკლი კოვზანაძის წიგნის "Тенденции и перспективы развития экономики и ванковского сектора трансформационных стран" პრეზენტაციას უმასპინძლა.

პრეზენტაციას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე, საბანკო-საფინანსო და სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. გამომსვლელთა საერთო შეფასებითი წიგნი მნიშვნელოვანი გზამკვლევი გახდება ტრანსფორმაციული ქვეყნების ეკონომიკით დაინტერესებულთათვის.

წიგნი გამოსცა ცნობილმა რუსულმა გამომცემლობამ Юфинансы и статистика" (მოსკოვი). მასში გაანალიზებულია ტრანსფორმაციული ქვეყნების ეკონომიკისა და საბანკო სექტორის განვითარების თავისებურებები. განხილულია ასევე საბაზრო ეკონომიკის ფორმირებაზე ფინანსური გლობალიზაციის გავლენის საკითხები, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროკავშირთან ინტეგრირების შედეგები და პრობლემები.

წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს ეკონომიკისა და საბანკო სექტორის განვითარების პერსპექტივასა და არსებული ტენდენციების ანალიზს.

მონოგრაფია აგებულია ტრანსფორმაციული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესის კომპლექსურ ანალიზზე და ეყრდნობა მნიშვნელოვან სტატისტიკურ მონაცემებს.

მონოგრაფია რუსულ ენაზეა დაწერილი და განსაზღვრულია მაკროეკონომიკის, გეოპოლიტიკის, საბანკო ბიზნესის სპეციალისტებისათვის, ასევე მკითხველთა ფართო წრისათვის.

ირაკლი კოვზანაძეს აქვსც პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება საქართველოს და ევროპის საბანკო სისტემებში. იგი 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია მათემატიკისა და ეკონომიკის სფეროში.

## მოკლედ

### შეხვედრა სასტუმრო "თორში"

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაციის "საქართველო ნატო-ში" ორგანიზებით, გუშინ სასტუმრო "თორში" საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით მრგვალი მაგიდა გაიმართა. დისკუსიაში სამხედრო ექსპერტები და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მსჯელობის მთავარი თემა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადებისთვის მოსაკრებლის გაზრდა და თავდაცვის ეროვნული აკადემიის სწავლების ფორმატის შეცვლა იყო. სასტუმრო "თორში" შეკრებილი პოლიტიკოსები და ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსნები გაწვევის გადავადებისთვის დაწესებული თანხის 2000 ლარამდე გაზრდის ინიციატივასაც აპროტესტებენ. მათი განცხადებით, მოსაკრებლის გაზრდა სისტემაში კორუფციის ხელშემწყობი ფაქტორი გახდება, ბიუჯეტში კი ნაკლები თანხა შევა. **ინტერპრესნიუსი**

### პარლამენტის რეგლამენტი იცვლება

**თბილისი.** გუშინ პარლამენტმა საკანონმდებლო ორგანოს რეგლამენტში ცვლილებების პროექტი განიხილა. კანონპროექტი დეპუტატებს საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ხათუნა გოგორიშვილმა გააცნო. ცვლილებების მიხედვით, თითოეულ კანონპროექტს თან დაერთვება განმარტებითი ბარათი, რაშიც გაანალიზებული იქნება კანონპროექტის მიზანშეწონილობა. ასევე, ყოველ სამშაბათს პარლამენტის წევრებს განცხადებებისთვის ერთი საათი გამოეყოფათ. ამასთან, პროექტის თანახმად, დეპუტატს უფლება ექნება, აიღოს სამთვიანი უფასო შვებულება.

აღსანიშნავია, რომ ცვლილებები თითქმის ყველა საკითხზე ფარული კენჭისყრის ჩატარებას ითვალისწინებს. **მედიანიუსი**

# „ღვინო, დუდუკი, ქალები" - ხსნა არ არის

ელზა ჯაფოშვილი

*სპეციალისტების ბოლო მონაცემებით, საქართველოში 150-200 ათასი ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელია. ეს რიცხვი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 4 პროცენტს შეადგენს. ამ ადამიანების გამოჯანმრთელებისთვის კი საქართველოში მხოლოდ რამდენიმე სარეაბილიტაციო ცენტრი ფუნქციონირებს.*



კონფერენცია "შერატონში".

"მეცნიერება, თანაგრძნობა და უსაფრთხოება: პრაგმატული ეროვნული ნარკოპოლიტიკისაკენ" - ასე ჰქვია კონფერენციას ნარკომანიის პრობლემების შესახებ, რომელიც ამ დღეებში თბილისში, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" მიმდინარეობს. ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს და არასამთავრობო ორგანიზაცია "ალტერნატივა ჯორჯიას" მიერ არის ორგანიზებული, ნარკოტიკებისგან გამოწვეული სულიერი და მატერიალური ზიანის აღმოსაფხვრელად მეცნიერებს, ექსპერტებს და პოლიტიკოსებს აერთიანებს. **"ნარკოტიკების მომხმარებელთა საერთო რაოდენობით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში მომხმარებელთა რიცხვი კატასტროფულად იზრდება. ასევე ჩნდება ახალ პრობლემები: მაგალითად, საქართველოში რეგისტრირებული 800-მდე აივ-შიდსით ინფიცირებულთა 65 პროცენტი ინტრავენური ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისას დაავადდა,"** - განაცხადა კავშირის "ალტერნატივა ჯორჯიას" ხელმძღვანელმა, ნარკოლოგმა დავით ოთიაშვილმა. კონფერენციაზე ნარკომომხმარებელთა კიდევ ერთ პრობლემაზე - საზოგადოებრივ სტიგმატიზაციასა და დისკრედიტაციაზე ქვეყნის პირველი ლედი სანდრა რულოვსი საუბრობდა.

ქართველ კოლეგებს საკუთარ გამოცდილებას უცხოელი სპეციალისტებიც (აშშ, კანადა, ჩეხეთი, ლიტვა) უზიარებდნენ. "შერატონ მეტეხი პალასში" შეკრებილები აღნიშნავდნენ, რომ ქვეყანაში უნდა შეიცვალოს საზოგადოების მიდგომა ნარკომომხმარებელთა მიმართ, ასევე აუცილებელია მთავრობის მხრიდან ნარკოპოლიტიკის რეფორმის გატარება, რაშიც ექსპერტები ნარკომომხმარებელთა შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებებს გულისხმობდნენ. ამ საკითხის განსახილველად და საერთოდ ნარკოპრობლემების აღმოსაფხვრელად კონფერენციაზე ძალოვანი სამინისტროების წარმომადგენლებიც იყვნენ მიწვეული, თუმცა უცნობი მიზეზების გამო, მათ მისვლა ვერ მოახერხეს.

დღეს, კონფერენციის ბოლო დღეს, ქართველი და უცხოელი სპეციალისტები მთავრობისთვის რეკომენდაციებს შეიმუშავებენ. ჯერჯერობით უცნობია, როგორი იქნება ეს რეკომენდაციები, თუმცა გუშინვე ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ქვეყანაში ნარკოტიკების მიერ გამოწვეული პრობლემები მხოლოდ სახლებსა თუ სადარბაზოებზე მინაწერით - "ამ სახლში ცხოვრობს წამლის ბარიგა" - ვერ მოგვარდება.

# „ალერსიანი მკვლელი"

თამარ მაისურაძე

30 წლის დათო ჯიშკარიანმა ექიმს მას შემდეგ მიაკითხა, რაც სისუსტე იგრძნო, საჭმლის მიღებაზე უარი განაცხადა და სახეზე ყვითელი ფერი დაედო. ანალიზის გაკეთების შედეგად, მას C ჰეპატიტი აღმოაჩნდა. ექიმებმა კი ურჩიეს, რომ მკურნალობა სასწრაფოდ, მეორე დღიდან უნდა დაეწყო.

მკურნალობა პირველი, 28-ლარიანი ანალიზით დაიწყო, რასაც პერმანენტულად სხვადასხვა ანალიზების გაკეთება მოჰყვა, რომელთა ფასიც 300-დან 500 დოლარამდე და ზევით მერყეობდა. მკურნალობის დაწყებისთანავე, პირველ ნემსში 210 დოლარი გადაიხადა. ნემსის გაკეთება იმდენჯერ დასჭირდება, რამდენჯერაც ექიმი ჩათვლის საჭიროდ. მკურნალობის პირველი ეტაპი 3-თვიანია, რასაც მოსდევს შემდეგი სამი თვე. ერთი სიტყვით, იქამდე უნდა იმკურნალოს, ვიდრე ავადმყოფის მდგომარეობა არ გამოსწორდება. მკურნალობის პირველ ეტაპზე მყოფი პაციენტი იმედოვნებს, რომ ამ დაავადებისგან თავის დასაღწევად მხოლოდ 12 ათასი დოლარი დასჭირდება.

დათოს მეგობრები და ოჯახის წევრები მთელი პასუხისმგებლობით აცხადებენ, რომ ავადმყოფს ეს დაავადება სამედიცინო მანიპულაციის შედეგად შეეყარა. ამ შემთხვევაში აბსოლუტურად გამორიცხავენ საზოგადოებაში გავრცელებულ აზრს, რომ C ჰეპატიტი მხოლოდ ინტრავენური ნარკომანების დაავადებაა. ამას ექიმებიც ეთანხმებიან, თუმცა ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

დათო იმ "იღბლიანთა" შორის აღმოჩნდა, რომელთაც ამ დაავადების სიმპტომები შედარებით ადრე უაშკარავდებათ. ინფექციური საავადმყოფოს ექიმ-ჰეპატოლოგის, პროფესორ ელზა ვაშაკიძის განცხადებით, C ჰეპატიტის მატარებელთა 95-97 პროცენტში დაავადება კლინიკურად არ გამოვლინდება, ვიდრე ბოლო სტადია - ღვიძლის ციროზი არ ჩამოყალიბდება.

ექიმებში "ალერსიანი მკვლელის" სახელით "მონათლული" C ჰეპატიტით საქართველოში 240 ათასამდე ინფიცირებულია. ასე ვარაუდობენ ექიმები, რომლებიც თვლიან, რომ ინფიცირებულთაგან 30 ათასს ციროზი აქვს, რომელთა რაოდენობაც უახლოეს მომავალში 50 ათას კაცამდე გაიზრდება.

დათოს "იღბალზე" მოგახსენებდით. ელზა ვაშაკიძე აცხადებს, რომ ამ დაავადების გამოვლენა, ძირითადად, ქრონიკულ ფაზაში ხდება. **"C ჰეპატიტის გამოვლენა ყოველი 100 ინფიცირებულიდან მხოლოდ 15-20 პროცენტში ხდება. 80 პროცენტი წლების განმავლობაშია ვირუსის მატარებელი. ამ ხნის განმავლობაში მიმდინარეობს ლატენტური (ფარული) ინფიცირება და ბოლოს ვითარდება ციროზი, რის შემდეგაც ავადმყოფის გადარჩენის შანსი, ფაქტობრივად, აღარაა."**

მსოფლიო სტატისტიკას თუ გადავხედავთ, C ჰეპატიტით დაავადებულთა რაოდენობა 200 მილიონს აჭარბებს, რაც მსოფლიოში შიდსით ინფიცირებულთა საერთო რაოდენობას ხუთჯერ აღემატება. საქართველო მსოფლიო რუკაზე არაა, რადგან ჩვენთან ამ დაავადების ფართომასშტაბიანი გამოკვლევები ჯერ არ ჩატარებულა.

C ჰეპატიტის გავრცელება, ძირითადად, სისხლის გადასხმის გზით ხდება. ამდენად, ამ დაავადების მსხვერპლი თითოეული ჩვენგანი შეიძლება გახდეს. ინტრავენური ნარკომანია C ჰეპატიტის გავრცელების ერთ-ერთი და არა ერთადერთი გზაა.

ვინაიდან საქართველოში "უსაფრთხო სისხლის" პროგრამა 1995 წლიდან ამუშავდა, ხოლო ადამიანი C ჰეპატიტის მატარებელი, შესაძლოა, წლების განმავლობაში იყოს, ექიმები უშვებენ იმის ალბათობას, რომ თითოეული ჩვენგანი, რომელთაც 1995 წლამდე რაიმე სამედიცინო ჩარევა დასჭირდათ, შესაძლოა C ჰეპატიტით დაავადებულთა მაღალი რისკის ჯგუფის წევრებად ჩავითვალოთ.

ფარმაცევტული ფირმის "GPS"-ს ოფისში გუშინ გამართული შეხვედრა სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა. "C ჰეპატიტით დაავადებულთა დახმარებისა და ურთიერთდახმარების საზოგადოებაში," რომლის პრეზენტაციაც, ფაქტობრივად, გუშინ მოხდა, ის ადამიანები არიან გაერთიანებულნი, რომელთაც ამ დაავადებით უახლოესი ადამიანები დაკარგეს. მათ გარდა, საზოგადოების დამფუძნებელია საქართველოს მოქალაქე, გერმანიის ქალაქ ფრაიბურგში მცხოვრები ელისო წიკლაური, რომლის წყალობითაც საზოგადოება ფრაიბურგის საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორს, ჰეპატოლოგ ჰუბერტ ბლუმს დაუკავშირდა. პროფესორმა ბლუმმა ქართველ ექიმებსა და ზემოთნახსენები საზოგადოების დამფუძნებლებს გვერდში დგომა და გამოცდილების გაზიარება აღუთქვა. ისიც დასძინა, რომ მოსახლეობაში პანიკა არ უნდა შეიქმნას, თუმცა მშვიდად ყოფნის საფუძველიც არ გვაქვს.

მშვიდად ყოფნის საფუძველი ნამდვილად არ არის, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ არაოფიციალური სტატისტიკით საქართველოს თითქმის ყოველი მეხუთე მოსახლე C ჰეპატიტითაა ავად, ეს დაავადება (არც გამოკვლევა და არც მკურნალობა) არც ერთ სახელმწიფო პროგრამაში არ ზის. თუმცა, ექიმები აცხადებენ, რომ დიაგნოზის დასმა ევროპული სტანდარტის შესაბამისად ხდება.

მართალია, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელის მოადგილემ ვახტანგ სურგულაძემ "C ჰეპატიტით დაავადებულთა დახმარებისა და ურთიერთდახმარების საზოგადოების" წევრებს გვერდში დგომა აღუთქვა და გუშინდელ შეხვედრაზე ჯანდაცვის პოლიტიკის განმსაზღვრელები - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებიც იყვნენ მიწვეულნი, თუმცა სამინისტროდან არავინ მისულა.

"C ჰეპატიტი" ვერც სავარძლის ფორმას არჩევს და ვერც მოსახლეობის სოციალურ ყოფას. ელზა ვაშაკიძის განცხადებით, დღეიდან აღარავინ რომ არ დაინფიცირდეს, უახლოესი წლების განმავლობაში ასობით ადამიანი დაიღუპება ციროზითა და ღვიძლის კიბოთი.

# პრეზიდენტის ფონდიდან სტიქიის სალიკვიდაციოდ 0.01 პროცენტი დაიხარჯა

*4 ათასი ლარი - ეს ის თანხაა, რომელიც პრეზიდენტის სარეზერვო ფონდში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საკმარისად ჩათვალეს. სწორედ ამ მოცულობის თანხა დაიხარჯა წელს, გაზაფხულიდან დღემდე, სხვადასხვა სტიქიური უბედურებების აღმოსაფხვრელად. და ეს მაშინ, როცა 2005 წლის გასული ცხრა თვის განმავლობაში ამ ფონდიდან 35 მილიონ 430 ათას ლარზე მეტი სხვადასხვა, მათ შორის საზეიმო და საკონცერტო, ღონისძიებების დაფინანსებაზე დაიხარჯა.*

მარიამ ჯაჭვაძე

თავის დროზე, მთავრობისა და პრეზიდენტის ფონდების შექმნის ერთ-ერთი და ძირითადი მიზანი ის იყო, რომ სახელმწიფოს სტიქიის წინააღმდეგ უფრო ეფექტურად, ოპერატიულად და მობილიზებულად ემოქმედა. თუმცა, ქვემოთ მოყვანილი ფაქტები, რომელიც "24 საათს" ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მოაწოდა, სხვაზე მეტყველებს.

ამ ცოტა ხნის წინათ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, "საჯარო დაწესებულებათა გამჭვირვალობის პროგრამის" ფარგლებში, სარეზერვო ფონდებიდან მიზნობრივად, ანუ სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხების ოდენობითა და თანხების ხარჯვით დაინტერესდა.

**"პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია წელს, ვინაიდან საქართველოში სტიქია 2005 წლის გაზაფხულიდან მძვინვარებს და ქვეყანას მილიონობით ზარალს აყენებს,"** - გვითხრა ასოციაციის წარმომადგენელმა თამარ გურჩიანმა.

როგორც უკვე ითქვა, საქართველოს პრეზიდენტმა სარეზერვო ფონდიდან 2005 წლის სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად მხოლოდ და მხოლოდ 4 ათასი ლარი გამოყო. და ეს მაშინ, როცა მაისში უკრაინელი პოპ-ვარსკვლავის რუსლანას ჩამოყვანაზე ამავე ფონდიდან 30-ჯერ მეტი - 123 ათასი ლარი დაიხარჯა. კიდევ უფრო მეტი – 150 ათასი ლარი გამოიყო პრეზიდენტის ფონდიდან უკრაინაში საქართველოს კულტურული დღეების დასაფინანსებლად. სწორედ ამ ფონდიდან დაიხარჯა 180 ათას ლარზე მეტი იუსტიციის მინისტრისთვის მანქანისა და კონდიციონერის შესაძენად. ეს უკანასკნელი ამჟამად, როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი თამარ გურჩიანი ირწმუნება, კემულარიას აგარაკს "ამშვენებს".

ცნობისათვის: პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ამ დროისთვის სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად 35 430 955 ლარია გამოყოფილი. **"თუკი პროცენტულ მაჩვენებელს მოვიშველიებთ, 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებიდან სტიქიის სალიკვიდაციოდ მხოლოდ 0.01 პროცენტი დაიხარჯა,"** - განუცხადა "24 საათს" თამარ გურჩიანმა.

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდთან შედარებით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოყოფილი 2 988 000 ლარი, ერთი შეხედვით, მართლაც შთამბეჭდავი ციფრია, თუმცა თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 2005 წლის დასაწყისიდან დღემდე მთავრობამ, სხვადასხვა ღონისძიებებისთვის, სულ 46 286 500 ლარი გამოყო, **"ეს შთაბეჭდილება მაშინვე გაქრება,"** - დასძენს თამარ გურჩიანი.

იმის დასადგენად, თუ რა ზარალი გამოიწვია 2005 წლის სტიქიამ ქვეყნის მასშტაბით, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართა, თუმცა სამინისტრომ ინფორმაციის გაცემაზე ასოციაციას უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ მონიტორინგი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ზარალის საერთო ოდენობას დაადგენდა, ჯერ ჩატარებული არ იყო.

ამის შემდეგ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ გადაწყვიტა, საკუთარი ძალებით რეგიონების მიერ სახელმწიფო კანცელარიაში წარმოდგენილი დასკვნების მეშვეობით, მიახლოებითი სურათი შეექმნა საქართველოს ცალკეულ რეგიონებსა თუ რაიონებში სტიქიით გამოწვეული ზარალის ოდენობის თაობაზე. ასოციაციის მიერ მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებით, სურათი ასეთია: მარტო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, სამეგრელოსა და ზემო სვანეთში, იმერეთში, ანუ ქვეყნის 3 რეგიონში, მხოლოდ მარტისა და მაისის თვეებში სტიქიით გამოწვეული ზარალი 14 მილიონს აჭარბებდა. ეს კი, ასოციაციის შეფასებით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან განკარგულებებით გამოყოფილ თანხებს 4-ჯერ აღემატება.

**"გარდა იმისა, რომ ფონდებიდან გამოყოფილი თანხები სტიქიის სალიკვიდაციოდ არასაკმარისია, საქართველოს მთავრობა მათი შესრულების დროსაც საკმაოდ არაეფექტურად და არაოპერატიულად მოქმედებს,"** - გვითხრა თამარ გურჩიანმა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელს ამის დასტურად შემდეგი მაგალითი მოჰყავს: მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 2 988 000 ლარიდან 1 700 000 ლარი უსახლკაროდ დარჩენილ 340 ოჯახს გადაეცა, თუმცა, მაის-ივნისში გამოცემული ამ განკარგულებით დაფინანსებულ ოჯახებს თანხების გადაცემა თვეების განმავლობაში უგვიანდებათ და მრავალ მათგანს თანხა დღემდე არ აქვს მიღებული.

**"სამწუხაროა, მაგრამ ფაქტები მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს: საქართველოს ხელისუფლება გაცილებით ოპერატიულად და მობილიზებულად მოქმედებს მაშინ, როდესაც სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები საზეიმო და გასართობ ღონისძიებებში იხარჯება, ვიდრე სტიქიით დაზარალებული, ღია ცის ქვეშ დარჩენილი მოსახლეობის დასახმარებლად,"** - ასეთია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლის შეფასება.

# ერთი სახლის ისტორია და გადაბარებული ვალდებულებები

პირველი გვერდიდან

ძეგლთა დაცვის წარმომადგენლები დაჟინებით აცხადებენ, რომ შენობის დანგრევა კი არა, რესტავრაცია უნდა მომხდარიყო. თუმცა, ვერ აკონკრეტებენ, როდის ექნებოდა სახელმწიფოს იმის შესაძლებლობა, რომ სარესტავრაციო სამუშაოები ჩაეტარებინა. ამ გაურკვევლობაში შენობა სანახევროდ ჩამოინგრა.

დადიანის ქუჩის მცხოვრებლები რამდენიმე თვის განმავლობაში ერთი ინსტანციიდან მეორეში დადიოდნენ და გამოსავალს ეძებდნენ. საბოლოოდ, შეთანხმებას მიაღწიეს. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა გასცა თანხმობა, რის შემდეგაც, არქიტექტურის სამსახურში გამზადდა მონახაზი. პროექტის მიხედვით, ლერმონტოვის ქუჩაზე სამსართულიანი სახლი აშენდება, რომლის სიმაღლეც 18 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს. ყველა ინსტანციის გავლის შემდეგ, 11 აგვისტოს მერიის ქონების მართვის სამსახურს ტენდერი უნდა გამოეცხადებინა. სწორედ აქ შეჩერდა საქმე, რომლის მიზეზსაც დადიანის ქუჩის მცხოვრებლები დღემდე ეძებენ.

**"ქალაქის მერიამ, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა და არქიტექტურის სამსახურმა ყველაფერი გააკეთა, რაც მათზე იყო დამოკიდებული. იმ ეტაპამდე მივიდა საქმე, რომ 11 აგვისტოს ტენდერი უნდა გამოცხადებულიყო. ჩვენი ინფორმაციით, არქიტექტურის სამსახურმა მასალები ქონების მართვის სამსახურის უფროსს ლევან ალაფიშვილს გადასცა. დრო არ ითმენს, სახლი თავზე გვექცევა და რატომ არის შეჩერებული ტენდერი, ამის გარკვევა გვსურს. პასუხს ვერავისგან ვღებულობთ. რამდენჯერმე მივაკითხეთ თბილისის ვიცე-პრემიერს გიორგი მელაძეს, თუმცა მასთან შეხვედრა ვერ მოვახერხეთ. ადრე არქიტექტურის სამსახურისა და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისკენ იშვერდნენ ხელს: თუკი იქ მოაგვარებთ საქმეს, პრობლემა არ იქნებაო. დღეს, როდესაც ყველანაირი საბუთი გვაქვს, პასუხსაც აღარავინ გვცემს. რეალობიდან გამომდინარე, მივედით იმ დასკვნამდე, რომ მუნიციპალიტეტი შეგნებულად ბლოკავს ამ საქმეს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას დადიანის 22 ნომერში მცხოვრებმა რამაზ კვანტალიანმა.

თბილისის ვიცე-პრემიერის გიორგი მელაძის განცხადებით, მათ კულტურის სამინისტროს წერილობით მიმართეს და ლერმონტოვის 8 ნომერში მდებარე შენობის შესწავლა და შესაბამისი ნებართვის გაცემა ითხოვეს.

**"ჩემი ინფორმაციით, ლერმონტოვის 8 ნომერში მდებარე შენობა ძეგლთა დაცვას ეკუთვნის. ჩვენ მივწერეთ ბატონ გოკა გაბაშვილს, რომ აღნიშნული ძეგლის კონკურსის წესით გაყიდვის ნებართვა გაეცა. ჯერჯერობით, კულტურის სამინისტროდან პასუხი არ მიგვიღია და ამიტომაც ვაფერხებთ კონკურსს. იმისათვის, რომ კონკურსი გამოცხადდეს, ეს შენობა ჯერ ნუსხიდან უნდა იქნას ამოღებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვესტორი ვერ შემოვა. საერთოდ, ეს სფერო ჩემი კომპეტენცია არ არის და როგორც ვიცი, კონკურსი ქონების მართვის სამსახურმა უნდა გამოაცხადოს,"** - განაცხადა მელაძემ. იგივე პასუხი მივიღეთ თბილისის პრემიერისგან თემურ ქურხულისგანაც. პრემიერის განცხადებით, ტენდერი ქონების მართვის სამსახურმა უნდა გამოაცხადოს და ამ საკითხის გასარკვევად სწორედ მას უნდა მივმართოთ.

გაურკვეველია, რატომ მიმართა მერიამ კულტურის სამინისტროს მეორედ, რადგან ნებართვა, რომლის გაცემასაც მერია ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისგან ახლა ითხოვს, ჯერ კიდევ ზურაბ ჭიაბერაშვილის მერობის დროს არის გაცემული. წინააღმდეგ შემთხვევაში, არქიტექტურის სამსახური პროექტს ვერ მოამზადებდა. ამასვე მოწმობს გასული წლის 30 ნოემბერს კულტურის მინისტრის მოადგილის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის მიერ "24 საათისთვის" მიცემული ინტერვიუ, სადაც იგი აცხადებს, რომ დადიანის ქუჩის მაგალითზე "სამოდელო გამოსავალი" იქნა მონახული, ანუ მათ დაუშვეს გამონაკლისი და გასცეს ნებართვა. ვაჩეიშვილის განცხადებით, კულტურის სამინისტრომ ეს ნებართვა რამდენიმე თვის წინათ გასცა, სადაც პარამეტრებია მითითებული. აღნიშნული დოკუმენტის ასლი გააჩნიათ თავად დადიანის ქუჩის მცხოვრებლებსაც.

რაც შეეხება ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელს ლევან ალაფიშვილს, რომელსაც თბილისის პრემიერისა და ვიცე-პრემიერის თქმით, ტენდერი უნდა გამოეცხადებინა, ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს. **"ამ კონკრეტულ შემთხვევაში ტენდერის გამოცხადება ჩვენი სამსახურის კომპეტენცია არ არის. კონკურსი არქიტექტურის სამსახურმა უნდა გამოაცხადოს,"** – აცხადებს ალაფიშვილი.

გადაბრალების პრინციპით კვლავ არქიტექტურის სამსახურს დავუბრუნდით, რომელიც, თავის მხრივ, აცხადებს, რომ მათ მხოლოდ არქიტექტურული კონკურსი შეიძლება გამოაცხადონ, ხოლო ინვესტორის შერჩევა მათ კომპეტენციაში არ შედის.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მოსახლეობასთან ერთად მივმართოთ მერიის ყველა შესაბამის სამსახურს - **გამოგვეხმაურონ და აგვიხსნან, თუ ვის კომპეტენციაში შედის აღნიშნული ტენდერის გამოცხადება.** ტენდერის დაგვიანების გამო, უკვე ერთი წელიწადია, რაც 13 ოჯახს ნახევრად ჩამონგრეულ შენობაში უწევს ცხოვრება.

**P.S** მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ტენდერის გამოცხადება მერიის არც ერთი სამსახურის კომპეტენციაში არ შედის, თბილისის ვიცე-პრემიერს გიორგი მელაძეს მეორედ დავუკავშირდით და ვთხოვეთ აეხსნა, ვისთვის მიგვემართა. მელაძე კვლავ დაჟინებით გვიმტკიცებდა, რომ კულტურის სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს და იმ შემთხვევაში, როდესაც ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისგან დადებით პასუხს მიიღებს, მხოლოდ ამის შემდეგ დასხდებიან და იმსჯელებენ. შესაძლოა, მათ ტენდერი არც კი გამოაცხადონ. მელაძის განცხადებით, ჩვენი გაზეთის ამ თემით დაინტერესების უკან ჟურნალისტის პირადი ინტერესები დგას. მაშინ, როდესაც ვიცე-პრემიერს თავად არ უნახავს ავარიული შენობა, სადაც 13 ოჯახი ცხოვრობს და რომლის ჩამონგრევის შემთხვევაშიც, ამ სახლის გვერდით მდებარე საბავშვო ბაღსაც დანგრევის საშიშროება ემუქრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ განცხადებებს ხმამაღალი ტონით არ გააკეთებდა.

# კამპანიონები

ავთო ჯოხაძე

სიტყვის თავისუფლება დემოკრატიის მონაპოვარია და თავისუფალი მედიაც დემოკრატიის შემდგომ აღმავლობას უნდა უწყობდეს ხელს, მაგრამ ტოტალიტარიზმის გამოცდილებით დამძიმებული ჩვენი საზოგადოების შემთხვევაში, მედიის თავისუფლებით ანტიდემოკრატიულმა და რევანშისტულმა ძალებმაც გვარიანად მოითბეს ხელი. სათანადო მედიასაშუალებების გარშემო დარაზმული პრორუსული პოლიტიკის ადეპტები გაუნელებელ ანტიდასავლურ და ანტიდემოკრატიულ აგიტაციას ეწევიან; ცალკეული მედიასაშუალებები და მათი ავტორები მთლიანობაში ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ დეზორიენტაციაზე მომუშავე საკმაოდ გავლენიან კამპანიას ქმნიან. გაზეთები: "ჯორჯიან თაიმსი", "ასავალ-დასავალი", "ლიტერატურული საქართველო", ზოგი სხვაც, ზოგიერთი ტელეარხი – ხან პრორუსული და ხან ფუნდამენტალისტური ორიენტაციის მედიაპროდუქტების მეშვეობით აწყობს პერმანენტულ იდეოლოგიურ დივერსიებს ათასი გადაუჭრელი პრობლემის მძევალი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ცალკეული საჭირბოროტო საკითხის გარშემო მსჯელობებს მიღმა აშკარად გამოსჭვივის ერთიანი სტრატეგია, რომელიც ჩვენი დამოუკიდებლობის საგარეო გარანტის, დასავლეთის და მისი პოლიტიკური ფილოსოფიის, **ლიბერალური დემოკრატიის სახელის გატეხაზეა მიმართული.** სამწუხაროდ, სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო ამ პროცესისგან მომდინარე საფრთხეს სათანადოდ არ აფასებს, წაყრუება ნამდვილად არ არის საუკეთესო ტაქტიკა პერმანენტული იდეოლოგიური თვალთმაქცობის წინააღმდეგ. ზემოხსენებული მედიის სიყვითლე არ იძლევა თვითდამშვიდების საფუძველს. "ყვითელი მედიის" უწყინარ სახელს აშკარად კაცთმოძულური პოლიტიკური პროპაგანდა ამოფარებია და ფართო საზოგადოებას ჭორების და დეზინფორმაციის კორიანტელში ახვევს. ჩვენი ყვითელი – შეიძლება უფრო ყავისფერი – მედია ლიბერალიზმს აშკარად შემოსწყრომია და დემოკრატიზმის ბურჯს, **ამერიკის შეერთებულ შტატებს ულრენს რუსული იმპერიული ინტერესების სასარგებლოდ:**

*"ლიბერალიზმი "უბორნიის" წარწერებში ჩამოყალიბებული თეორია გახლავთ"* - უტიფრად გვიცხადებენ "ასავალ-დასავალის" ფურცლებიდან; *"აგერ აქვე, რუსეთში ბენზინი არ გაძვირებულა... რა ჯობია - რუსეთის გუბერნია ვიყოთ, თუ ამერიკის შტატი?"* - სოფისტური პამპულაობით გვახვევს თავბრუს იგივე გაზეთი (N37. 2005).

ყვითელ-ყავისფერები საზოგადოებაში უკმაყოფილობის ძლიერი მუხტის არსებობით სარგებლობენ და გამალებით ცდილობენ, ხალხის გაჭირვება სწორედ ლიბერალიზმს დააბრალონ.

მათი სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანი **სამოქალაქო საზოგადოების იდეის დისკრედიტაციაა**. საზოგადოებრივი მოწყობის ეს დასავლური თარგი ჩვენი ეროვნული ინტერესებისადმი შეუფერებელ და მტრულ მოდელად ცხადდება. მიზანი იოლი გამოსაცნობია: თუ ჩვენი ხალხი დასავლეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ღირებულებებს გაიუცხოებს, მაშინ ჩვენი სახელმწიფოც უნდა გაებუტოს დასავლეთს და მარტო დარჩეს ერთორწმუნე მეზობლის პირისპირ, რომელიც ნამსახურს დაუფასებს თავის ქართულ კლიენტურას და დედა რუსეთის წიაღში რეინტეგრირებული ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციული სისტემის სადავეებთან წამოასკუპებს კოფოზე.

ანტიდემოკრატიული იდეოლოგიის კამპანიონებს თავისი ქორები და არწივები ჰყავს. ყველაზე გამორჩეული მათ შორის პროფესორი შარაძეა. ეს ის გაპოლიტიკოსებული პროფესორია, თავის ერთ-ერთ ქუჩურ გამოსვლაში ხალხს რომ მოძღვრავდა, - არ ღირს ფაშიზმის აუგად ხსენება, მე თვითონ ვარ ფაშიზმის მომხრე, ოღონდ არა გერმანული ყაიდის, არამედ - იტალიურისო. ყვითელ-ყავისფერ კამპანიას ლეიბორისტი ნათელაშვილი, ლიტერატურული კრიტიკოსი წივწივაძე, ყოფილი პარლამენტარი ელიზბარ ჯაველიძე და სხვა წვრილფეხობაც ამშვენებს...

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების, პირველ რიგში კი "ენჯიოსექტორის" დისკრედიტაციის მოსურნე ყვითელ-ყავისფერებს არასამთავრობო ორგანიზაციები უცხო და მტრულ დაწესებულებებად უნდათ წარუდგინონ საზოგადოების ქვედა (და მაშასადამე უფართოეს) ფენებს. კამპანიონებს მათივე მკითხველის გაუთვითცნობიერებლობის იმედი აქვთ და არასამთავრობო ორგანიზაციებს ხალხის კუთვნილი შემწეობების მიმთვისებელ და თაღლითური გზით ფულის საკეთებელ დაწესებულებებად აცხადებენ.

ჩვენს საზოგადოებას მართლაც არა აქვს ნათელი წარმოდგენა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის და საზოგადოებრივი სარგებლიანობის შესახებ. ცხადია, ეს თვითონ არასამთავრობო სექტორის მიერ პიარის სფეროში არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგია და ეს ხარვეზი არასამთავრობოებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოასწორონ, მაგრამ სანამ ფართო საზოგადოება გაიგებს, რა არის გრანტი და "ენჯიო," ყვითელ-ყავისფერები დროს უქმად არ კარგავენ. ისინი ოდითგანვე ადაპტირებულ, ბინძურ, მაგრამ ნაცად ხერხს მიმართავენ: ცილისწამების მოშველიებით სამოქალაქო საზოგადოების დაწესებულებების და, რაც უფრო ეფექტურია, მათი ლიდერების დისკრედიტაციას ცდილობენ. ენჯიოლიდერების გრანტიჭამიებად და სოროსის



აგენტებად მოხსენიება უკვე სტანდარტად იქცა, ხოლო პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ყველა შესაძლო ცოდვაში ედება ბრალი. კამპანიონების შერჩეულ კონკრეტულ ადრესატებს შორის არიან: პრეზიდენტი სააკაშვილი, განათლების მინისტრი კახა ლომაია, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, გიგა ბოკერია, ზურაბ ჭიაბერაშვილი... სამოქალაქო საზოგადოების ცნობილი სახეებიდან კი: გია ნოდია, დათო პაიჭაძე, სოზარ სუბარი, დათო დარჩიაშვილი, ნოდარ ლადარია, ლევან რამიშვილი და მრავალი სხვა.

თავისი მიზნის მისაღწევად კამპანიონები ისეთ აკრძალულ ილეთს იყენებენ, როგორიც მოურიდებლობა, პერსონალიებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება და ყველაფრის გაბიაბრუებაა. როცა ვინმეს წამდაუწუმ შეურაცხოფენ და უპატივცემულოდ ექცევიან, უმრავლესობის თვალში მას სახელი უტყდება.

ამით დაიმედებული კამპანიონები კი პერმანენტულად მიმართავენ უშვერობის ტაქტიკას. "ჯორჯიან თაიმსის" ბოლო გვერდზე რუბრიკაა – "იყო ბნელი და უკუნი", სადაც ყველაფრის და ყველას გაბიაბრუება ხდება, ძირითადად ხელისუფლებისადმი ნდობის სრული გაქარწყლების მიზნით. მიზანი აშკარად მავნებლურია, რადგან საზოგადოებას და ხელისუფლებას შორის სრული უნდობლობა ერთი მხრივ ხელისუფლებას ბოჭავს ისედაც არაპოპულარული, მაგრამ გადაუდებელი რეფორმების გატარებაში, ხოლო მეორე მხრივ, თუ ხელისუფლება დარწმუნდა, რომ ნდობის რესურსი ამოწურა, ის ავტორიტარიზმის მიმართულებით აიღებს კურსს და თვითონ გამოუყვანს წირვას ისედაც მყიფე, ჯერაც უმწიფარ დემოკრატიას საქართველოში, რაც შეადგენს კიდეც კამპანიონების სანუკვარ მიზანს.

და ინთხევა შეურაცხყოფის და ცილისწამების მყრალი ბოზალოყი ყვითელი პრესის გახეული პირიდან: *"ვის სისხლს სვამს კახა ლომაია?" "მოქეიფე ემზარ ჯგერენაია"; "სვანების შემარცხვენელი სუბარი;" "თავისუფლების ინსტიტუტის ფანტომასი - ლევან რამიშვილი"; იელოველთა წვერებიანი მარქსი - გია ნოდია...*

განსაკუთრებული გაწიწმატებით კამპანიონები მსოფლიოში ცნობილ მეცენატს ჯორჯ სოროსს და მის ფონდს უტევენ. *`დარჩიაშვილი* (ღია საზოგადოება საქართველოს - იგივე სოროსის ფონდის დირექტორი. - ავტ.) *უნიტაზიდან ამოძვრა და სოროსის "გარშოკს" დარაჯობდა";*

არც სხვა ცნობილი დონორი ორგანიზაციები და სამოქალაქო დაწესებულებებია უკეთეს დღეში. ომბუდსმენის ოფისი და თავისუფლების ინსტიტუტი ხომ ყველა კამპანიონს პირზე აკერია, ახლა მათ კავკასიური ინსტიტუტიც შეამატეს:

*"კავკასიის ინსტიტუტი,* - წერს გურამ შარაძე "ასავალ-დასავალში", - *არის ეგრეთ წოდებული არასამთავრობო, სინამდვილეში კი ზესამთავრობო ორგანიზაცია, ხოლო მისი დირექტორი* (იგულისხმება გია ნოდია. - ავტ.) *უკვე ათეულობით წლებია ამ სტატუსით ითვისებს ათიათასობით ამერიკულ დოლარს და სხვა ჰუმანიტარულ დახმარებას (?!), რაც გაჭირვებული ქვეყნის ხალხისთვის არის გამოყოფილი... მან რამდენიმე ათასდოლარიანი გრანტი გამოწერა (?!)... მან ჩვენი დედაარხი დაფერთხა... ნოდია არის მთავარი ბუდე... ნოდიამ ლომაიას მიერ დაქცეულ უნივერსიტეტში და საზოგადოებრივ ტელევიზიაში მმართველ პოსტებზე სულ სოროსის შპიონები შეგზავნა"* და ა.შ.

ასევე გაუკუღმართებულად აფასებენ კამპანიონები პოლიტიკურ პროცესებს:

ქართულ და უკრაინულ რევოლუციებს ამერიკის მიერ მოწყობილად ასაღებენ; სიქადულით წერენ, რომ *"სააკაშვილის პიარ ბაქი-ბუქი დაკარგული ტერიოტორიების დაბრუნების შესახებ დიდი ხანია იქცა რუსული პოლიტიკური წრეების საშარჟო თემად"; "ექსპერტები აცხადებენ, რომ საქართველოს მოთხოვნების* (იგულისხმება სამშვიდობოების გაყვანა. - ავტ.) *შესრულება რუსეთის მხრიდან არარეალურია"; "იუშჩენკოს საქართველოსთვის არ სცალია. თურქეთით (?!) ჩანაცვლებას კი ერთნაირად ეწინააღმდეგება, როგორც რუსეთი, ისე სომხეთი (?!)". "კომპეტენტური პირების თქმით კი თურქეთი (?!) რუსეთის მყარი თანხმობის გარეშე დამოუკიდებლად ნაბიჯსაც არ გადადგამს"* და ა.შ.

კამპანიონებს თუ დავუჯერებთ, სააკაშვილი მალთუსიანელი ყოფილა და სტალინის დამოწმება ჰყვარებია: *"არის ადამიანი, არის პრობლემა, არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა".* "ჯორჯიან თაიმსი" სააკაშვილს მიჰაელ გრძელის მეტსახელით იხსენიებს და იმაზე წუხს, რომ თურქეთში ვიზიტისას პრეზიდენტმა *"არ მოინახულა და არ მოილოცა ბანა, იშხანი, ხახული, პარხალი, ხანძთა."* და ეს მაშინ, როცა *"მსოფლიოს საიდუმლო მთავრობა მართლმადიდებელ საქართველოს წალეკვით ემუქრება"* ("ასავალ-დასავალი" N36). *"ამ ხელისუფლების საქმიანობა წააგავს სერგო ორჯონიკიძის მიერ გამოცხადებულ ჯვაროსნულ ომს ილიას წინააღმდეგ"*, მაგრამ მხსნელად იგორ გიორგაძე მოგვევლინება, რომელმაც ამასწინათ გვაუწყა, რომ *"სააკაშვილის ხელისუფლებას 5 ოქტომბრიდან გავაპანღურებთ!"*

აი, კიდევ ერთი ხრიკი კამპანიონების ბინძური არსენალიდან: "ჯორჯიან თაიმსში" გამოქვეყნებული წერილის სათაური ასე ჟღერს – *"ვინ ესვრის პუტინს საქართველოში?"* მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო; ამერიკის პრეზიდენტს ხომ უკვე "ესროლეს" კამპანიონების თანამოაზრეებმა; ხელსახოცში გახვეული ყუმბარა რომ გამსკდარიყო, ძალიან შორს მიმავალი შედეგები მოჰყვებოდა; იქნებ ახლა მეორე დიდი ქვეყნის პრეზიდენტს ესროლოს ვინმემ, აბა ამას მოჰყვება, თუ მოჰყვება შორს მიმავალი შედეგები.

არის თუ არა კამპანიონების ეს გნიასი რწყილის ნაკბენი, თუ მას მართლაც მოაქვს მნიშვნელოვანი ზიანი ქვეყნისთვის? თუ გავითვალისწინებთ, რომ მენტალობა გადამწყვეტია ნებისმიერი საზოგადოების ბედიღბლისათვის, მაშინ საქმე სახუმაროდ სულაც არა გვაქვს. არც ფული, არც წიაღის სიმდიდრე და არც გეოპოლიტიკური მდებარეობა ისე არ განსაზღვრავს ქვეყნის ავ-კარგს, როგორც მისი მცხოვრებლების პოლიტიკური მსოფლმხედველობა. ლიბერალიზმი თავისუფლების ფილოსოფიაა, - თავისუფლების იდეის პოლიტიკის სფეროში რიალიზების თეორია. თუ საზოგადოების მსოფლმხედველობა ანტილიბერალურია, ის მონობის უღელს დაიდგამს და სანამ გარეშე დამპყრობელს გაიბატონებს, ტირანია და ანარქია ჯერ ქვეყნის შიგნით დამყარდება. ლიბერალიზმის მტრობა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებისადმი მტრობის ტოლფასია და ეს სულაც არ არის გადაჭარბებულად ნათქვამი.

ვინ ვინ და კრემლის სოციოლოგებმა იციან მასობრივი, ხალხური ცნობიერება პოლიტიკური მითების შეთვისებისკენ რომაა მიდრეკილი. ამიტომ თხზავენ კამპანიონები ათასგვარ მითებს მსოფლიო შეთქმულების, სექტების შემოსევის, პოლიტიკოსების და ენჯიოლიდერების ოდიოზური პიროვნული თვისებების და საქციელის შესახებ. მათი მიზანი ამ მითების საშუალებით სიძულვილის, უნდობლობის, აგრესიული *განწყობილების* გავრცელებაა.

რაკი საქმე განწყობილებას ანუ ემოციას ეხება, კამპანიონები განსაკუთრებულ მახვილს, სრულიად შეგნებულად, მაღალი ემოციური მუხტის მატარებელ თემებზე სვამენ: ეროვნულ და რელიგიურ გრძნობებზე. თავს იგიჟებენ მართლმადიდებლობის ქომაგობით, სინამდვილეში კი რელიგიურობის არაფერი სცხიათ. შარაძე რომ მორწმუნე და კაცმოყვარეა, თქვენი მტერი იქნა ისეთი, მაგრამ პირზე მუდამ ეკლესია და მართლმადიდებლობა აკერია.

კამპანიონების მცდელობა იქით არის მიმართული, რომ აიძულოს ხელისუფლება მათ გამოეჯიბროს მითოსშემოქმედების გზით ელექტორატის გულის მოგებაში და კიდევ უფრო აუწიოს ისედაც უკვე წრეგადასულ პოპულიზმის პატრუქს. ეს გამოდევნებითი სრბოლა კი ქვეყნის და საზოგადოების ინტერესებში სულაც არ შედის. საზოგადოების მუდმივი გაანჩხლება - სულ ერთია ვის წინააღმდეგაც არ უნდა იყოს ის მიმართული - ერთგვარ სამოქალაქო ზნეობად და ჩვევად ყალიბდება. კამპანიონებსაც ეს უნდათ.

თუ მართალია ტაციტუსი, რომელიც ამბობს: კეთილ ზნეჩვეულებებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე კარგ კანონებსო, მაშინ გასაგებია უკეთური ზნე-ჩვეულების გაბატონებას, რა შეუძლია ქვეყნისათვის.

რა დიდიც არ უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის კონფრონტაცია და ოპონირების სულისკვეთება, ისინი ორივე ერთ საქმეს, დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობას ემსახურებიან. სრულიად საპირისპირო მიზნის მქონე კამპანიონები ერთნაირი გაწიწმატებით ლანძღავენ ერთსაც და მეორესაც. უახლოეს მომავალში სერიოზული პოლიტიკური ამოცანების გადასაჭრელად მოწოდებულ ჩვენს საზოგადოებას დაფიქრება მართებს იგორ გიორგაძესთან და რუსულ მედიასთან უნისონში მჩხავანი "მეხუთე კოლონის" სტრატეგიაზე.



# განცხადება

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2005 წლის 11 ოქტომბრის სხდომაზე დაამტკიცა საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის ხელახალი და შუალედური არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების თაობაზე N5 ისნის, N57 ტყიბულის, N79 ბათუმისა და N82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიების განკარგულებები (N52/2005, N53/2005, N54/2005, N55/2005).

აღნიშნული განკარგულებები გამოქვეყნებულია ცესკოს ვებგვერდზე www.cec.gov.ge

---

**საქართველოს** ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ავტომანქანების შესასყიდად ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. " კრეს ავტოჰაუსი".

---

**გაზეთ "24 საათის" 11 ოქტომბრის N225-ში ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გამოცხადებულ სატენდერო განცხადების 4.3 პუნქტი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად :**

**4.3 როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების განხორციელების შესახებ:

ბ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

გ) ინფორმაცია სუბკონტრაქტორის მიერ გასაწევი სამუშაოს შესახებ.

---

# საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

**საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" შესაბამისად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირების წესი.**

**სერტიფიცირება ხორციელდება გამოცდის გზით, გამოცდა - ტესტური მეთოდით.**

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აგრძელებს გამოცდაში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღებას.**

**საბუთების მიღება მიმდინარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაშიც.**

**მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:**

**- განცხადება გამოცდაზე დაშვების შესახებ (განცხადება შეივსება ადგილზე);**

**- საშუალო ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთი (ატესტატის ან დიპლომის ასლი);**

**- ავტობიოგრაფია;**

**- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;**

**- ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4.**

**საბუთები მიიღება 2005 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით, ქ.თბილისში ყოველდღე გარდა შაბათ - კვირისა, ქ.ბათუმში ყოველდღე 11-დან 18 საათამდე, შესვენება 13-დან 14 საათამდე. შემდეგ მისამართებზე: თბილისი, რუსთაველის გამზირი N29. პირველი სართული. ბათუმი, გოგებაშვილის ქ.N2.**

**გამოცდა იწყება 5 ნოემბერს.**

**გამოცდის ჩაბარების მსურველთა რაოდენობის გათვალისწინებით, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უფლება აქვს გამოცდა დაყოს ეტაპებად, რის შესახებაც გაცნობებთ დამატებით.**

**საგამოცდო ფურცელი გაიცემა 31 ოქტომბრიდან 4 ნოემბრის ჩათვლით.**

**გამოცდაზე დასწრების მსურველი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები აკრედიტაციისათვის უნდა დაგვიკავშირდნენ 26 ოქტომბრამდე.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე:**

**ტელ: ცესკო 987005; 987010; 988342; 923198: უსკო 7 10 50.**

**დებულება "საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების შესახებ" და საგამოცდო ტესტები იხილეთ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ- გვერდზე: www.cec.gov.ge.**

**შენიშვნა: პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ საოლქო საარჩევნო კომისიების დასაკომპლექტებლად გამოცხადებულ ღია კონკურსში, შემოიტანენ მხოლოდ განცხადებას.**

**ტესტებში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, გთხოვთ გვაცნობოთ აღნიშნულის თაობაზე 28 ოქტომბრამდე.**

---

# სათემო რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიას მიმართა განცხადებით ურბნისისა და რუსისის ეპარქიამ სათემო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურისის გამოცხადების შესახებ ქ. ხაშურში და ქარელის რაიონში.

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, კომისია სათემო მაუწყებლობის ლიცენზიას გასცემს კონკურსის საფუძველზე.

ქ. ხაშურისა და ქარელის რაიონის FM რადიომაუწყებლობით მოცვის მიზნით სალიცენზიო გადასახდელის გამოსათვლელად კომისიის მიერ გამოყენებული იქნა:

ა) სიხშირულ დიაპაზონში რადიომაუწყებლობისათვის საჭირო სიხშირული ზოლის სიგანე;

ბ) სიხშირული დიაპაზონის ტევადუნარიანობა;

გ) გადამცემი სადგურის გამოსასვლელი სიმძლავრე;

დ) ქ. ხაშურის მოსახლეობის რაოდენობა და სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

სიხშირული ზოლის სიგანის ღირებულება განისაზღვრა ლარებში, ხოლო დანარჩენი მაჩვენებლები კოეფიციენტების სახით.

სიხშირული ზოლის სიგანე შეფასებული იქნა 4 500 ლარად, სიხშირული დიაპაზონის ტევადუნარიანობის კოეფიციენტი განისაზღვრა 1.8 ოდენობით, გადამცემი სადგურის გამოსასვლელი სიმძლავრის (1 კვტ) კოეფიციენტმა შეადგინა 1.1, ხოლო ტერიტორიალურმა კოეფიციენტმა შეადგინა 0.75.

აქედან გამომდინარე, საკონკურსო ფასმა შეადგინა 6,682.50 (ექვსი ათას ექვსას ოთხმოცდაორი ლარი და 50 თეთრი) ლარი (4500 x 1.8 x 1.1 x 0.75).

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ჰ", 46-ე და 47-ე მუხლების თანახმად, კომისიამ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. გამოცხადდეს კონკურსი სათემო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად შემდეგი პირობებით:

ა) სამოქმედო ზონა - ქ. ხაშური და ქარელის რაიონი;

ბ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

ბ.ა.) ანტენის განთავსების ადგილი - ქ. ხაშური, ბექამის ანძა;

ბ.ბ.) ანტენის განთავსების გეოგრაფიული კორდინატები - 43E33; 42N00; ( გეოგრაფიული კოორდინატები მითითებულია საანძო კონსტრუქციისათვის. შესაძლებელია ანძის კონსტრუქციის აგება აღნიშნული კოორდინატებიდან 1 000 (ერთი ათასი) მეტრის რადიუსში ზღვის დონიდან ანტენის განთავსების მითითებული სიმაღლის შენარჩუნებით (კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი ნებართვების მიღების შემთხვევაში).

ბ.გ.) ანტენის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან - 25 მ;

ბ.დ.) FM რადიო-სიხშირე - 102.3 მგჰც;

ბ.ე.) გადამცემის სიმძლავრე - 1 კვტ;

ბ.ვ.) ანტენის გასხივების დიაგრამა - წრიული;

ბ.ზ.) სამაუწყებლო ზონის საშუალო რადიუსი - 25 კმ;

გ) სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა განისაზღვროს 6 682.50 (ექვსი ათას ექვსას ოთხმოცდაორი ლარი და 50 თეთრი) ლარით;

დ) კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2006 წლის 20 იანვრის 13:00 საათი;

ე) ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოხდეს 2005 წლის 9 ნოემბრის 17:00 საათამდე;

ვ) მოსამზადებელი სხდომის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2005 წლის 18 ნოემბრის 16:00 საათი;

ზ) მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა განისაზღვროს 12 საათით;

2. რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) იურიდიული პირისათვის - საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები პარტნიორთა შესახებ, აგრეთვე იმ აქციონერთა შესახებ, რომლებიც ფლობენ აქციების 5%-ს ან მეტს;

ბ) მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

გ) მაუწყებლობის გავრცელების სავარაუდო გეოგრაფიული ზონა;

დ) მაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში;

3. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი

ბ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

გ) სალიცენზიო მოსაკრებლის (1000 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

დ) განსახორციელებელი საქმიანობის დოკუმენტურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმა;

ე) დოკუმენტაცია პროგრამების გავრცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების თაობაზე;

ვ) განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;

ზ) სალიცენზიო გადასახდელის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე:

-ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი "თი-ბი-სი";

-ა/ანგარიში: 609326;

-კოდი: 220101830;

-საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050;

ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დარჩენილი თანხა გადაიხადოს წინამდებარე გადაწყვეტილების მე-13 პუნქტის შესაბამისად.

4. რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია კერძო სამართლის არაკომერციულ ან საჯარო სამართლის იურიდიული პირს;

5. რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მიღება, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ეკრძალება:

ა) ადმინისტრაციულ ორგანოს, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირს ან თანამშრომელს;

ბ) ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირს;

გ) პოლიტიკურ პარტიას, პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირს;

6. მოსამზადებელ სხდომაზე ხდება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებების განხილვა და მათზე დართული დალუქული დოკუმენტაციის ლიცენზიის მაძიებელთა თანდასწრებით გახსნა. აღნიშნული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საჯარო გაცნობისათვის. ლიცენზიის მაძიებლის მიერ დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში კომისია აფრთხილებს ლიცენზიის მაძიებელს და აძლევს მას დამატებით არანაკლებ 5 და არა უმეტეს 15 სამუშაო დღეს დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. იკრძალება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის საფოსტო გზავნილის სახით მიწოდება კომისიისთვის.

7. დოკუმენტაციის არასრულყოფილების, აგრეთვე პროგრამირებისა და საინვესტიციო ვალდებულების მინიმალური მოთხოვნების დაუცველობის შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვებისა და ლიცენზიის მაძიებლისათვის კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ.

8. კომისია კონკურსს ატარებს საჯარო სხდომაზე.

9.კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება პროგრამირების ასპექტის მიხედვით. პროგრამირების ასპექტის მიხედვით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას მხედველობაში მიიღება:

ა) რამდენად შეესაბამება შემოთავაზებული მომსახურება თემის მიმდინარე და სამომავლო ინტერესებს და ლიცენზიის მაძიებლის შესაძლებლობებს;

ბ) თემის სახეს და მრავალფეროვნებას;

გ) ლიცენზიის მაძიებლისათვის ლიცენზიის სამოქმედო ზონაში სხვა მაუწყებელთა მიერ გაწეული მომსახურების სახეობებს.

10. პროგრამირების ასპექტის მიხედვით კონკურსში მონაწილე ლიცენზიის მაძიებელთა თანაბარი შეფასების შემთხვევაში გამარჯვებულად ცხადდება კონკურსში მონაწილე ის ლიცენზიის მაძიებელი, რომელიც ადრე გაცემული ლიცენზიის საფუძველზე ახორციელებდა მაუწყებლობას საკონკურსოდ გამოტანილი სიხშირეების გამოყენებით.

11. თუ კონკურსში მონაწილეობს 1 ლიცენზიის მაძიებელი, იგი გამარჯვებულად ცხადდება მის მიერ სალიცენზიო გადასახდელის გადახდის დადასტურების შემთხვევაში.

12. კომისია იღებს და აქვეყნებს დეტალურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. კონკურსის შედეგების შესახებ კომისიის გადაწყვეტილების ასლი ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ქვეყნდება კომისიის ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) ინტერნეტში; სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა და გადახდის პირობები მითითებული უნდა იყოს კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში;

13. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის კომისიის ანგარიშზე თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში. დარჩენილი ნაწილის გადახდა უნდა მოხდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის გასვლიდან მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში, თანაბარწილად, ლიცენზიის მოქმედების ვადის ყოველი მომდევნო წლის პირველივე თვის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე, კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად;

14. კონკურსში გამარჯვებულის მიერ სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს 2 წლით ეზღუდება კონკურსში მონაწილეობის უფლება.

15.კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

16. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია დაიწყოს პრაქტიკული საქმიანობა და მაუწყებლობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს მისთვის ლიცენზიით განსაზღვრული სამოქმედო ზონის სრულად დაფარვა ლიცენზიის გაცემიდან 1 წლის ვადაში;

17. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კომისიას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მაუწყებლობის პროცესში რადიოპროგრამის გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

18. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის დაწყების შემდეგ, კვირაში ერთხელ, კომისიას მიაწოდოს და გამოაქვეყნოს ყოველი მომდევნო კვირის სამაუწყებლო ბადე;

19. კონკურსის საფუძველზე ლიცენზიის მიღებისას კონკურსის პირობები და ლიცენზიის მაძიებლის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული პირობები აისახება კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის განსაკუთრებულ პირობებში, როგორც რადიომაუწყებლობის ოპერატორის ვალდებულებები;

20. კომისია უარს ეტყვის ლიცენზიის მაძიებელს ლიცენზიის გაცემაზე, თუ ლიცენზიის მაძიებელმა კონკურსში ვერ გაიმარჯვა. ლიცენზიის გაცემაზე უარი ფორმდება კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. ლიცენზიის გაცემაზე კომისიის უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში;

21. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, სარაჯიშვილის ? 1 ა ) ერთი თვის ვადაში;

22. დაევალოს კომისიის პრეს-მდივანს (ს.ბრიტანჩუკს) აღნიშნული საკითხის საინფორმაციო უზრუნველყოფა;

23. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ბაზრის რეგულირების სამსახურს (ე.ასანიძე).

*კომისიის თავმჯდომარე დ.ქიტოშვილი*

---

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**...............................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**...............................................

**საკონტაქტო ტელეფონი** ...............................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

---

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოტიპიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible] "24 საათის" [illegible]
11. [illegible]

"24 საათის" [illegible] 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

## ორშაბათი 17.10

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "რობოტი და რობოტუნები" **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.45** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" (გ) **13.30** მხ. ფილმი "სერიული მკვლელობები" (გ) **15.25** "რობოტი და რობოტუნები" **16.00** სერიალი "მეამბოხე სული" **16.50** სერიალი "ოცნების კოშკები" **18.30** პატრული **19.00** სერიალი "მეამბოხე სული" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** შაბათის შოუს გამეორება **23.00** "ჯეობარი" **00.00** სერიალი "იდუმალი ტბა" **01.15** მხ. ფილმი "პატიმარი" (18) (ს. სტალონე) **03.10** პატრული

### პირველი

**07.30** "ადრე" **10.00** სერიალი "ანასტასია" **11.00** დოკ. ფილმი "მთვარის შვილები" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "მედელაინი" **12.45** ანიმ. სერიალი "ჯოვანას სიზმრები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "სიკვდილის ოთახები" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.30** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** სერიალი "ფანტაზიის კუნძული" **16.30** დოკ. ფილმი "ტურის წელიწადი" **17.20** მულტსერიალი "ველური კოვბოი" **18.00** "მთავარი" **18.30** დოკ. სერიალი "ჰოლივუდი და დანაშაული" **19.00** დოკ. ფილმი "სასწაული ორბიტაზე" **20.00** "მთავარი" **20.45** "ზაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** სერიალი "ეჭვი" **23.00** მხ. ფილმი "ამაღლებული გულები" (12) **00.30** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **08.35** მუსიკა მზეზე **09.15** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.45** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **10.30** მხ. ფილმი "მდიდარი რომ ვიყო" **12.15** "სამყაროს უთვალავი ფერები" **12.45** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **13.00** ფეხბურთი. მანჩესტერ სიტი - ვესტჰემი. **14.50** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **15.40** სერიალი "კარაბინერები" **16.40** ფეხბურთი. ატლეტიკო-რეალი. **18.30** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.00** "მზერა-ჰედლაინი" **19.15** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.00** "მზერა" **20.45** გადაცემა "მაგთი" **20.55** სერიალი "კარაბინერები" **21.45** კრიმ. სერიალი "სთშ" **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **22.35** მხ. ფილმი "ბედის საჩუქარი" (გ) (ოლივია უილიამსი) **00.15** მხ. ფილმი "სიყვარულის მსხვერპლი" (18) (პირს ბროსნანი)

### მეორე არხი

**19.00** "ზაბილინა" **19.15** მულტსერიალი **19.40** ახალი პროექტი **20.05** სპექტაკლი "ვაზის ყვავილობა" მე-3ნ.

### იმედი

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00** ქრონიკა **10.00** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **11.00** დროება **12.40, 16.25, 01.55** ტვ-მარკეტი **13.15** ქართ. ფილმი "დათა თუთაშხია" 1-ლი ს. **14.30, 16.15, 02.40** იმედის მელოდიები **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 02.30** ქრონიკა **15.20** სერიალი "მოჯადოება" **16.40** დოკ. სერიალი "გორდონის ზვიგენები" **17.10** "პოლიციის აკადემია" **17.40** ლატარეა "3ჩ3" **18.05** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **19.05** სერიალი "მოჯადოება" **20.55** სერიალი "საბრალო ნასტია" **21.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.45** მხ. ფილმი "წყალქვეშა ნავი კ-19" (12) (ლ. ნისონი)

### აჭარა

**08.00** შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.50** კომედია "გამარჯობათ, მე თქვენი დეიდა ვარ" **10.45** დოკ. ფილმი "პუმები" **11.45** მხ. ფილმი "როცა სროლა დადუმდა" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** "დებატები" **15.45** ლევან შენგელია და ჯგუფი "ნეო-კლასი" **16.45** მულტსერიალი **18.00** "პროექტი მომავალი" **18.30** "ნოვოსტი" **18.50** პანტომიმა **20.00** "შესანიშნავი შვიდეული" **21.00** მუსიკა **21.30** "პროექცია" **22.00** დოკ. ფილმი **23.00** მხ. ფილმი "წითელი ურჩხული"

### ОРТ

**ПРОФИЛАКТИКА ДО 11.45**. **11.45** Ералаш. **12.00** Новости. **12.20** Большой обед. **13.30** Арчил Гомиашвили в комедии **"КОМЕДИЯ ДАВНО МИНУВШИХ ДНЕЙ". 15.00** Новости. **15.10** Лолита. Без комплексов. **16.00** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 17.00** Федеральный судья. **18.00** Новости. **18.10** Кривое зеркало. **18.40** Сериал **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ". 19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Сериал **"ОХОТА НА ИЗЮБРЯ". 22.30** Спецрасследование: "Квартирные мошенники". **23.40** Ночные новости. **00.00** Сериал **"БРАТСТВО БОМБЫ". 01.10** Клер Дэйнс в фильме **"РАЗРУШЕННЫЙ ДВОРЕЦ".** Мечта двух подруг о замечательном путешествии в волшебную страну превращается в приключение, похожее на кошмар. Элис импульсивна и безрассудна... **03.05** Что? Где? Когда?

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.15** "Вопрос... еще вопрос" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня. **10.20** Чистосердечное признание. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.30** Детективный сериал **"МАРШ ТУРЕЦКОГО". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.45** Александр Носик в сериале **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА-2: АВТОУГОНЩИКИ". 1**-я с. **20.50** Анна Банщикова в сериале **"ЛЕБЕДИНЫЙ РАЙ". 22.40** Сериал **"ВОСКРЕСЕНЬЕ В ЖЕНСКОЙ БАНЕ: БЕЗЫМЯННАЯ ЗВЕЗДА". 23.45** Чрезвычайное происшествие. **00.20** "Школа злословия". Ток-шоу **01.15** "Все сразу!" с Петром Фадеевым. **01.45** Ив Монтан в фильме **"МАНОН С ИСТОЧНИКОВ".** Когда Манон было 8 лет, ее несчастный отец-горбун умер, так и не найдя воду на своей земле. Между тем, источник, ныне орошающий все селение, располагался именно на земле горбуна, о чем знали представители самого богатого в этих краях рода, но держали это в тайне. Приобретя ферму, Субейраны "открыли" источник! Но правда все равно вышла наружу, и восемнадцатилетняя красавица Манон возненавидела всех жителей деревни... **04.05** Детективный сериал **"БЕЗ СЛЕДА-II: ДВОЙНИК". 05.05** Сериал **"ОПЕРАТИВНИК".**

## სამშაბათი 18.10

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "რობოტი და რობოტუნები" **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** სერიალი "იდუმალი ტბა" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "ასი დღე ბავშვობის შემდეგ" (გ) **15.25** "რობოტი და რობოტუნები" **16.00** სერიალი "მეამბოხე სული" **16.50** სერიალი "ოცნების კოშკები" **18.30** პატრული **19.00** სერიალი "მეამბოხე სული" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** "ჯეობარი" **22.40** ჩემპიონთა ლიგა. ბაიერნი-იუვენტუსი. **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა. **02.20** პატრული

### პირველი

**07.30** "ადრე" **10.00** სერიალი "ანასტასია" **11.00** დოკ. ფილმი "სასწაული ორბიტაზე" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "მედელაინი" **12.45** ანიმ. სერიალი "ჯოვანას სიზმრები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "სიკვდილის ოთახები" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.30** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** სერიალი "ფანტაზიის კუნძული" **16.30** სერიალი "ეჭვი" **17.30** მულტსერიალი "ველური კოვბოი" **18.00** "მთავარი" **18.30** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **19.00** დოკ. ფილმი "პერუს დაკარგული ცივილიზაცია" **20.00** "მთავარი" **20.45** "ზაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** სერიალი "ეჭვი" **23.00** ქართ. მხ. ფილმი "ლაზარეს თავგადასავალი" (გ) **00.30** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **08.35** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **10.30** მხ. ფილმი "ბედის საჩუქარი" (გ) **12.15** "სამყაროს უთვალავი ფერები" **12.45** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** ფეხბურთი. უიგანი-ნიუქასლი. **14.50** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **15.40** სერიალი "კარაბინერები" **16.40** ფეხბურთი. ჩელსი-ბოლტონი. **18.30** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.00** "მზერა-ჰედლაინი" **19.10** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.00** "მზერა" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** კრიმ. სერიალი "სთშ" **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **22.35** მხ. ფილმი "მზის ბნელი მხარე" (გ) (ბრედ პიტი) **00.00** მხ. ფილმი "საიდუმლო აგენტები" (15) (ვენსან კასელი)

### მეორე არხი

**19.00** "ზაბილინა" **19.15** მულტსერიალი **19.40** პროფესიონალი **20.05** კინოსეანსი "მზიური"

### იმედი

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00** ქრონიკა **10.00** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **11.15** სერიალი "საბრალო ნასტია" **12.25, 13.15, 16.15, 17.10, 01.55** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.10** ტვ-მარკეტი **13.40** ნ. ქავთარაძის შოუ **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 01.45** ქრონიკა **15.20** სერიალი "მოჯადოება" **16.40** დოკ. სერიალი "გორდონის ზვიგენები" **17.30** "ნაცნობი საქართველო" **18.05** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **19.05** სერიალი "მოჯადოება" **20.55** სერიალი "საბრალო ნასტია" **21.55** "პირველები" **23.30** მხ. ფილმი "ფრთხილად, კარი იხურება" (12) (გ. პელტროუ)

### აჭარა

**08.00** შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.50** ბავშვთა-სტუდია "ბასტი-ბუბუ" **10.00** "პროექტი მომავალი" **10.30** დოკ. ფილმი **11.30** მხ. ფილმი "ზოროს ნაღაბი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** მხ. ფილმი "ბაიკერები" **16.45** მულტსერიალი **17.50** "პროექცია" **18.30** "ნოვოსტი" **19.00** "სპორტი" **20.00** შესანიშნავი შვიდეული" **21.00** მუსიკა **21.30** "გადარჩენილი სიტყვა" **22.00** დრამა "სიყვარულზე" **00.20** მხ. ფილმი "ჯერიკოს პანსიონი"

### ОРТ

**05.05** Первая программа. **06.00** Доброе утро. **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 23.40** Новости. **09.10** Сериал **"ОХОТА НА ИЗЮБРЯ". 10.20** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 11.30** Идолы. **12.20** Большой обед. **13.30** Мультфильм. **13.50** Спецрасследование: "Квартирные мошенники". **15.10** Лолита. Без комплексов. **16.00** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 17.00** Федеральный судья. **18.10** Кривое зеркало. **18.40** Сериал **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ". 19.50** Пусть говорят. **21.00** Время. **21.30** Сериал **"ОХОТА НА ИЗЮБРЯ". 22.30** Тайны века. **00.00** Филипп Нуаре в комедии **"ОТКРОЙТЕ, ПОЛИЦИЯ!".** Полицейский-"ветеран" давно собирает взятки с мелких преступников в квартале, который патрулирует. Его напарником становится новичок, которого приходится обучать всем "премудростям" профессии. Но младшему скоро становятся тесны рамки мелких взяток, и он предлагает пойти на крупную аферу... **01.40** Фильм **"ПОСЛЕДНИЙ КОНТРАКТ". 03.30** Что? Где? Когда?

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.15** "Вопрос... еще вопрос" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.45** Сегодня. **10.20** Чрезвычайное происшествие. Обзор за неделю. **10.50** Ток-шоу "Принцип домино". **11.55** Александр Ефимов в сериале **"ХЕРУВИМ". 1**-я с. **13.30** Для тебя. **14.30** Сериал **"ЛЕБЕДИНЫЙ РАЙ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.15** Елена Яковлева в сериале **"КАМЕНСКАЯ-2: УКРАДЕННЫЙ СОН". 1**-2 серии. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.45** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА-2: БЕЗ ОПРЕДЕЛЕННОГО МЕСТА СМЕРТИ". 20.50** Сериал **"ЛЕБЕДИНЫЙ РАЙ". 22.35 Футбол.** Лига чемпионов. **"Бавария" (Германия) - "Ювентус" (Италия).** Прямая трансляция. **01.05** "Футбольный клуб" с Василием Уткиным. **02.30** Бильярд.

## ოთხშაბათი 19.10

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "რეინჯერები" **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "პლუმბუმი ანუ სახიფათო თამაში" (გ) **15.25** მულტფილმი "რეინჯერები" **16.00** სერიალი "მეამბოხე სული" **16.50** სერიალი "ოცნების კოშკები" **18.30** პატრული **19.00** სერიალი "მეამბოხე სული" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სერიალი "სასოწარკვეთილი დიასახლისები" **23.00** რეალითი-შოუ "ბარი" **00.00** მხ. ფილმი "კორდებალეტი" (გ) (მაიკლ დუგლასი) **02.30** პატრული

### პირველი

**07.30** "ადრე" **10.00** სერიალი "ანასტასია" **11.00** დოკ. ფილმი "პერუს დაკარგული ცივილიზაცია" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "მედელაინი" **12.45** ანიმ. სერიალი "ჯოვანას სიზმრები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "სიკვდილის ოთახები" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.30** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** სერიალი "ფანტაზიის კუნძული" **16.30** სერიალი "ეჭვი" **17.30** მულტსერიალი "ველური კოვბოი" **18.00** "მთავარი" **18.30** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **19.00** დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის ცენტრიდან" **20.00** "მთავარი" **20.45** "ზაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** სერიალი "ეჭვი" **23.00** "ახალი პროექტი" **23.30** მხ. ფილმი "ხელშეუხებელი" (12) **01.00** საინფ. გამოშვება

### მზე

